ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში

ქეთევან მურუსიძე, ნათია ჭანკვეტაძე

ავტორები: ქეთევან მურუსიძე, ნათია ჭანკვეტაძე

უფროსი მკვლევრები: მარიამ ბერიანიძე, ელიკო ბენდელიანი

მკვლევრები: ნიკოლოზ ბაქრაძე (გორი), მარიამ შონია (ზუგდიდი), გიორგი წულაია (თბილისი) და ადგილობრივი მკვლევრები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან

ინგლისურიდან თარგმანი: ლელა ჯანაშია

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

დიზაინერი: ნათია ზედელაშვილი

განსაკუთრებული მადლობა მარგალიტა ჯაფარიძეს, პროექტის მენეჯერს და გიორგი ხიშტოვანს, PMC კვლევითი ცენტრის კვლევით ხელმძღვანელს, პროექტის მართვისა და ლოგისტიკური მხარდაჭერისთვის. მადლობა პროფესორ როჯერ მაკ გინტის კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული რჩევებისთვის. ასევე მადლობას ვუხდით გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს შვიდ საკვლევ არეალში მცხოვრებ კვლევის ყველა მონაწილეს დათმობილი დროისა და კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობისთვის.

© ქეთევან მურუსიძე, ნათია ჭანკვეტაძე
© PMC კვლევითი ცენტრი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი #61,
მე-4 სართული, 0102 თბილისი, საქართველო
research@pmcginternational.com
https://pmcresearch.org/

სარჩევი

აბრევიატურები	4
შესავალი	5
მეთოდოლოგია	6
შეზღუდვები	7
ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები	10
გალი	11
სოხუმი	18
ზუგდიდი	25
ახალგორი	32
გორი	39
ცხინვალი	48
თბილისი	53
კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ყოველდღიური მშვიდობის ასპექტები	62
ქალების ყოველდღიური მშვიდობის აღქმა	65
მშვიდობის აღქმა და მშვიდობის საჭიროებები ახალგაზრდებს შორის	67
შეჯამება: მშვიდობის აღქმა კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში	70
გამოყენებული ლიტერატურა	72
დანართი 1. ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების სია	73

აბრევიატურები

CRRC	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
EPI	ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი
EUMM	საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია
GID	ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები
IPRM	ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი
KII	ძირითად ინფორმანტთა ინტერვიუ
LGBTI	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი

შესავალი

ქართველები, აფხაზები და სამხრეთ ოსები გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში ათწლეულებია ცხოვრობენ. 1991-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტებისა და 2008 წლის ომის შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა და ათასობით დევნილად იქცა. საქართველოს კონფლიქტებს რამდენიმე განზომილება აქვს; საქართველო-რუსეთის ომმა მისი გეოპოლიტიკური ასპექტი გააძლიერა, ხოლო ქართველებსა და აფხაზებს, აგრეთვე ქართველებსა და სამხრეთ ოსებს შორის შეიარაღებული კონფლიქტები ლოკალურ განზომილებას ასახავს. გაჭიანურებული კონფლიქტები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-სამხრეთ ოსურ კონტექსტში ადგილზე მძიმე ვითარებით, ადმინისტრაციული გამყოფ ხაზზე გადაადგილების შეზღუდვით,[1] გაყოფილი ოჯახებით, სათანადო განათლებაზე, ჯანდაცვასა და სხვა საბაზისო სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული წვდომით ხასიათდება.[2] მოუგვარებელი კონფლიქტები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრებაზეც აისახება, ბევრი მათგანი, განსახლებასა და სათანადო საცხოვრებელი პირობების მოლოდინში, დღემდე კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ცხოვრობს.[3] კოვიდ-19-მა კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებს კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა. პანდემიამ მათ მკვეთრად შეუმცირა საარსებო წყაროები, ახალი პრობლემების წინაშე დააყენა და ყოფითი პირობები მნიშვნელოვნად გაუუარესა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებში საჭიროებების შეფასება, კონტექსტისა და კონფლიქტის ანალიზი არაერთხელ ჩატარდა, კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების მიერ მშვიდობის აღქმა ნაკლებადაა შესწავლილი. უფრო კონკრეტულად, კვლევები, როგორც წესი, კონფლიქტ(ებ)ის მიზეზებისა და შედეგების ანალიზზეა ორიენტირებული და მშვიდობის კონტექსტური აღქმის ნიუანსები ყურადღების მიღმა რჩება. გარდა ამისა, პოლიტიკურად მოუგვარებელი გაჭიანურებული კონფლიქტების პირობებში მშვიდობის აღქმა შესაძლოა ბუნდოვანი იყოს. მშვიდობის გაგებას მშვიდობის მშენებლობის (Peacebuilding) იდეა კიდევ უფრო ართულებს, ვინაიდან მშვიდობის მშენებლობის კონცეფციას ბევრი განმარტება აქვს. ზოგადად, მშვიდობის მშენებლობა განისაზღვრება, როგორც პოსტკონფლიქტურ გარემოში მიღებული ზომები, რომლებიც მშვიდობის გასამყარებლად საჭირო სტრუქტურებს განსაზღვრავს და აძლიერებს.[4] ამავე დროს, მშვიდობის მშენებლობა ასევე განვითარების (Development) პროცესებთან ასოცირდება.

იმის გასაგებად, თუ როგორ აღიქვამენ და აღწერენ მშვიდობისა და ყოველდღიური მშვიდობის იდეას საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და გამყოფ ხაზებს მიღმა მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანები, კვლევაში გამოყენებულ იქნა ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების (EPI) მეთოდოლოგია. ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების მიდგომა როჯერ მაკ გინტიმ და პამინა ფირჩოუმ შეიმუშავეს. მაკ გინტიმ *ყოველდღიური მშვიდობის ძაღა და კონფლიქტის შეწყვეტის კონცეფცია* შეისწავლა.[5] მან ძალადობრივი კონფლიქტის შეჩერებაში ე.წ. ჩვეულებრივი ხალხის შესაძლებლობები შეისწავლა და დაასახელა ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც ყოველდღიური მშვიდობის იდეას აყალიბებს: ურთიერთობა, ურთიერთგაგება და სოლიდარობა. ხოლო პამინა ფირჩოუმ ერთმანეთისგან განასხვავა დიდი მშვიდობისა (Big Peacebuilding) და მცირე მშვიდობის (small peacebuilding) მშენებლობის იდეები. მან

[1] Amnesty International-ის (2018) თანახმად, „ბორდერიზაციის“ დაწყებიდან დაახლეობით 1000-მა ოჯახმა საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე, საძოვრებსა და ტყეებზე წვდომა სრულად ან ნაწილობრივ დაკარგა. ზოგიერთი ოჯახის ეზოც კი ორ ნაწილად გაიყო, ეზოს ერთი ნაწილი სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების კონტროლქვეშ მოექცა, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოს მიერ კონტროლირებად ნაწილში დარჩა, იხ.: https://www.amnesty.org/en/documents/eur56/0581/2019/en/

[2] სახალხო დამცველი (2021). „2019-2020 წლებში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე“. იხ.:

https://ombudsman.ge/eng/spetsialuri-angarishebi/sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-angarishi-2019-2020-tslebshi-ets-gamshvebi-punktebis-chaketvis-gavlena-okupirebul-teritoriebze-mtskhovrebi-mosakhleobis-uflebriv-mdgomareobaze ; DRI (2021). ადამიანის უფლებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალში. იხ.: https://www.democracyresearch.org/files/171Human%20rights%20in%20Abkhazia%20and%20South-%20Ossetia%20Tskhinvali%20region.pdf

[3] იძულებით გადაადგილებული დაახლოებით 40, 131 ოჯახი განსახლების მოლოდინშია, სახალხო დამცველი (2021)

[4] ბ. ბუტროს გალი (1992) მშვიდობის დღის წესრიგი: პრევენციული დიპლომატია, მშვიდობის დამყარება და მშვიდობის შენარჩუნება. გაერო.

[5] რ. მაკ გინტი (2021) ყოველდღიური მშვიდობა: როგორ შეუძლია ე.წ. ჩვეულებრივ ხალს, ბოლო დაუდოს ძალადობრივ კონფლიქტს. Oxford University Press.

ასევე განიხილა, თუ როგორ ეხმარება საზოგადოების მიერ განსაზღვრული ინდიკატორების იდენტიფიცირება და გამოყენება მშვიდობის მშენებლობისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას და ადგილობრივ კონტექსტსა და საჭიროებებთან მათ უკეთ მორგებას.[6]

გაჭიანურებული კონფლიქტის რეალობისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების რთული საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით, ყოველდღიური მშვიდობის შესახებ კვლევის მიზანი იყო დაედგინა, თუ როგორ ესმით ადამიანებს მშვიდობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. კერძოდ, კვლევა შემდეგი ორი კითხვის გარშემო მიმდინარეობდა:

- როგორია ყოველდღიური მშვიდობის აღქმა კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ქართულ, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ კონტექსტში?
- რომელი ძირითადი ფაქტორები ახდენს გავლენას ყოველდღიურ მშვიდობაზე კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში?

კვლევამ ყოველდღიურ ცხოვრებაში მშვიდობის მრავალი ასპექტი და ქართულ, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ კონტექსტში მისი აღქმის დეტალები გამოავლინა. ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევამ თვისებრივი და თანამონაწილეობრივი მიდგომები გამოიყენა. კვლევის მონაწილეები პასიური რესპონდენტები არ ყოფილან, არამედ, აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივ კონტექსტში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების შემუშავების, ვერიფიკაციისა და ინტერპრეტაციის პროცესში. საზოგადოებების მიერ განსაზღვრული ინდიკატორები კვლევის ადგილობრივ ხასიათს განსაზღვრავენ, ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას შენარჩუნებულია ადგილობრივი ენისა და არტიკულაციის თავისებურებები. გარდა ამისა, მშვიდობის აღქმის კონტექსტუალიზაცია ხელს უწყობს მშვიდობის მშენებლობის პოლიტიკის დაგეგმვას და წვლილი შეაქვს სამშვიდობო პროცესებში.

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია გამოყენებული მეთოდოლოგია და მისი შეზღუდვები. ასევე მოცემულია ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მდებარე თითოეულ კვლევის არეალში (research location) ჩატარებული ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევის ანალიზი და კონტექსტიდან გამომდინარე ყოველდღიური მშვიდობის ასპექტები. გარდა ამისა, ანგარიში მოკლედ მიმოიხილავს შვიდივე საკვლევ არეალში გამოკვეთილ საერთო თემებს და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების ყოველდღიური მშვიდობის კომპონენტებს. ბოლო ნაწილში განხილულია, თუ როგორ აღიქვამენ ყოველდღიურ მშვიდობას კონფლიქტებით დაზარალებული საზოგადოებები.

მეთოდოლოგია

გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს, შვიდ კვლევის არეალში, კერძოდ, ახალგორში, გალში, გორში, სოხუმში, თბილისში (დევნილთა თემში), ცხინვალსა და ზუგდიდში მცხოვრებ კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ყოველდღიური მშვიდობის აღქმის შესასწავლად ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების მეთოდოლოგია გამოვიყენეთ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების მეთოდოლოგია მოიცავს როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, პროექტის ფარგლებში მხოლოდ თვისებრივი ნაწილი გამოვიყენეთ და კვლევის ოთხი ეტაპიდან სამი, კერძოდ, შემუშავების, ვერიფიკაციის (ინდიკატორების რელევანტურობისა და პრიორიტეტულობის გადამოწმების ეტაპი) და ანალიზის ეტაპები (ბოლო ეტაპი, გამოკითხვა, პროექტით არ იყო დაგეგმილი) შესრულდა.[7]

ინდიკატორების შემუშავების ეტაპზე ადგილობრივი თემების სხვადასხვა პროფესიის (მასწავლებელი, ექიმი, და სხვ.), სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი

[6] პ. ფირჩოუ (2018) ყოველდღიური მშვიდობის აღდგენა: ადგილობრივი ხმები ომის შემდგომი ი შეფასების პოლიტიკაში. კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო: Cambridge University Press.

[7] ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების მეთოდოლოგია მოიცავს ოთხ ეტაპს: შემუშავება, ვერიფიკაცია, ანალიზი და გამოკითხვა. დამატებითი ინფორმაციისთვის: https://www.everydaypeaceindicators.org/how-does-epi-work

ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარდა ძირითად ინფორმანტთა ინტერვიუ (Key Informant Interview, შემდეგში - ინტერვიუ) შესაბამის თემებში ყოველდღიური მშვიდობის აღქმის შესახებ მათი მოსაზრებების შესაგროვებლად. კვლევის თითოეულ არეალში, ახალგორისა და ცხინვალის გამოკლებით, კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ყოველდღიური მშვიდობის აღქმისა და საჭიროებების შესასწავლად, ქალებთან, მამაკაცებთან, ახალგაზრდებსა და შერეულ ჯგუფებთან ცალ-ცალკე ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა. თითოეული ფოკუს-ჯგუფის 4-დან 10-მდე წევრი ე.წ. რიგითი ადამიანი იყო და ადგილობრივ საზოგადოებას წარმოადგენდა. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეები შეირჩნენ ასაკის, სქესის, საცხოვრებელი ადგილის (სოფელი/ქალაქი) მიხედვით, აგრეთვე ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებთან ახლოს და დევნილთა დასახლებებში მცხოვრები ადამიანებიდან, ხოლო თბილისში კვლევა ორიენტირებული იყო მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომლებიც კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ან საკუთარ ბინებში ცხოვრობენ. პროცესის თანამონაწილეობრივი ხასიათის უზრუნველსაყოფად (არა მხოლოდ მონაცემების შეგროვების პროცესში), ადგილობრივ მკვლევრებთან ერთად მომზადდა სადისკუსიო გზამკვლევი. ასეთი მიდგომით შესაძლებელი გახდა მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებში მცირე ცვლილებების შეტანა ადგილობრივი კონტექსტის, ენის თავისებურებებისა და მკვლევართა და რესპონდენტთა უსაფრთხოების გათვალისწინებით - „არ ავნო“ პრინციპის დაცვით. ინტერვიუებისა (KII) და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს მათთვის საინტერესო და პრობლემური საკითხების თავისუფლად განხილვისა და ყოველდღიური მშვიდობის შესახებ მათი მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა მიეცათ.

შეგროვებული მონაცემები MaxQDA 2020 პროგრამაში დამუშავდა. ღია კოდირების სისტემის გამოყენებით კოდების სისტემა შეიქმნა, რომლის საშუალებითაც საერთო საკითხების მიხედვით ინდიკატორები კატეგორიებად დაიყო, თვისებრივი ინდიკატორების საწყისი ჩამონათვალის შედგენის მიზნით. მკვლევრების ინტერპრეტაციის სივრცის შეზღუდვის მიზნით, ინდიკატორები განისაზღვრა დისკუსიის მხოლოდ იმ ნაწილებიდან, სადაც რესპონდენტები პირდაპირ ასახელებდნენ ყოველდღიურ მშვიდობასთან საკითხის კავშირს (მაგ., მშვიდობა არის, როცა... ან მშვიდობა იქნება, თუ...) ან ყოველდღიური მშვიდობის შესახებ კითხვაზე მათი პასუხებიდან. კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომლითაც ინდიკატორების შედგენისას ვიხელმძღვანელეთ, ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებისას საკითხის განხილვის სიხშირეს ან ინტენსივობას ითვალისწინებდა, ვინაიდან ასეთი ინდიკატორი მშვიდობის აღქმასა და საჭიროებას პერსონალური დონის მიღმა გამოხატავდა. ამ პროცესის საშუალებით თითოეულ არეალში საზოგადოების მიერ განსაზღვრული 21-დან 37 ინდიკატორი (სულ 159) გამოვლინდა.

მეორე ეტაპზე კვლევის ყველა არეალში, ახალგორისა და ცხინვალის გამოკლებით, ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების ვერიფიკაციის პროცესი ჩატარდა. ხუთ არეალში ადგილობრივი თემების უფრო ფართო ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა ვერიფიკაციის სულ მცირე 2 ფოკუს-ჯგუფი (22-34 მონაწილე თითოეულ არეალში). მათი მიზანი იყო ინდიკატორების აქტუალობის გადამოწმება, ინდიკატორებისთვის ხმის მიცემა და ადგილობრივი თემისთვის ყველაზე აქტუალური ინდიკატორებისთვის პრიორიტეტის მინიჭება. ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების რანჟირების შემდეგ, რესპონდენტებმა ყველაზე პრიორიტეტული ინდიკატორები განიხილეს და ახსნეს, თუ რატომ არის ეს ინდიკატორები ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური მათი საზოგადოებისთვის. ხმის მიცემის შედეგებისა და დისკუსიების საფუძველზე თითოეული კვლევის არეალისთვის (ახალგორისა და ცხინვალის გამოკლებით) მომზადდა ყოველდღიური მშვიდობის ვერიფიცირებული ინდიკატორების საბოლოო ჩამონათვალი, რომელიც შემდეგ განხილულ იქნა ძირითად ინფორმანტებთან ინდიკატორების შესახებ დამატებითი განმარტებისა და ინტერპრეტაციების მოსასმენად. შედეგად, ინდიკატორების საწყისი ჩამონათვალი თითო არეალში 13-18 ინდიკატორამდე შემცირდა

და ქალების მიერ განსაზღვრული ინდიკატორები ცალკე გამოიყო. კვლევის პროცესში 66 ინტერვიუს, 21 ფოკუს-ჯგუფისა და ვერიფიკაციის 13 ფოკუს-ჯგუფის საშუალებით კვლევის პროცესში ჩართული იყო ადგილობრივი საზოგადოებების 362 წარმომადგენელი (224 ქალი და 138 მამაკაცი) (იხ. დანართი 1).

კვლევის ბოლო ეტაპზე, ვერიფიკაციისას მიღებული განმარტებებისა და ინტერპრეტაციების საფუძველზე, ვერიფიცირებული ინდიკატორები მათი შემუშავების ეტაპზე კოდირებულ კატეგორიებთან ერთად გაანალიზდა. თემატური ანალიზის გამოყენებით დადგინდა ის საერთო ფაქტორები, რომლებიც გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური მშვიდობის აღქმებზე ზეგავლენას ახდენს. კონტექსტის შესაბამისი ანალიზის უზრუნველსაყოფად, კვლევის ავტორებმა ადგილობრივ მკვლევრებთან რეგულარული საუბრებისა და რეფლექსიების ჩანაწერები და თითოეული ფოკუს-ჯგუფის დასრულების შემდეგ შევსებული დაკვირვების ფორმები გამოიყენეს.

შეზღუდვები

საკვლევი თემის სენსიტიურობისა და გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს არსებული კონფლიქტური კონტექსტის გათვალისწინებით, ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების მეთოდოლოგია და კვლევის ინსტრუმენტები გარკვეულწილად შეიცვალა და კონტექსტის შესაბამის სპეციფიკურ საჭიროებებს მოერგო. კერძოდ, კონფლიქტისადმი მგრძნობელობის პრინციპებისა და ადგილობრივი მკვლევრისა და რესპონდენტების უსაფრთხოების გათვალისწინებით, ახალგორში მხოლოდ ინტერვიუები ჩატარდა, რის გამოც აღნიშნულ საკვლევ არეალში ინტერვიუების რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო. ცხინვალში ქალების ფოკუს-ჯგუფსა და ინტერვიუებში შედარებით ნაკლებმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო სხვა მიზნობრივი ფოკუს-ჯგუფების ორგანიზება საერთოდ ვერ მოხერხდა. ვერიფიკაციის ეტაპი ახალგორსა და ცხინვალში ვერ ჩატარდა, რის გამოც ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების რანჟირება და ადგილობრივი თემებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა ვერ მოხერხდა.

ადგილობრივ მკვლევრებს კვლევის ინსტრუმენტების, ინტერვიუს კითხვარისა და ფოკუს-ჯგუფის გზამკვლევის ადგილობრივ კონტექსტზე მორგების შესაძლებლობა ჰქონდათ. თუმცა, კვლევის ძირითადი კითხვები, კერძოდ, ყოველდღიური მშვიდობის აღქმებისა და საჭიროებების შესახებ, კვლევის ყველა არეალში ერთნაირი იყო. რესპონდენტებს სასაუბროდ მათთვის სასურველი ენის შერჩევა შეეძლოთ. თუმცა, ტრანსკრიპტები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე მომზადდა. ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების ბუნების გათვალისწინებით, მკვლევართა ჯგუფმა დიდი ძალისხმევა გასწია თარგმანში ადგილობრივი ენის შესანარჩუნებლად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ენის თავისებურება, შესაძლოა, ნათარგმნ ვერსიებში სრულად ვერ აისახა.

შემუშავების ეტაპზე ზოგიერთი ინდიკატორი ერთსა და იმავე საკითხს ეხებოდა, როგორიცაა ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე გადაადგილება, განათლების ხელმისაწვდომობა, და სხვ., თუმცა – სხვადასხვა კუთხით, ამიტომ ისინი ცალ-ცალკე ინდიკატორებად განისაზღვრა. ზოგიერთ შემთხვევაში, ამან ცალკეული ინდიკატორების რანჟირებაზე შესაძლოა გავლენა იქონია. გარდა ამისა, ვერიფიკაციის ეტაპზე რესპონდენტები ერთი ინდიკატორის რამდენიმე განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობდნენ, რაც მონიტორინგისა და შეფასებისთვის ასეთი ინდიკატორების გამოყენებას ართულებს. თუმცა, თვისებრივი კვლევისთვის ეს ინდიკატორების უპირატესობაა, ვინაიდან საკითხის უფრო კომპლექსურ სურათს გვთავაზობს. მკვლევართა ჯგუფის დაკვირვებით, რესპონდენტებს შორის ყოველდღიური მშვიდობის

აღქმა კვლევის პერიოდში მიმდინარე ადგილობრივი და რეგიონული მოვლენების მიმართ მგრძნობიარე იყო, რაც კვლევის შედეგების ანალიზის დროს კონტექსტის გათვალისწინების საჭიროებაზე მიუთითებს. იმის გამო, რომ კვლევა ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების მეთოდოლოგიის მხოლოდ თვისებრივ ნაწილს დაეყრდნო, კვლევის შედეგებისა და ინდიკატორების განზოგადება შეუძლებელია. რეპრეზენტატული მონაცემების მისაღებად საჭიროა შესაბამის არეალებში მეოთხე ეტაპის, რაოდენობრივი გამოკითხვის ჩატარება.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები

გალი – ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები (ვერიფიცირებული)

მშვიდობა არის, როცა ...

1. თავს მეორეხარისხოვან მოქალაქედ არ გრძნობ
2. ოჯახებს აქვთ მატერიალური შესაძლებლობა შვილები სკოლაში გაუშვან
3. ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომია ინგლისური ენა იცი, რაც საერთაშორისო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობას გაძლევს
4. ომი არ არის ომის შიში არ არის
5. თავისუფალად გადაადგილება შეგიძლია და არ გეშინია, რომ ხვალ "საზღვარი" დაიკეტება
6. სკოლები კომპიუტერებითაა აღჭურვილი სკოლებს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა აქვთ
7. ბავშვებმა სათანადოდ ერთი ენა მაინც იციან [ქართული ან რუსული] სკოლაში საგნების სწავლა რომ შეძლონ
8. სხვა ქვეყნებში მოგზაურობა შეგიძლია
9. საერთაშორისო განათლების მიღება და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა შეგიძლია
10. ხალხს არ ეშინია რომ ხვალ "საზღვრის" გადაკვეთის უფლება აღარ ექნებათ
11. ერთმანეთს ვენდობით (ქართველები და აფხაზები)
12. ეკონომიკური კეთილდღეობა და დასაქმების შესაძლებლობა გაქვს

ყოველდღიური მშვიდობა გალში

გალის რაიონში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევაში ჩართული იყო 60 ადამიანი (34 ქალი, 26 მამაკაცი, მათ შორის, 20 ახალგაზრდა) ქალაქ გალიდან და მიმდებარე ხუთი სოფლიდან. კვლევის პირველ ეტაპში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი თემის 33-მა წარმომადგენელმა, ხოლო ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების საშუალებით, შემუშავებული ინდიკატორების ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო 27 ადამიანი. ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების პირველი ეტაპის შედეგად ადგილობრივი თემების მონაწილეობით შემუშავდა 37 ინდიკატორი, რომელიც კვლევის მეორე ეტაპზე ვერიფიცირდა.

გალელები ყოველდღიურ მშვიდობას აღიქვამენ, როგორც საჭიროებებისა და გამოწვევების ერთობლიობას, რომელიც მათ ყოველდღიურობას განსაზღვრავს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ადგილობრივი საზოგადოების ნაწილად ყოფნის აუცილებლობა მათთვის მთავარი პრობლემაა, რომელიც რამდენიმე ისეთ ურთიერთდაკავშირებულ ინდიკატორში აისახა, როგორიცაა **მშვიდობა არის, როცა საკუთარ თავს მეორეხარისხოვან მოქალაქედ არ გრძნობ** და **მშვიდობა არის, როცა ერთმანეთს ვენდობით.** ადგილობრივ კონტექსტში სრულად ჩართულობის განცდის აუცილებლობა კვლევის გალელი მონაწილეების ყოველდღიური მშვიდობის აღქმას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. განათლებისა და ენის შესახებ გამართულმა დისკუსიებმა ყოველდღიური მშვიდობის სხვა კომპონენტებიც გამოავლინა. კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს პრაქტიკული, ყოველდღიურად საზრუნავი და ასევე სტრატეგიული საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ხშირ შემთხვევაში სტაბილურობის განცდას არღვევს. მაგალითად, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საკითხებია ენა და განათლება; ენა აუცილებელია როგორც ყოველდღიური კომუნიკაციისათვის, ასევე განათლების მისაღებად. გამყოფი ხაზის მეორე მხარეს გადასვლის სირთულე, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები, გაყოფილი ოჯახები და ომის მუდმივი შიში უარყოფითად ზემოქმედებს გალის მცხოვრებთა ყოველდღიურობაზე. ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები გალიდან გადმოსცემს იმ ადამიანების ისტორიებს, რომლებიც პრობლემებს ღია და კრიტიკული აზროვნებით უყურებენ, ცდილობენ იპოვონ შესაძლო გადაწყვეტილებები, ან თუნდაც გაახმოვანონ საკუთარი შიშები და საჭიროებები.

1. მიკუთვნებულობის საჭიროება - მშვიდობა არის, როცა საკუთარ თავს მეორეხარისხოვან მოქალაქედ არ გრძნობ.

გალში მშვიდობის მთავარი ინდიკატორ(ებ)ი აფხაზურ საზოგადოებაში გალის თემის (მოსახლეობის) უკეთ ინტეგრირების საჭიროებას ასახავს. კვლევის მონაწილეებმა რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული პრობლემა განიხილეს: ხშირად გალის მოსახლეობა მტრად აღიქმება და მათ როგორც "უცხოს" (ან "სტუმრებს"), ისე ექცევიან; გალსა და სოხუმს შორის ნდობის არარსებობა მათი მდგომარეობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს; აფხაზურმა საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს გალის მოსახლეობის პრობლემები და მათ უფრო ეფექტიანად გაუმკლავდეს.

ინტერვიუებმა და ფოკუს-ჯგუფებმა აჩვენა, რომ გალის მოსახლეობისთვის უმთავრესი პრობლემაა იმ საზოგადოებაში მათი არმიღებისა და გაუცხოების მუდმივი შიში, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. მუდმივი სტრესი და გაურკვევლობა მათ ემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება. „ჩვენ აქ თითქმის არავინ ვართ, მაგრამ წასასვლელიც არსად გვაქვს, მეორე მხარესაც არავინ გველოდება."[8] განცდა იმისა, რომ ისინი გამყოფი ხაზის არც ერთ მხარეს არ მიეკუთვნებიან, მათ ყოველდღიური

[8] ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფი 2, გალი

მშვიდობის აღქმას მნიშვნელოვნად ზღუდავს. ზოგიერთმა რესპონდენტმა სიტყვა მტრის პერეფრაზირება სცადა და განმარტა, რომ გალის მცხოვრებლები აუცილებლად მტრებად არა, თუმცა ეჭვმიტანილებად აღიქმებიან – *„ჩვენ ეთად ვცხოვრობთ, ეთად ვმუშაობთ, მაგრამ ნდობა მაინც არ არის."*[9] აფხაზურ საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლებობა ნდობის საკითხსაც უკავშირდება. ერთ-ერთი ინდიკატორი კონკრეტულად განსაზღვრავს ყოველდღიურ ცხოვრებაში ნდობის მნიშვნელობას – **მშვიდობა არის, როცა ერთმანეთს ვენდობით.** უნდობლობას სოხუმსა და გალს შორის საკომუნიკაციო სივრცეების ნაკლებობაც აღრმავებს.

საინტერესოა, რომ იმ პრობლემების შესახებ თავისუფლად საუბრის შეუძლებლობა, რომლებიც გალის მოსახლეობის ყოველდღიურ მშვიდობას აღვევს, მათი დუმილის როგორც მიზეზად, ასევე შედეგად განიმარტა – *"ოჯეი უნდა დავფიქრდეთ, სანამ ამეს ვიტყვით"; „საღღეგჰძეღოს თქმამდეც ბევს ვფიქრობთ"; "ჩვენ არ ვიღებთ ხმას, რადგან გვეშინია".*[10] ლაპარაკის შიში უდავოდ ზღუდავს გალელების ყოველდღიური მშვიდობის აღქმას. თუმცა, ისინი გამოხატვის თავისუფლებას მხოლოდ გალელების პრობლემების შესახებ საუბრის ექსკლუზიურ უფლებად არ აღიქვამენ. ისინი აფხაზური საზოგადოების პრობლემებსაც აცნობიერებენ და გამოსავლად სიტყვის თავისუფლებას მიიჩნევენ - *"საზოგადოებას უნდა გავაგებინოთ, რომ პრობღემებზე საუბარი ჩვეუღებრივი ამბავია, რადგან ეს პრობღემები მთეღ საზოგადოებს (მათ შორის აფხაზურს) ეხება."*[11] უნდა აღინიშნოს, რომ გალელები სოხუმის მოსახლეობას არ განიხილავენ, როგორც მონოლითურ ერთობას, საზოგადოებას კითხვებისა და უთანხმოებების გარეშე. მათ მოიყვანეს მაგალითები, რომლებიც მათ შორის მეგობრულ ურთიერთობას ასახავს და აჩვენებს, რომ ზოგიერთ რიგით აფხაზსაც უნდა მშვიდობიანი თანაარსებობა და მშვიდობიანი ყოველდღიური ცხოვრება.

2. განათღებაზე ხეღმისაწვდომობა - მშვიდობა არის, როცა ოჯახებს აქვთ მატერიაღური შესაძღებღობა შვიღები სკოღაში გაუშვან

მეორე თემა, რომელიც გალელმა რესპონდენტებმა ყოველდღიური მშვიდობის მნიშვნელოვან ასპექტად დაასახელეს, ხარისხიანი განათლების საჭიროებას ეხება. განათლების შესახებ ინდიკატორებმა გამოავლინეს ოთხი ურთიერთდაკავშირებული საკითხი: (1) წვდომა ხარისხიან განათლებაზე, (2) ხარისხიანი განათლების არსებობა (3) სასკოლო ინფრასტრუქტურა, (4) წვდომა საერთაშორისო განათლებასა და საერთაშორისო პროგრამებზე. მძიმე ეკონომიკური პირობები და მაღალი სტანდარტების საგანმანათლებლო პროგრამების სიმწირე გალელ ახალგაზრდებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების ხარისხი მთავარ პრობლემას წარმოადგენს, ბევრ ოჯახს ხელმისაწვდომობის პრობლემაც აქვს. შესაბამისად, ერთ-ერთი ინდიკატორი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა - **მშვიდობა არის, როცა ოჯახებს აქვთ მატერიალური შესაძლებლობა შვილები სკოლაში გაუშვან.**

ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს სკოლების ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა. სკოლების უდიდეს ნაწილს არ აქვს კომპიუტერები ან სათანადო წვდომა ინტერნეტზე. ინტერნეტზე წვდომის არქონამ, კოვიდ-19-ის გამო დაწესებული შეზღუდვების დროს, ბევრი მოსწავლე სასწავლო პროცესის მიღმა დატოვა. უმაღლესი განათლების მიღება გალელი ახალგაზრდებისთვის კვლავ პრობლემად რჩება. ისინი, საქართველოში ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად აწყდებიან ისეთ წინაღობებს, როგორიცაა ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე და გამყოფი ხაზის გადაკვეთის პრობლემა.

საერთაშორისო პროგრამებზე და ზოგადად საერთაშორისო განათლებაზე შეზღუდული წვდომა ორ ურთიერთდაკავშირებულ ინდიკატორს ქმნის - **მშვიდობა არის, როცა შეგიძლია საერთაშორისო განათლების მიღება და მშვიდობა არის, როცა შეგიძლია მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პროგრამებში.** ამ ორმა ინდიკატორმა სამი

[9] ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფი 3, გალი
[10] ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფი 1, გალი
[11] შერეული ფოკუს-ჯგუფი, გალი

ურთიერთდაკავშირებულ პრობლემა გამოავლინა: გადაადგილების შეზღუდვა, საბუთებთან დაკავშირებული პრობლემა და ენობრივი ბარიერები, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული.

3. ენობრივი ხაფანგი - მშვიდობა არის, როცა ბავშვებმა სათანადოდ ეროვნული ენა მაინც იციან [ქართული ან რუსული], სკოლაში საგნების სწავლა რომ შეძლონ

გალელი რესპონდენტებისთვის ენა ყოველდღიური მშვიდობის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი აღმოჩნდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენა აუცილებელია როგორც ყოველდღიური კომუნიკაციისათვის, ასევე განათლების მისაღებად. ენა ასევე საზოგადოების სოციალურ იდენტობას აყალიბებს. ენაზე საუბრისას საკითხის პოლიტიკური და სოციალური ასპექტები გამოიკვეთა. მას შედეგ, რაც გალის სკოლებში ქართული ენა რუსულით ჩაანაცვლეს და ქართული ენის, როგორც უცხოური ენის, სწავლება დაიწყეს, ადამიანები მწვავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. **პირველი,** მათ დაკარგეს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება; **მეორე,** განათლების ხარისხი მკვეთრად დაეცა, ვინაიდან ძალიან ცოტა მასწავლებელი საუბრობს რუსულ ენაზე გამართულად; **მესამე,** ახალგაზრდებმა სათანადოდ არც ერთი ენა არ იციან.

ქართული ენის გამოყენებაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა რიგით მოქალაქეებში შიში გააძლიერა და მათ გამოხატვის თავისუფლება შეუზღუდა. ზოგიერთი, რუსულად საუბრის დროს, თავს უხერხულადაც კი გრძნობს, ენის არასათანადოდ ცოდნის გამო. უსაფრთხო სივრცის შესანარჩუნებლად გალის მოსახლეობა მეგრულად საუბრობს და ამ ენას ყოველდღიურ კომუნიკაციაში იყენებს. თუმცა, ქართული ენა კვლავ უმნიშვნელოვანესია სათანადო სასკოლო განათლების მისაღებად, ხოლო რუსულ ენაზე იძულებით გადასვლამ გალის ახალგაზრდებს საერთაშორისო და გამყოფი ხაზის მეორე მხარეს განათლების მიღების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეუმცირა და ისინი ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახადა. კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ხაზს უსვამს კავშირს ენასა და ყოველდღიურ მშვიდობას შორის, ინგლისური ენის ცოდნაა. ინგლისური ენის სწავლა ხარისხიანი განათლების მიღების, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისა და უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის მეტ შესაძლებლობებთან ასოცირდება. განხილულ საკითხებთან ერთად გალელი რესპონდენტები არცერთი ენის სათანადოდ არცოდნის გამო შექმნილ მზარდ პრობლემაზე საუბრობდნენ. ეს პრობლემა ოჯახში, თაობებს შორის საუბრების დროსაც კი იჩენს თავს.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა სოხუმიდან თბილისში ჩასვლა შეგიძლია

4. გადაადგილების თავისუფლება - მშვიდობა არის, როცა შეგიძლია თავისუფლად მოგზაურობა.

ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის თავისუფლად კვეთა გალში ყოველდღიური მშვიდობის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია. გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებულმა ინდიკატორებმა გამოავლინეს ფსიქოლოგიური სტრესი და ფიზიკური წინაღობები, რომლებსაც გალელები ყოველდღიურად აწყდებიან. გალელებს მუდმივად აწუხებთ შემდეგი სამი საკითხი:

საბუთებთან დაკავშირებული პრობლემა; გაყოფილი ოჯახები; მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მოწყვლადობა.

კვლევის მონაწილეების თანახმად, გალელებისთვის ყველაზე დიდ სირთულეს გამყოფი ხაზის კვეთასთან დაკავშირებული გაურკვეველი ვითარება წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მათ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დროს და მნიშვნელოვანი ყოფითი საკითხების მოსაგვარებლად სჭირდებათ. გადაადგილების თავისუფლების ინდიკატორები ორი სახის შიშზე მიუთითებენ – ან საკონტროლო-გამშვები პუნქტი იქნება დაკეტილი, ან მათ მეორე მხარეს არ გაუშვებენ. გალელები საკუთარ თავს ხაფანგში გამომწყვდეულად მიიჩნევენ, ვინაიდან ისინი, როგორც წესი, ორიდან ერთ-ერთ პრობლემას აწყდებიან – ან საკონტროლო-გამშვები პუნქტებია დაკეტილი, ან მათ არ აქვთ მეორე მხარეს გადასასვლელად საჭირო საბუთები. ეს არის ის დაუსრულებელი მანკიერი წრე, რომელიც, რესპონდენტების თქმით, მათ ფსიქიკურ და ფიზიკურ ყოფაზე უარყოფითად აისახება.

საბუთების საკითხი დაკავშირებულია ისეთ პრობლემასთან, როგორიცაა მოთხოვნების ხშირი ცვლილება. მას შემდეგ, რაც „ფორმა 9“[12] გაუქმდა, „ცხოვრების ნებართვის“ მიღების პროცედურა კვლავ ბუნდოვანი რჩება. ადამიანებმა, როგორც წესი, არ იციან გამყოფი ხაზის გადასაკვეთად საჭირო საბუთების მიღების კონკრეტული პროცედურები. აგრეთვე, მათ არ აქვთ საბუთების განახლებასა და გართულებების თავიდან არიდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სანდო წყაროები, რაც მათ გადაადგილების თავისუფლებას დამატებით აფერხებს.

საინტერესოა, რომ საბუთებთან დაკავშირებული პრობლემა უარყოფითად მოქმედებს ყველაზე – მამაკაცებზე, ქალებსა და ახალგაზრდებზე, თუმცა თითოეულ ჯგუფზე – განსხვავებულად. საბუთებთან დაკავშირებული პრობლემების გამო გალში ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია ახალგაზრდები, ვინაიდან მათ უჭირთ სკოლის ატესტატების აღება, განათლების მისაღებად გამყოფი ხაზის გადაკვეთა და სამსახურის დაწყება. ზოგიერთმა რესპონდენტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქალებზე, ვინაიდან ქალები გამყოფ ხაზს, როგორც წესი, მცირე სავაჭრო და საარსებო წყაროს მოპოვების მიზნით კვეთენ. საბუთებთან დაკავშირებული შეზღუდვები მათ დამატებით პრობლემებს უქმნის, რადგან მათ გამყოფი ხაზის კვეთის ალტერნატიულ გზების ძიება უწევთ. თუმცა, მამაკაცებს უფრო ხშირად ამოწმებენ და საჭირო საბუთების არქონა მათთვის შეიძლება უფრო მძიმედ დასრულდეს.

გადაადგილების შეზღუდვა გალის რაიონის ეკონომიკურ მოწყვლადობას აძლიერებს და კონფლიქტის შედეგად გაყოფილი ოჯახების ცხოვრებაზე უარყოფითად ზემოქმედებს. კვლევის მონაწილეთა აზრით, თავისუფალი ვაჭრობა გალის მცხოვრებთათვის შემოსავლის მთავარი წყაროა. საკონტროლო-გამშვები პუნქტების დახურვა გალში ფასების ზრდას იწვევს და ადამიანები ოჯახების გამოსაკვებად რთულ რეალობას აწყდებიან. ამავდროულად იზრდება ხანდაზმულების, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და სიღარიბის ზღვარს

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა თავისუფლად ვაჭრობა და პროდუქტების გადატანა შეგიძლია

[12] დროებითი დოკუმენტი, რომელსაც გალელების საცხოვრებელი ადგილის დასადასტურებლად აფხაზეთის დე ფაქტო კანონმდებლობა გასცემს.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა პენსიასა და სოციალურ შემწეობაზე დამოკიდებული არ ხარ

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა კონფლიქტის გამო ოჯახები გაყოფილი არ არიან

მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვი, ხოლო მათთვის საჭირო სერვისები კვლავ არ არსებობს ან მათთვის მიუწვდომელია. გამყოფი ხაზის კვეთა ოჯახების დაკავშირების ერთადერთ გზად რჩება. ადამიანებს ხშირად სჭირდებათ გამყოფი ხაზის გადაკვეთა საკუთარი ოჯახის წევრების მოსანახულებლად, მათი ბედნიერებისა თუ გლოვის დღეების გასაზიარებლად.

5. ომის მოღოდინი - მშვიდობა არის, როცა ომის არ გეშინია.

როგორც წესი, გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში მცხოვრებ და ომგამოვლილ ადამიანებში ომის შიშს ფესვები ღრმად აქვს გადგმული. კვლევის გალელმა მონაწილეებმა ომის მოლოდინი შფოთვის მთავარ გამოვლინებად დაასახელეს. ამავდროულად, მათ „ომის არარსებობის“ მდგომარეობა მშვიდობას დაუკავშირეს, კერძოდ, „ნეგატიური მშვიდობის“ მათეულ აღქმას, რომელიც პირდაპირი შეიარაღებული ძალადობის/ომის არარსებობას აღნიშნავს.

შიშთან დაკავშირებულმა ინდიკატორებმა ორი ურთიერთდაკავშირებული საკითხი გამოავლინეს: აღქმისა და კონტექსტის ცვლილება და გალის სიახლოვე ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან. მოუგვარებელი კონფლიქტისა და გაურკვეველი გეოპოლიტიკური სიტუაციის გამო, ადგილობრივ მოსახლეობაში ომის შიში კვლავაც ცოცხალია. შესაბამისად, გალელმა რესპონდენტებმა ომის შიშზე, როგორც მუდმივ შეგრძნებაზე ისაუბრეს, რომელიც წარსულთან შედარებით დღეს ნაკლებად მძაფრია, მაგრამ მათი ყოველდღიურობის ნაწილია. მთიან ყარაბაღში მიმდინარე ომმა და სხვა გეოპოლიტიკურმა პროცესებმა მათში შფოთვა და ომის მოლოდინი გააძლიერა. გალის სიახლოვე გამყოფ ხაზთან მათ სტაბილურობის განცდას ურღვევს. სტაბილურობა დისკუსიების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო, რომელსაც ხშირად სიტყვა „დაგეგმვა“ ახლდა თან. გაურკვევლობა ადამიანებს მომავლის დაგეგმვაში და ყოველდღიური ცხოვრების მშვიდად ორგანიზებაშიც ხელს უშლის.

გალში ყოველდღიური მშვიდობის შესახებ კვლევამ ქალების საჭიროებები და მათ მიერ ყოველდღიური მშვიდობისა და ყოველდღიური უსაფრთხოების აღქმა გამოკვეთა. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში ქალების არყოფნა მთავარ საკითხად დასახელდა და ორი არგუმენტით აიხსნა: პირველი, პოლიტიკა არის სფერო, რომელშიც მამაკაცები დომინირებენ – *„პოლიტიკა მამაკაცებისთვის სხვადასხვა დღის წესრიგებზე კონტროლის, მართვის, დომინირებისა და ზემოქმედების მოხდენის ბერკეტს წარმოადგენს;“*[13] მეორე, კულტურული ასპექტები ქალებს აქტიურ პოლიტიკაში ჩართვის მოტივაციას ართმევს და პოლიტიკის მიღმა მათ ყოფნას ნორმალურად მიიჩნევს – *„ჩვენს საზოგადოებაში ბევრისთვის თავისუფალი და აქტიური ქალი სრულად მისაღები არ არის.“*[14] ქალებმა ასევე ისაუბრეს მათ ყოველდღიურობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემაზე – ცუდ ინფრასტრუქტურასა და დაბალი ხარისხის ჯანდაცვაზე, ან მათ არარსებობაზე. გალელი ქალები ასევე უკმაყოფილებით საუბრობდნენ აბორტის აკრძალვის შესახებ კანონზე და მას ქალებისათვის დისკრიმინაციულად მიიჩნევდნენ – *„აბორტი ისე*

[13] ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფი 3, გალი
[14] ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფი 1, გალი

აკhძაღეს, ქაღებს აზhიც აh ჰკითხეს.“[15] გარდა ამისა, ჯანდაცვის სერვისების ნაკლებობა და დაბალი ხარისხი ორსული ქალების, გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების ცხოვრებაზე უარყოფითად ზემოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ გაუმართავი ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, მაგალითად, ქუჩების დაზიანებული განათება ან არასაკმარისი რაოდენობისა და კეთილმოუწყობელი საბავშვო ბაღები ქალების ყოველდღიურ ცხოვრებასა და მათ მიერ სიმშვიდის განცდაზე უარყოფითად აისახება. ვინაიდან ბავშვებს ძირითადად ქალები ზრდიან, მათ ბავშვებზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისები სჭირდებათ, რაც ქალებს საკუთარი დროის უკეთ გაკონტროლების შესაძლებლობას მისცემს. ქუჩების დაზიანებული განათება ქალებს უსაფრთხოების განცდას უზღუდავს და გადაუდებელ ვითარებაშიც კი მათ ღამით გარეთ გასვლა ეშინიათ.

გალის ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები ადგილობრივი საზოგადოების წინაშე მდგარ სირთულეებს, თავისუფალი ნებისა და იმედის შესანარჩუნებლად მათი ბრძოლის ისტორიებს გადმოგვცემს. ყოველდღიური ცხოვრების აღწერისას კვლევის მონაწილეები ასახელებდნენ ასპექტებს, რაც მიუთითებდა რომ ისინი მშვიდობას, როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ კონსტრუქტად აღიქვამენ. პირდაპირი შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობა მათთვის უდავოდ მშვიდობის ნიშნად აღიქმება, თუმცა ამ მშვიდობას თან ახლავს გაუთავებელი პრობლემები, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას არღვევს.

[15] ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფი 2, გალი

სოხუმი - ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები (ვერიფიცირებული)

მშვიდობა არის, როცა...

1. შინაგანი ჰარმონია/შინაგანი მშვიდობა გაქვს
2. შენს ქვეყანას უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლია
3. მომავლის დაგეგმვა შეგიძლია
4. შენს შვილს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვს
5. ადამიანები ისვენებენ, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ და ქალაქში სეირნობენ, ყავას სვამენ
6. თავისუფლად შეგიძლია საზღვარგარეთ მოგზაურობა
7. თავისუფლად მოგზაურობისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა გაქვს
8. სტაბილური ელექტრომომარაგება გაქვს
9. პოლიციას დასახმარებლად მიმართავ და შესაბამის დახმარებას იღებ
10. არ გეშინია, რომ რაღაც მომენტში ვიღაც გადაწყვეტს, რომ ეს საუკეთესო დროა ომისთვის
11. შესაძლებლობა მაქვს ვისწავლო ის, რაც მაინტერესებს, მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გარეშე
12. სიცოცხლის ხელყოფის არავის ეშინია
13. გამოძახებული სასწრაფო დახმარება დროულად მოდის და საჭირო მედიკამენტებიც აქვს

ყოველდღიური მშვიდობა სოხუმში

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევის პროცესში ჩართული იყვნენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები როგორც ქალაქის ცენტრალურ, ისე გარეუბნებში მცხოვრები სხვადასხვა გენდერული და ასაკობრივი ჯგუფებიდან. ჯამში, ექვს ფოკუს-ჯგუფსა და შვიდ ინტერვიუში (KII) მონაწილეობა მიიღო 56 ადამიანმა – 25-მა ქალმა და 31-მა მამაკაცმა, მათ შორის, 24-მა ახალგაზრდამ. კვლევის შედეგები აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, სამეცნიერო, ბიზნეს და საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანების, აგრეთვე ქალაქის რიგითი მცხოვრებლების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. კვლევის პირველ ეტაპზე 27 ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი გამოვლინდა, მათგან ვერიფიკაციის ეტაპზე 13 ინდიკატორი შეირჩა ადგილობრივი თემის წევრების მიერ.

ადგილობრივი საზოგადოების მიერ განსაზღვრული ინდიკატორები სოხუმის მცხოვრებლების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმისა და მოთხოვნილებების კომპლექსურ სურათს გვაძლევს. კვლევის შედეგების მიხედვით, ადგილობრივი საზოგადოება მშვიდობას ძირითადად უსაფრთხოებასთან მიმართებაში განიხილავს. ყოველდღიური მშვიდობის ვერიფიცირებული ინდიკატორების დაახლოებით მეოთხედი საზოგადოების მხრიდან უსაფრთხოების მოთხოვნაზე, ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მზარდ შეშფოთებასა და განსაკუთრებით ომის შიშზე მიუთითებს. ადამიანები ასევე გამოყოფენ განვითარებასთან დაკავშირებულ ინდიკატორებსაც, ხარისხიან განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სანდო ინსტიტუტებზე წვდომის აქცენტით. როგორც უსაფრთხოებასთან, ასევე განვითარებასთან დაკავშირებული ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები გარკვეულ ურთიერთკავშირშია სტაბილურობის შეგრძნებასთან. კონფლიქტის მოულოდნელი გამწვავების შიში აისახება ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე (EPI #10), პირადი უსაფრთხოების განცდაზე (EPI #12), მომავლის დაგეგმვასა (EPI #3) და გარემოს/მოვლენების აღქმაზე. აღსანიშნავია, რომ ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ყურადღებას შინაგან მშვიდობასა და სიმშვიდეზე ამახვილებს. ისეთი ინდიკატორები, რომლებიც ტრანსცენდენტული მშვიდობის კატეგორიას განეკუთვნება, აჩვენებს, რომ სოხუმის მცხოვრებლები მშვიდობას მხოლოდ ნეგატიური მშვიდობის თვალსაზრისით არ განიხილავენ, პოზიტიური მშვიდობა მათ მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაში მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. თუმცა, ტრანსცენდენტული მშვიდობის ადგილობრივი გაგებით, საზღვრები პოზიტიურ და ნეგატიურ მშვიდობას შორის დიდწილად ბუნდოვანია.

ნეგატიური მშვიდობა არის ორგანიზებული ძალადობის ან ძალადობის შიშის არარსებობა.

პოზიტიური მშვიდობა არის დამოკიდებულებები, ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც ქმნიან და ავითარებენ მშვიდობიან საზოგადოებებს.

1. შინაგანი მშვიდობა და უსაფრთხოება - მშვიდობა არის, როცა შინაგანი ჰარმონია გაქვს

ვერიფიკაციის ეტაპზე შინაგან მშვიდობასა და სიმშვიდესთან დაკავშირებულმა ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორმა - **მშვიდობა არის, როცა შინაგანი ჰარმონია/შინაგანი მშვიდობა**

გაქვს – ყველაზე მეტი ხმა მიიღო. თუმცა, როგორც ადგილობრივი თემის წარმომადგენლები განმარტავენ, შინაგანი მშვიდობის როგორც პიროვნულ, ისე საზოგადოებრივ განზომილებებს სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, უსაფრთხოება, შიდასაზოგადოებრივი და გარე ასპექტები.

პიროვნულ დონეზე ყოველდღიური მშვიდობა დამოკიდებულია მხოლოდ პირად და ოჯახურ საკითხებზე, იმ პირობების მიუხედავად, რომელშიც ადამიანს უწევს ცხოვრება. ეს არის ყოველდღიურ ცხოვრებაში მშვიდობის პიროვნული აღქმა და ფსიქიკური ჯანმრთელობა, ხოლო საზოგადოებრივ განზომილებაში ჩნდება ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სტაბილურობასა და მშვიდობის პიროვნულ აღქმაზე საზოგადოებრივი კონტექსტის ზეგავლენასთან. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, *„თუ ომის მუდმივად გეშინია, შინაგანი ჰარმონია არ გექნება.“*[16]

სოხუმში მცხოვრები მოსახლეობისთვის შინაგანი მშვიდობისა და უსაფრთხოების კავშირი ომის არარსებობასა და ომის შიშთან არის გადაჯაჭვული. მიუხედავად იმისა, რომ დღეს შეიარაღებული კონფლიქტი არ მიმდინარეობს, ადამიანების მიერ იმის განცდა, რომ ისინი გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში ცხოვრობენ, მშვიდობის აღქმაზე ძლიერია. ინდიკატორის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიებმა აჩვენა, რომ ხალხი არსებულ ვითარებას მყიფე მშვიდობად აღიქვამს, რომელსაც საფრთხეს ძირითადად ქართული მხარის შესაძლო თავდასხმის შიში და რუსეთთან მჭიდრო კავშირი უქმნის. ამ კონტექსტში ადამიანები უფრო ხშირად პირველ ფაქტორს ასახელებენ. შიში იმისა, რომ ომი შეიძლება ნებისმიერ დროს დაიწყოს, იწვევს გაურკვევლობისა და არასტაბილურობის განცდას, რაც, თავის მხრივ, კვლევაში ჩართული ადამიანების შინაგან სიმშვიდესა და ჰარმონიაზე უარყოფითად აისახება.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა ადამიანებს შენ გარშემო შავები არ აცვიათ.

გარე ფაქტორების გარდა, კვლევის მონაწილეებმა განიხილეს საზოგადოების შიდა დინამიკა, მაგალითად აფხაზურ საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები, საპროტესტო აქციები და პიკეტები, რომლებიც ხალხის უკმაყოფილებას იწვევს. ასევე, ამ ინდიკატორის ინტერპრეტაცია აჩვენებს, რომ ყოველდღიური მშვიდობის აღქმა დამოკიდებულია ადგილობრივ და რეგიონულ დინამიკაზე.

2. უსაფრთხოება - მშვიდობა არის, როცა შენს ქვეყანას უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლია

შემდეგი ყველაზე მეტი ხმის მქონე ინდიკატორი - **მშვიდობა არის, როცა შენს ქვეყანას უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლია –** უსაფრთხოების საკითხს ადგილობრივ გადაწყვეტილების მიმღებ ინსტიტუტებთან აკავშირებს. ადგილობრივი საზოგადოების წევრები აღნიშნავენ, რომ ასეთ უწყებათა მთავარ ფუნქციას მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. მოდერნიზებული და თვითკმარი ჯარი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარ გარანტად აღიქმება, ვინაიდან მათი პრობლემა ქართული მხრიდან თავდასხმის მუდმივი შიშია. უნდა აღინიშნოს, რომ შიში ძირითადად

[16] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი #1, სოხუმი

ქართველების მხრიდან მოსალოდნელი რეპრესიების შესახებ სოციალური მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციით არის გამოწვეული. კვლევის მონაწილეებს განსაკუთრებით ეშინიათ იმის, რომ მათ საცხოვრებელი ადგილიდან გაყრიან ან მოკლავენ. შეიარაღებული კონფლიქტის განახლების შესაძლებლობაზე მსჯელობისას ისინი საფრთხეს პირად და საზოგადოებრივ დონეზე აღიქვამდნენ, რომელთა გამიჯვნა ზოგჯერ შეუძლებელი იყო.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა სახლებს ტყვიების კვალი არ ეტყობა; სახლები არ არის დანგრეული და დამწვარი.

სპორადული გამომწვევების გარდა, დაუცველობის განცდა ასევე დაკავშირებული იყო კონფლიქტის მხარეებს შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შეუძლებლობასთან, რაც მშვიდობის ინდივიდუალურ აღქმაზე სამშვიდობო პროცესების ზემოქმედებაზე მიუთითებს.

ამ ინდიკატორის დამატებით ასპექტად კანონის უზენაესობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ადგილობრივი ინსტიტუტების პასუხისმგებლობა განისაზღვრა. სოხუმელები საუბრობენ რამდენიმე ფაქტორზე, რომლებსაც მათი ყოველდღიური უსაფრთხოების დონის ამაღლება შეუძლიათ. მთავარი ფაქტორი ადგილობრივი კრიმინალური შემთხვევების რაოდენობის შემცირებას უკავშირდება. ასევე, როდესაც დანაშაული ხდება, საზოგადოება პოლიციელებისგან შესაბამისი ზომების მიღებას მოელის, რათა ადამიანებს დასახმარებლად კრიმინალურ ავტორიტეტებთან მისვლა არ დასჭირდეთ. გარდა ამისა, ადგილობრივმა თემებმა დაასახელეს კიდევ ერთი ინდიკატორი - **მშვიდობა არის ის, როდესაც პოლიციას დასახმარებლად მიმართავ და შესაბამის დახმარებას იღებ,** რაც მეტყველებს საკითხის აქტუალობასა და ყოველდღიური მშვიდობისთვის სანდო ინსტიტუტების მნიშვნელობაზე. თუმცა, კვლევის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პასუხისმგებლობას ყოველდღიურ უსაფრთხოებაზე მოქალაქეებიც იზიარებენ, კანონების დაცვისა და სხვათა უფლებების პატივისცემის გზით.

3. სტაბილურობა და ომის შიში - მშვიდობა არის, როცა მომავლის დაგეგმვა შეგიძლია

სოხუმში ხმების რაოდენობის მხრივ მომდევნო ადგილზე მყოფი ინდიკატორი - **მშვიდობა არის, როცა მომავლის დაგეგმვა შეგიძლია** - სტაბილურობის განცდას ეხება. ამ ინდიკატორის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიების დროს გამოვლინდა სტაბილურობის განცდაზე მოქმედი რამდენიმე ფაქტორი, ესენია უსაფრთხოება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ინსტიტუციური სტაბილურობა. ყოველდღიური მშვიდობის წინა ორი ინდიკატორის მსგავსად, ადამიანები მათი ყოველდღიური ცხოვრების არასტაბილურობის მთავარ მიზეზად არსებული მშვიდობის სიმყიფეს ასახელებენ. **ეშინიათ რა, რომ რაღაც მომენტში ვიღაც გადაწყვეტს, რომ ეს საუკეთესო დროა ომისთვის** (EPI #10), ადამიანები ინვესტიციების გაკეთებისა და ბიზნესის დაწყებისაგან თავს იკავებენ.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა სროლის ხმა ომის შიშს არ იწვევს.

გარდა ამისა, ბევრი ადამიანისათვის ყოველდღიური მშვიდობა და

სტაბილურობა დაკავშირებულია სტაბილურ სამუშაო ადგილებსა და ადეკვატურ შემოსავალთან, რომელიც ძირითადი ხარჯებისა და სესხების დაფარვის შესაძლებლობას იძლევა. სამსახურის დაკარგვის შიში ადგილობრივებს საკუთარი შემოსავლების მართვასა და ცხოვრების უკეთ ორგანიზებაში უშლის ხელს. ყოველდღიურ სტაბილურობაზე გავლენას ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებიც ახდენს. მაგალითად, ადგილობრივ მოსახლეობაში **სტაბილური ელექტრომომარაგება** იმდენად აქტუალური მოთხოვნაა, რომ ის ყოველდღიური მშვიდობის ერთ-ერთ ინდიკატორად განისაზღვრა (EPI #8). ანალოგიურად, დღის დასაგეგმად მათთვის მნიშვნელოვანია სტაბილური წყალმომარაგებაც. თუმცა, სტაბილური ელექტრომომარაგების პრობლემა განპირობებულია ისეთი ფაქტორებითაც, რომლებიც ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობას სცდება, ესენია, მაგალითად კრიპტოვალუტის მოპოვება (მაინინგი) და ელექტროენერგიის გადასახადის სისტემა. თითქმის ყველა აცნობიერებს, რომ კრიპტოვალუტის მაინინგის არსებული მასშტაბები ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურას დიდი წნეხის ქვეშ ამყოფებს და ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებებს იწვევს, თუმცა კვლევის მონაწილეთა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული – მაინინგიდან მიღებული შემოსავალი თუ სტაბილური ელექტრომომარაგება, ორად იყოფა. ამასთან, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კრიპტოვალუტის მაინინგიდან სარგებელს პრივილეგირებული ადამიანების მცირერიცხოვანი ჯგუფი იღებს, ხოლო დანარჩენ საზოგადოებას მისგან გამოწვეულ პრობლემებთან შეგუება უწევს. ასევე, ზოგი რესპონდენტი აცნობიერებს ელექტროენერგიის მოხმარებაზე გადასახადის დაწესების აუცილებლობას იმისათვის, რომ ადამიანებმა რესურსების მოხმარებას მეტი ყურადღება მიაქციონ, ზოგიერთი კი ამას დამატებით ტვირთად მიიჩნევს.

მომავალთან დაკავშირებული გაურკვევლობის ერთ-ერთ წყაროს ადგილობრივი პოლიტიკური კლასისა და დღის წესრიგის არაპროგნოზირებადი ცვლილებები წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, ინსტიტუციურ არასტაბილურობას განაპირობებს. ეს განსაკუთრებით აფერხებს გრძელვადიან დაგეგმვას სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ნებისმიერ სფეროში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ხელს უშლის. ადმინისტრაციასთან პოლიტიკასა და პროგრამებთან დაკავშირებით შეთანხმებების მიღწევის მცდელობები ხშირად უშედეგოდ მთავრდება, ვინაიდან ახალი ადმინისტრაცია ახალ მიდგომებს მოითხოვს.

გარდა ამისა, სხვადასხვა ასაკის ადამიანები სტაბილურობას სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და ეს აღქმა დროთა განმავლობაში იცვლება. უფროსი თაობის წარმომადგენლების აზრით, ყველაზე სტაბილური საბჭოთა პერიოდი იყო, რომელსაც 90-იანი წლების სრული ქაოსი და არასტაბილურობა მოჰყვა. ახალგაზრდებს (30-32 წლამდე ადამიანები) შესადარებლად უფრო სტაბილური პერიოდის მოგონებები არ აქვთ, თუმცა მაინც თვლიან, რომ *„ეს სტაბილურობა ნებისმიერ დროს შეიძლება დასრულდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სტაბილურობა არ არის.“*[17]

4. განათლების ხელმისაწვდომობა - მშვიდობა არის, როცა შენს შვილს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვს

ხარისხიან განათლებაზე წვდომა კვლევის მონაწილეებთან ჩატარებული განხილვების ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა. მათი აზრით, **მშვიდობა არის, როცა შენს შვილს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვს.** ზოგიერთისთვის ეს ინდიკატორი წარსულთან ასოცირდება, როდესაც ომის გამო ბავშვებისთვის სკოლაში ან საბავშვო ბაღში სიარული უსაფრთხო არ იყო. ომის შედეგად ბავშვობაში მიღებული ტრავმის გამო მშობლები საკუთარი შვილებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. თუმცა, უმრავლესობამ ეს ინდიკატორი განმარტა, როგორც ბავშვებისთვის ხარისხიან განათლებაზე წვდომა იმისათვის, რომ განათლებული თაობები უკეთ ემსახურონ საკუთარ საზოგადოებას.

[17] ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი, სოხუმი

სოხუმის მცხოვრებლებისთვის ხარისხიან განათლებასა და მშვიდობას შორის მჭიდრო კავშირი შეიძლება აიხსნას აფხაზეთში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონით, რომელიც მოუგვარებელი კონფლიქტით არის გამოწვეული და განათლების სისტემის ხარისხსა და მოდერნიზაციის დონეზე გავლენას ახდენს.[18] აფხაზ ახალგაზრდებს საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ევროპაში სწავლის შესაძლებლობა თითქმის არ აქვთ, ხოლო ზოგიერთი პროგრამა, რომელიც შეიძლება მათთვის საინტერესო იყოს, სოხუმის უნივერსიტეტებში ხელმისაწვდომი არ არის.[19] აქედან გამომდინარე, **შესაძლებლობა ვისწავლო ის, რაც მაინტერესებს, მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გარეშე** (EPI #11) უშუალოდ არის დაკავშირებული სოხუმში მცხოვრები ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების მიერ მშვიდობის აღქმასთან.

ადგილობრივ დონეზე უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობებზე წვდომის ერთ-ერთ შემზღუდავ ფაქტორს სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა წარმოადგენს. კვლევის მონაწილეების თანახმად, კერძო სკოლებში სწავლა ან კერძო მასწავლებელთან მეცადინეობა ბევრს არ შეუძლია, ხოლო თვითგანათლება მიმზიდველი არ არის, ვინაიდან დამსაქმებლები განათლების დამადასტურებელ ოფიციალურ საბუთებს ითხოვენ. სკოლებში სწავლების ხარისხიდან გამომდინარე, ბევრს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად კერძო მასწავლებლების დახმარება სჭირდება. რესპონდენტებმა დაწყებით და საშუალო განათლების საფეხურზე ოჯახისა და სოციალური დახმარების სერვისების სასიცოცხლო მნიშვნელობაზე ისაუბრეს, რათა ყველა ბავშვმა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, შეძლოს სკოლაში სწავლა.

5. ტრანსცენდენტული მშვიდობა - მშვიდობა არის, როცა ადამიანები ისვენებენ, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ და ქალაქში სეირნობენ, ყავას სვამენ

მიუხედავად იმისა, რომ ომის შიშის არარსებობა სოხუმის საზოგადოების მიერ მშვიდობის აღქმის წამყვანი ფაქტორია, კვლევის მონაწილეებმა განსაზღვრეს ინდიკატორები, რომლებიც ყველაზე კარგად გამოხატავენ ყოველდღიურ ცხოვრებაში პოზიტიური მშვიდობის მათეულ აღქმას – **მშვიდობა არის, როცა ადამიანები ისვენებენ, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ და ქალაქში სეირნობენ, ყავას სვამენ.** მათი განმარტებით, ყავის სმა მშვიდობიანი ცხოვრების მომენტს ყველაზე კარგად გამოხატავს და სიმშვიდის განცდას იწვევს. ადამიანის მიერ ყავის უშფოთველად დალევის შესაძლებლობა ყოველდღიური მშვიდობის განცდად დასახელდა. როდესაც ადამიანებს ომი კარგად ახსოვთ, ისინი უფრო მეტად აფასებენ დასვენებისა და ყოველდღიური საქმიანობის, მაგალითად, ყავის სმისა და ზღვის სანაპიროზე სეირნობის შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ კაფეში სოხუმურად მომზადებული ყავის დალევა ადგილობრივი ტრადიციის ნაწილია, რომელსაც ადგილობრივების ჩვევებში ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ამრიგად, თუ სოხუმელები ამ ტრადიციის დაცვას ვერ ახერხებენ, ეს ნიშნავს, რომ მათი ნორმალური ცხოვრების წესი დარღვეულია. საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც მშვიდობის საკითხზე მიმდინარე დისკუსიების დროს ხშირად ცვლილებების საჭიროება სახელდება, სოხუმში რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მშვიდობის აღსაქმელად ასევე აუცილებელია იმის დაფასება, რაც გაქვს.

6. გადაადგილების თავისუფლება - მშვიდობა არის, როცა თავისუფლად შეგიძლია საზღვარგარეთ მოგზაურობა

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორად სოხუმელმა რესპონდენტებმა **საზღვარგარეთ თავისუფლად მოგზაურობის შესაძლებლობაც** დაასახელეს. ეს პრობლემა პირდაპირ არის დაკავშირებული გაჭიანურებულ კონფლიქტსა და აფხაზეთის გადაუწყვეტელ სტატუსთან. საზღვარგარეთ სამოგზაუროდ მათ რუსეთის მოქალაქეობა უნდა მიიღონ, რაც იდენტობის საკითხთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ბევრს არ აქვს რუსული

[18] Dzhikirba, S. and Relitz, S. (2020) Strengthening Internationalisation of Higher Education in Abkhazia: Status-quo, Potentials, Challenges, and Recommendations. Insights from Young Scholars and Peacebuilders from the Caucasus. Corridors Proceedings Vol.II, Berlin.

[19] კანაშვილი, გ. (2022) სად (ვერ) სწავლობენ აფხაზი სტუდენტები? Civil.ge. https://civil.ge/ka/archives/471079 ნანახია 15 მარტი 2022.

პასპორტისა და შესაბამისი დოკუმენტების მომზადების ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა, რაც ამ საკითხს სოციალურ-ეკონომიკურ შრეს უმატებს. ზოგი აფხაზი ვერ იღებს რუსეთის მოქალაქეობას, რაც იზოლაციის განცდას აძლიერებს.

ისევე, როგორც რეგიონის სხვა მცხოვრებლებისთვის, აფხაზებისთვის სამოგზაუროდ და განათლების მისაღებად ძირითადი სამიზნე ევროპის ქვეყნებია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგაზრდებს დასავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტებში ხარისხიანი განათლების მიღების სურვილი აქვთ. თუმცა, მათგან მხოლოდ ძალიან ცოტა თუ ახერხებს მნიშვნელოვანი ძალისხმევითა და ფინანსური რესურსებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. გარდა ამისა, ამ ინდიკატორის განხილვის ერთ-ერთი თემა ახალგაზრდებისთვის აფხაზეთში დაბრუნების მოტივაციის შექმნა გახდა. ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით მშობლების თაობა, ძალიან წუხს აფხაზეთიდან მიგრაციისა და „ტვინების გადინების“ მაღალი მაჩვენებლის გამო. მეორე მხრივ, ბევრი ახალგაზრდა, რომლებსაც განათლება ევროპის ან რუსეთის უნივერსიტეტებში აქვთ მიღებული, აფხაზეთში შესაფერისი სამსახურის პოვნას ვერ ახერხებს. ამასთან, კვლევის მონაწილეები სხვადასხვა დარგში კვალიფიციური კადრებისა და პროფესიონალების ნაკლებობაზე საუბრობენ.

იზოლაციის განცდის გამო **თავისუფლად მოგზაურობის შესაძლებლობისა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობის** (EPI #7) მოთხოვნილება გადაადგილებასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ინდიკატორად ჩამოყალიბდა. ეს ინდიკატორი უცხოელებთან ურთიერთობის მნიშვნელობასა და სხვადასხვა კულტურების მიმართ ინტერესს ასახავს, რაც განსაკუთრებით ძლიერია ახალგაზრდა ქალებსა და მამაკაცებში. ხოლო მშობლების თაობაში, გადაადგილების თავისუფლების განხილვისას, იგრძნობა ტოტალური ბლოკადის შიში, რომელშიც მათ 90-იანი წლების ომის შემდეგ მოუწიათ ცხოვრება.

სოხუმში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები გაჭიანურებულ კონფლიქტის პირობებში საზოგადოების მიერ მშვიდობის აღქმის კომპლექსურობაზე მეტყველებს. ომის დაუძლეველი შიში და დაუცველობის განცდა მიუთითებს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა იმისათვის, რომ ხალხმა ასეთ ვითარებას მშვიდობა უწოდოს. მოუგვარებელი კონფლიქტი ცხოვრების ყველა ასპექტზე აისახება, როგორც მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე ადამიანების თვითრეალიზაციასა და შინაგან სიმშვიდეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური მშვიდობის თითოეული ინდიკატორის ინტერპრეტაციები გაჭიანურებული კონფლიქტის პოლიტიკურ ელემენტებსაც შეიცავს, ადგილობრივი თემების წარმომადგენლები საუბრობენ, თუ რა გავლენას ახდენს კონფლიქტი მათ ყოველდღიურ მშვიდობასა და სტაბილურობაზე, და აქცენტი პოლიტიკურიდან ადამიანზე ორიენტირებულ დისკურსზე გადააქვთ. ინდიკატორები, რომლებსაც ადამიანები მშვიდობის იდენტიფიცირებისათვის იყენებენ, ხშირად ტრადიციებიდან მომდინარეობს, რაც სოხუმელების ადგილობრივი წეს-ჩვეულებების, საზოგადოებრივი მეხსიერებისა და სოციალური ქსოვილის სიღრმისეულ გაგებას მოითხოვს.

ზუგდიდი – ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები (ვერიფიცირებული)

მშვიდობა არის, როცა ...

1. ღირსეული შემოსავალი გაქვს ადამიანს, მოქალაქე არ უნდა ფიქრობდეს ხვალ რა აჭამოს ოჯახს
2. გზა გაიხსნება და მიმოსვლა შეეძლება მარტო დევნილს კი არა, სხვებსაც
3. სოხუმის ნახვა რომ შეგვეძლოს აქაურ მცხოვრებლებს და იმათ შეეძლოთ ბათუმის ნახვა
4. საკუთარი ჭერი გაქვს
   სხვის სახლში არ ცხოვრობ
5. ქუჩაში არ არის ბევრი უპატრონო ძაღლი და მათ გამო გარეთ გასვლის არ გეშინია.
6. არ გაქვს შიში, რომ ხვალ ოკუპანტი მოვა და სახლიდან გაგაგდებს, ან წაგართმევს იმას, რაც წლების განმავლობაში დააგროვე
7. გამყოფ ხაზთან ცხოვრობ, გარეთ გასვლის და ვიღაც შეიარაღებულის გადმოსვლის არ გეშინია
8. ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლები ვიქნებით, ერთმანეთის აზრს გავითვალისწინებთ და პატივს ვცემთ
9. შენ შვილს ბაღსა და სკოლაში კეთილმოწყობილი გარემო აქვს და კომფორტულად შეუძლია ხარისხიანი განათლების მიღება
10. საკუთარი თავის რეალიზების საშუალება გაქვს
11. სამუშაო საათების მერე გარეთ გასვლის და განტვირთვის საშუალება გაქვს (კულტურულ-რეკრეაციული ადგილების ნაკლებობა)
12. გაქვს განცდა, რომ ინტეგრირებული ხარ და არ ხდება თითის გაშვერა „დევნილია“, „გალელია“
13. ღამე მარტო სახლში გაჩერება არ გეშინია, გაზრდილი კრიმინალის გამო
14. შედეგიანი ცვლილებების არ გეშინია რუსეთისგან “საზღვრის” გადმოწევის შიშით
15. პარტიული ნიშნით დაყოფილები არ ვართ
16. განსხვავებული პოლიტიკური აზრის გამოთქმა პრობლემა არ არის
17. არ გეშინია შენი განსხვავებულობის
18. არ ფიქრობ, რომ სამსახური დღეს რომ გვაქვს, ხვალ თუ გვექნება

ყოველდღიური მშვიდობა ზუგდიდში

ზუგდიდში ყოველდღიური მშვიდობის კვლევაში ჩართული იყო 73 ადამიანი – 44 ქალი და 29 მამაკაცი, მათ შორის, 12 ახალგაზრდა. ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების შესახებ ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ზუგდიდისა და 10 მიმდებარე სოფლის მცხოვრებლებმა. რესპონდენტების ასაკი 18-დან 73 წლამდე იყო. ისინი წარმოადგენდნენ როგორც იძულებით გადაადგილებულ პირებს, ასევე მასპინძელ თემებს. კვლევის პირველ ეტაპზე გამოვლინდა მშვიდობის 26 ინდიკატორი, მათ შორის 18 ინდიკატორი ვერიფიკაციის პროცესში თემის წარმომადგენლების მიერ პრიორიტეტულად განისაზღვრა.

ზუგდიდში კვლევის მონაწილეების მიერ მშვიდობის გაგება ასახავს იმ მრავალ ურთიერთდაკავშირებულ საჭიროებასა და გამოწვევას, რომლებსაც ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან. მშვიდობის აღქმა განსხვავებულია და უკავშირდება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ფინანსური არასტაბილურობა და სიღარიბე, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, უკეთესი საცხოვრებელი პირობების საჭიროება, ომის შიში და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც სიმშვიდის განცდას არღვევს. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდელები მშვიდობის იდეას უფრო ფართო ხედვით უდგებიან და მას განიხილავენ, როგორც პოზიტიურ კონცეფციას, რომელიც შეირაღებული კონფლიქტის ან პირდაპირი ძალადობის არარსებობას სცილდება. ყოველდღიურ ცხოვრებაში მშვიდობა რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, კვლევის მონაწილეთა აზრით, მშვიდობისთვის აუცილებელია მიმღებლობა, შემწყნარებლობა და განსხვავებულის პატივისცემა. ყოველდღიური მშვიდობის შესახებ გამართულ საუბრებში ზუგდიდელმა რესპონდენტებმა გამოავლინეს არა მხოლოდ საჭიროებები და პრობლემები, რომლებიც მათ მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმას არღვევენ, არამედ მშვიდობის აღქმის გაძლიერების შესაძლო გზები და საშუალებებიც განიხილეს.

1. ღირსეული შემოსავალი - მშვიდობა არის, როცა ღირსეული შემოსავალი გაქვს ადამიანს, მოქალაქე არ უნდა ფიქრობდეს ხვალ რა აჭამოს ოჯახს

ზუგდიდელებისთვის ღირსეული შემოსავლის აუცილებლობა აღმოჩნდა მთავარი ინდიკატორი, რომელიც ყოველდღიური მშვიდობის აღქმას აყალიბებს. ღირსეული შემოსავლის მნიშვნელობის შესახებ დისკუსიებში უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემები გამოიკვეთა. ზუგდიდის კვლევის მონაწილეებმა აღწერეს ის სირთულეები, რომლებსაც ისინი ხშირად აწყდებიან და რომლებიც დაკავშირებულია არა მხოლოდ უმუშევრობის დაძლევასთან, არამედ სამუშაო ადგილის შენარჩუნებასთან - **მშვიდობა არის, როცა არ ფიქრობ, რომ სამსახური დღეს რომ გვაქვს, ხვალ თუ გვექნება** (#18). კვლევის მონაწილეები მსჯელობდნენ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე და ამტკიცებდნენ, რომ მუდმივი სტრესის გამო სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. სიღარიბე და უმუშევრობა უსამართლობის განცდასაც აძლიერებს და ეკონომიკურად დაუცველი ჯგუფები, შრომისმოყვარეობის მიუხედავად, საკუთარ თავს საზოგადო სიკეთეების მიღმა დარჩენილად განიხილავენ – *„ყოველდღიურად ფიზიკურად მუშად ვმუშაობ, მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულებას თავს არ ვარიდებ, მაგრამ მუშის დღიური ხელფასი 20 ლარია და ამ თანხით ოჯახის ჩრენა შეუძლებელია.“*[20] ღირსეული შემოსავლის საჭიროებას თანაბრად იზიარებენ როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილები, ასევე მასპინძელი თემის წარმომადგენლები.

2. გადაადგილების თავისუფლება – მშვიდობა არის, როცა გზა გაიხსნება და მიმოსვლა შეეძლება მარტო დევნილს კი არა, სხვებსაც

[20] კაცების ფოკუს-ჯგუფი, ზუგდიდი

ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან სიახლოვე ზუგდიდელების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაზე ზემოქმედებს. აქედან გამომდინარე, გამყოფ ხაზზე გადაადგილების თავისუფლება მშვიდობის მნიშვნელოვან ფაქტორად განისაზღვრა. თუმცა, გადაადგილების თავისუფლებაში აისახა ის ორი პრობლემა, რომლებსაც ადამიანები ყოველდღიურად აწყდებიან: პირველი, გამყოფი ხაზის საკონტროლო-გამშვები პუნქტების დახურვა და მეორე, გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე ადგილებში თავისუფლად გადაადგილების შიში.

ზუგდიდი და გალი ერთმანეთზე საკმაოდ დამოკიდებული მუნიციპალიტეტებია მათ შორის არსებული სავაჭრო და ოჯახური კავშირების გამო. გალის მოსახლეობა, რომელიც გამყოფ ხაზს კვეთს და ზუგდიდში საყოფაცხოვრებო პროდუქტებს იძენს, ზუგდიდელებისთვის შემოსავალს წყაროს წარმოადგენს. ზოგიერთი საკუთარ პროდუქტებსაც ყიდის და ზუგდიდის ბაზრებს ამარაგებს. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მიუხედავად, კვლევის მონაწილეებისთვის გაყოფილი ოჯახები ყოველდღიური მშვიდობის უფრო ძლიერი ასპექტი აღმოჩნდა. ადამიანები საუბრობდნენ მათი ოჯახის წევრებზე, რომლებიც ხშირად გამყოფი ხაზის მეორე მხარეს იზოლირებული რჩებიან. დახურული საკონტროლო-გამშვები პუნქტების გამო ყველაზე მწვავე პრობლემები ექმნებათ ხანდაზმულებს, ბავშვებსა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს. სკოლის მოსწავლეებსა და უნივერსიტეტების სტუდენტებს, რომელთა ოჯახის ნაწილი გალში ცხოვრობს, ხშირად უწევთ გაურკვეველი დროით, გადაადგილების აღდგენამდე, გამყოფი ხაზის ამა თუ იმ მხარეს დარჩენა. გამყოფ ხაზთან დაკავშირებული გაურკვეველი ვითარება სერიოზულ პრობლემებს უქმნის ხანდაზმულებსა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს, რომლებსაც ხშირად გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან ოჯახის წევრების ყურადღება სჭირდებათ.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეები ყოველდღიურ მშვიდობაზე, როგორც სოხუმისა და სხვა ადგილების მოსანახულებლად აფხაზეთში გამგზავრების შესაძლებლობაზე საუბრობდნენ. ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა - **მშვიდობა არის, როცა სოხუმის ნახვა შეგვეძლება აქაურ მცხოვრებლებს და იმათ ბათუმის ნახვა შეეძლებათ** (EPI #3) და **მშვიდობა არის, როცა გზა გაიხსნება და მიმოსვლა შეეძლება მარტო დევნილს კი არა, სხვებსაც** (EPI #2).

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა შიშის გარეშე შეგიძლია წახვიდე საკუთარ სახლში [აფხაზეთში] და უკან დაბრუნდე

აღნიშნული ინდიკატორები გადაადგილების თავისუფლების აუცილებლობასთან ერთად გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ საზოგადოებებს შორის უწყვეტი კომუნიკაციის მნიშვნელობას ასახავს. ინდიკატორები, რომლებიც, აფხაზეთში გადასვლისა და უკან დაბრუნების მიზნით გამყოფ ხაზზე თავისუფალი გადაადგილების მნიშვნელობაზე მიუთითებს, მოიცავდა მეორე თემასაც, რომელიც ვერიფიკაციის პროცესში კვლევის მონაწილეების მიერ პრიორიტეტულად განისაზღვრა. კვლევის მონაწილეები საუბრობდნენ აფხაზეთის მონახულებასა და უკან დაბრუნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა დაბრუნების საკითხი მხედველობის მიღმა არ დარჩენილა,

საუბრები უფრო ხშირად ეხებოდა დევნილთა მიერ აფხაზეთში სტუმრობას და არა მათ აფხაზეთში დაბრუნებას, რაც კვლევის მონაწილეთა აზრით, მოუგვარებელი და გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში უფრო რეალისტური და განხორციელებადია. გადაადგილების თავისუფლების გარშემო მიმდინარე დისკუსიები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, განსაკუთრებით გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე სოფლების მცხოვრებლების, კიდევ ერთ მწვავე პრობლემას შეეხო. ადამიანები თვლიან, რომ მუდმივი რისკის ქვეშ არიან და გაურკვეველ რეალობაში ცხოვრობენ – ისინი, რაიმე მიზეზისა თუ ახსნა-განმარტების გარეშე, შეიძლება ნებისმიერ დროს დააკავონ ან მათზე ეჭვი მიიტანონ.

3. უკეთესი საცხოვრებელი - მშვიდობა არის, როცა საკუთარი ჭერი (სახლი) გაქვს.

უკეთესი საცხოვრებლის საჭიროებამ, როგორც ყოველდღიური მშვიდობის კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა ასპექტმა, ზედაპირზე სამი ურთიერთდაკავშირებული საკითხი გამოიტანა. კვლევის მონაწილეების აზრით, საკუთარი ჭერის, ანუ სხვა სიტყვებით, სათანადო საცხოვრებლის ქონა, აქტუალურია არა მხოლოდ დევნილებისთვის, არამედ მასპინძელი თემებისთვისაც. თუმცა, დევნილებისთვის ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას, ვინაიდან მათ ხშირად „უსახლკაროებად“ თვლიან, რაც ხშირ შემთხვევაში არსებულ ვითარებას ასახავს, კერძოდ იმას, რომ იძულებით გადაადგილებულ ბევრ ადამიანს დღემდე არ აქვს სათანადო საცხოვრებელი. ეს ასევე მიუთითებს იმ სტიგმაზე, რომელიც დღემდე არსებობს და რომელიც დევნილების მარგინალიზაციასაც იწვევს.

უკეთესი საცხოვრებლის საჭიროება დასახელდა, როგორც დევნილთა და მასპინძელი თემების სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად მოწყვლადი ცალკეული ჯგუფების საერთო პრობლემა. თუმცა, საცხოვრებლის საკითხი უფრო მნიშვნელოვანია დევნილებისთვის, ვინაიდან ისინი, როგორც წესი, დანგრეულ საერთო საცხოვრებლებში ან სხვის სახლებში ცხოვრობენ. ერთ-ერთ ინდიკატორში სწორედ ეს საკითხია ასახული – **მშვიდობა არის, როცა სხვის სახლში არ ცხოვრობ** (EPI #4). გარდა ამისა, დევნილთა განსახლების გაჭიანურებული პროცესი უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ფსიქიკურ და ფსიქოლოგიური მდგომარეობაზე. დევნილები განსახლების დაუსრულებელ პროცესს ფსიქოლოგიურ ძალადობად მიიჩნევენ, რომელიც მათ უსასრულო მოლოდინის ტყვეობაში ამყოფებს – *„ჩემი ქმარი ომის ვეტერანია, ბინას უკვე 25 წელია ველოდებით; ამასობაში ჩემი შვილებიც გაიზარდნენ.“*[21]

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც კვლევის მონაწილეების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაზე უარყოფითად მოქმედებს, არის „დევნილად“ ყოფნასთან დაკავშირებული ჯერ კიდევ არსებული სტიგმა. დევნილებს ზუგდიდში ხშირად „გალელებად“ ან სულაც „ლტოლვილებად“ მოიხსენიებენ. კვლევის მონაწილეები დევნილთა სტიგმატიზაციის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქვამდნენ. ზოგიერთი საუბრობდა იმ ცვლილებაზე, რომელსაც არა მხოლოდ დევნილთა შორის, არამედ მასპინძელი თემების აღქმაშიც მოხდა – *„10 წლის წინაც კი მე შემეძლო მეთქვა, ვინ იყო დევნილი და ვინ არა, ახლა ამაზე აღარ ვფიქრობ.“* [22] ზოგიერთი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და საუბრობს იმ „იარლიყებზე“, რომლებიც დევნილების ან გალელების მიმართ არსებობს. მათი აზრით, შესაძლოა, ზოგიერთი არ ეთანხმება დევნილთა მიმართ იარლიყების გამოყენებისა და სტიგმატიზაციის საკითხის სერიოზულად გათვალისწინების აუცილებლობას, მაგრამ როდესაც იცი, რომ ეს საკითხი აქტუალურია და მას გვერდს უვლი, ან ნაწილობრივ მოგვარებულად და, შესაბამისად, განხილვისთვის არააქტუალურად მიიჩნევ, ეს პრობლემის უგულებელყოფას ჰგავს.

4. ყოველდღიური მშვიდობის ყოფითი ნიუანსები – მშვიდობა არის, როცა ქუჩაში არ არის ბევრი უპატრონო ძაღლი და მათ გამო გარეთ გასვლის არ გეშინია.

სისტემურ საკითხებთან ერთად, ყოველდღიური მშვიდობის აღქმაში ასახულია ადამიანების ყოველდღიური, ყოფითი საკითხებიც. მაგალითად, ზუგდიდში

[21] ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფი 2, ზუგდიდი
[22] ვერიფიკაციის ინტერვიუ 1, ზუგდიდი

ყოველდღიური მშვიდობის მეხუთე ინდიკატორი უპატრონო ძაღლების პრობლემას ეხება. ქუჩის ძაღლები ზუგდიდელებს ბევრ პრობლემას უქმნის. კვლევის მონაწილეებმა რამდენიმე საკითხი გამოკვეთეს – ზოგიერთი ძაღლი აგრესიულია და ადამიანებს კბენს. ამ მხრივ ბავშვები განსაკუთრებით დაუცველი არიან. ქალაქის მცხოვრებლებს ქუჩებში სეირნობისას უსაფრთხოების პრობლემა ექმნებათ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქუჩის ძაღლები დიდ ჯგუფებად დადიან. რესპონდენტებმა პრობლემად დაასახელეს ქუჩის ძაღლების მდგომარეობაც და აღნიშნეს, რომ ზოგიერთი ადამიანი ხშირად ქუჩის ძაღლებზე ძალადობს, რაც მიუღებელია. ქუჩის ძაღლებთან დაკავშირებულმა ინდიკატორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ყოველდღიური მშვიდობის მნიშვნელობა ყოფით ცხოვრებაში. კვლევის მონაწილეება ისაუბრეს პრობლემის მოგვარების შესაძლებლობებზე, რომელიც ზუგდიდელებს ყოველდღიურ ცხოვრებაში სტრესის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორს მოუხსნიდა.

5. მხავაღფეხოვნების მიმღებღობა - მშვიდობა ახის, ხოცა ეხთმანეთის მიმახთ შემწყნახებღები ვიქნებით, ეხთმანეთის აზხს გავითვაღისწინებთ და პატივს ვცემთ.

რამდენიმე ინდიკატორი ყოველდღიური მშვიდობისთვის მიმღებლობისა და ტოლერანტობის მნიშვნელობას ეხება. კვლევის მონაწილეებმა ორი თემა წამოწიეს: პირველი, საზოგადოების პოლიტიკური [პარტიული] პოლარიზაცია და მეორე, განსხვავებულის შიში/მიუღებლობა. შემდეგი ორი ინდიკატორი ხაზს უსვამს პარტიული. პოლიტიკური ნიშნით დაყოფის აქტუალურობას – **მშვიდობა არის, როცა პარტიული ნიშნით დაყოფილები არ ვართ (EPI #15)** და **მშვიდობა არის, როცა განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვა პრობლემას არ წარმოადგენს** (EPI #16). კვლევის მონაწილეებმა პარტიული კუთვნილების მიხედვით საზოგადოების გაყოფის მაგალითები განიხილეს: *„შეიძლება მოხდეს ისე, ხომ ექიმმა ახ მიგიღოს, ხადგან იცის, ხომ სხვა პოლიტიკუხ პახტიას უჭეხ მხახს“;*[23] *„ეხთხელ მითხხეს – უცნაუხია, ონკანის წყაღი ხომ გაგიკეთეს, ხადგან ოპოზიციონეხი ხახო“;*[24] *"ზოგჯეხ მეზობელიც კი ახ წაგიყვანს მანქანით მხოლოდ იმის გამო, ხომ მხახი სხვა პახტიას დაუჭიხე."*[25] პოლიტიკური ნიშნით ღრმად ფესვგადგმული დაყოფა უარყოფითად ზემოქმედებს ზუგდიდში კვლევის მონაწილეთა მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაზე და მათი ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას არღვევს. აღსანიშნავია, რომ კვლევა ზუგდიდში ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების წინა პერიოდში ჩატარდა, რამაც კვლევის მონაწილეების მიერ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული საზოგადოების პოლარიზაციის საკითხების განხილვა ერთგვარად წაახალისა.

თუმცა, ზოგიერთმა რესპონდენტმა პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მიღმა მიმღებლობისა და ტოლერანტობის საჭიროებაზე ისაუბრა. შემდეგი ორი ინდიკატორი ასახავს იმას, თუ როგორ აკავშირებენ ადამიანები პატივისცემასა და მიმღებლობას ყოველდღიურ მშვიდობასთან – **მშვიდობა არის, როცა ადამიანები ერთმანეთის მიმართ ტოლერანტული არიან, ითვალისწინებენ და პატივს**

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა მუნიციპალიტეტის ყველა სტრუქტურა გამართულად მუშაობს.

მშვიდობა არის, როცა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში არსებობს სივრცე სადაც მიხვალ და იცი, რომ მოგისმენენ.

[23] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი 2, ზუგდიდი
[24] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი 2, ზუგდიდი
[25] ვერიფიკაციის ინტერვიუ 1, ზუგდიდი

სცემენ ერთმანეთის მოსაზრებებს (EPI #16) და **მშვიდობა არის, როცა განსხვავებულობის არ გეშინია** (EPI #17). ორივე ინდიკატორმა გამოიწვია დისკუსია ჯანსაღი საზოგადოების შესახებ, რომელიც „განსხვავებული“ ადამიანებისა და მოსაზრებების დაუსაბუთებელი შიშებისაგან თავისუფალია. დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ განსხვავებულობა (იდენტობის ან ფიზიკური ნიშნით) ან ნიშნავს იმას, რომ ასეთი ადამიანი ცუდია, ის უბრალოდ განსხვავებულია.

6. ომის შიში – მშვიდობა არის, როცა არ გაქვს შიში, რომ ხვალ ოკუპანტი მოვა და სახლიდან გაგაგდებს, ან წაგართმევს იმას, რაც წლების განმავლობაში დააგროვე

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა გონება პრობლემებისგან თავისუფალი შემიძლია ჩიტების ჭიკჭიკს და ბუნების ხმას მოვუსმინო.

ომგამოვლილ ადამიანებში ომის შიშს ფესვები ღრმად აქვს გადგმული. გაჭიანურებული კონფლიქტი მათში ომის მოლოდინს კიდევ უფრო აძლიერებს. კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს ინდიკატორები, რომელიც ორ პრობლემას ასახავს – პირველი, ომგადატანილი ადამიანების მოურჩენელი ტრავმა და მეორე, გაურკვეველ ვითარებაში ცხოვრება. შემდეგი ინდიკატორი აჩვენებს, თუ რამდენად ტრავმირებული არიან ომგადატანილი ადამიანები – **მშვიდობა არის, როცა გამყოფ ხაზთან ცხოვრობ, გარეთ გასვლის და ვიღაც შეიარაღებულის გადმოსვლის არ გეშინია** (EPI #7). ადამიანები საუბრობდნენ იმ განსხვავებულ გრძნობებზე, რომლებიც მათ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადგილობრივი სამხედროების ან პოლიციელების დანახვისას ეუფლებათ. ხშირად სამხედროების ან პოლიციელების დანახვა მათში უსაფრთხოების განცდას არ აღძრავს. პირიქით, ზოგჯერ ეს მათ შეშფოთებას იწვევს, ვინაიდან მათთვის სამხედროები მოახლოებულ საფრთხესთან ასოცირდებიან. თუმცა, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებს უფრო მეტად გაურკვევლობა აწუხებს, კერძოდ, იმის არცოდნა, გადმოკვეთენ თუ არა რუსი სამხედროები ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზს მეორე მხრიდან.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა ფეიერვერკის ხმა იარაღის გასროლასა და ტანკის ხმასთან არ ასოცირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ შიშთან დაკავშირებული ზოგიერთი ინდიკატორი კრიმინალის საკითხსაც შეეხებოდა – **მშვიდობა არის, როცა ოჯახთან ერთად ქუჩაში სეირნობისას იცი, რომ თავს არავინ დაგესხმება და მშვიდობა არის, როცა ღამით წყნარად გძინავს და არაფრის გეშინია.** კვლევის მონაწილეებმა კრიმინალებისგან დაცვაში ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისა და დაცვის მექანიზმების მიმართ ნდობის ნაკლებობაზე ისაუბრეს.

ქალებისათვის ყოველდღიური მშვიდობა არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც მათ გამძლეობის შენარჩუნებაში ეხმარება. ზუგდიდელი ქალების მთავარ პრობლემებად, რომლებიც მათ ყოველდღიურ მშვიდობას არღვევს, ოჯახური ძალადობა და იძულებითი მიგრაცია დასახელდა. ქალები ხშირად ხდებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. მათი ფინანსური მოწყვლადობა, ისევე როგორც ზოგიერთი კულტურული ნორმა, რომელთა გამოც ქალები გადატანილ ძალადობაზე საჯაროდ არ საუბრობენ, ამ პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს. ქალებზე ასევე უარყოფითად მოქმედებს უმუშევრობითა და სიღარიბის გაზრდილი დონით გამოწვეული იძულებითი მიგრაცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ქალს ოჯახის მარჩენალის ფუნქცია აქვს და

შემოსავლისთვის სხვა ქვეყნებში უწევს წასვლა.

ზუგდიდში კვლევის მონაწილეებმა ყოველდღიური მშვიდობის იდეა სხვადასხვა კუთხიდან განიხილეს. მშვიდობა ყოველდღიურ ცხოვრებაში უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, უკეთესი საცხოვრებლით, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე გადაადგილების თავისუფლებით, ნაკლები გაურკვევლობითა და ომის შეშის არქონით ვლინდება. კვლევაში ჩართული ზუგდიდის მოსახლეობისათვის მშვიდობას ღრმა და მრავლისმომცველი მნიშვნელობა აქვს. მათთვის მშვიდობა, განსაკუთრებით გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში, მხოლოდ პირდაპირი ძალადობის/ომის არარსებობა არ არის.

ახალგორი – ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები (ვერიფიკაციის გარეშე)[26]

მშვიდობა არის, როცა ...

- ამ ყველაფერს ვილაპარაკებ და არ გთხოვ ჩემი სახელის დამალვას
- აქაური და ქართული მხარე შერიგდებიან, ერთმანეთს აპატიებენ ძველ წყენებს
- სიბერეში [გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები] შვილიშვილების ნახვა არ გენატრება
- არ გეშინია, რომ მეზობელი გითვალთვალებს
- საკუთარი სურვილით შეგიძლია წასვლა-მოსვლა და ეჭვით არავინ გიყურებს
- "ჯაშუშს" არ გეძახიან
- არ გაქვს მუდმივი სურვილი იმისა, რომ აქედან გაიქცე და ყველაფერი მიატოვო
- ბავშვებს სკოლის ასაკში არ უწევთ [რუსული] ჯავშანმანქანების ერთმანეთისგან გარჩევა
- ჩაწყობა არ გჭირდება აკადემიური ხარისხის მისაღებად და სამსახურის დასაწყებად
- ომი არ არის
- იარაღის სროლის ხმა არ გაღვიძებს
- შეგიძლია მომავალი დაგეგმო და არ გეშინოდეს, რომ ომი გეგმებს შეგიცვლის
- [მეურნეობის პატრონისთვის] დღე ზარალის გარეშე ჩაივლის
- კანონი იმის მიხედვით არ იცვლება ცხინვალსა და თბილისში ვინ რა ხასიათზე გაიღვიძა
- თმის შესაჭრელად ცხინვალში წასვლა არ გიწევს
- ცხინვალში ქართულად ლაპარაკის არ გეშინია
- ომს სახლი მთელი გადაურჩა
- შვილები ჯანმრთელად და ბედნიერად გყავს
- ხელფასები და პენსიები თავის დროზე მოდის
- სატელეფონო კომუნიკაცია შეუფერხებლად მუშაობს
- ეთნიკურობის გამო გვარის დამალვა არ გჭირდება [ეთნიკური ოსები]

[26] ახალგორში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევა ერთ ეტაპად ჩატარდა და ვერიფიკაციის პროცესი არ გაუვლია.

ყოველდღიური მშვიდობა ახალგორში

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევა ახალგორში 2021 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩატარდა. ადგილობრივმა მკვლევარმა ყოველდღიური ცხოვრებისა და მშვიდობის შესახებ საუბრებში დაბა ახალგორსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 24 ადამიანი ჩართო. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა ქალმა და 9 მამაკაცმა, მათ შორის, 4-მა ახალგაზრდამ. ახალგორის ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები არ არის ვერიფიცირებული და ინდივიდუალურ, სიღრმისეულ, ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუებს ემყარება. კვლევის მეთოდოლოგია კონტექსტის გათვალისწინებით ადაპტირდა, კერძოდ, კვლევის მონაწილეების უსაფრთხოებისა და ღია საუბრებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. ყოველდღიური მშვიდობის შესახებ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ახალგორში მცხოვრებმა როგორც ქართველებმა, ასევე ოსებმა.

კვლევის მონაწილეები ახალგორიდან ყოველდღიურ მშვიდობაზე ფარდობითი ცნებებით საუბრობდნენ. ზოგიერთისთვის ომის არარსებობა მშვიდობას უკავშირდებოდა, ხოლო სხვებისთვის გაჭიანურებული კონფლიქტის რეალობა ერთმნიშვნელოვნად მშვიდობასთან არ ასოცირდებოდა. მშვიდობასა და ომის შესახებ საუბრებში განსხვავებული შეხედულებები და გამოცდილებები გამოიკვეთა. მაგალითად ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ახალგორს ომით პირდაპირ გამოწვეული ნგრევა არ გამოუცდია, თუმცა რაიონს მის მძიმე შედეგებთან გამკლავება წლების განმავლობაში უწევს. ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ მშვიდობა უფრო დააფასეს. თუმცა, ზოგიერთმა ისაუბრა ომის შიშზე, რომელიც მათ ცხოვრებაში მუდმივად არსებობს - *„მე ვიცი, ხა ახის ომი, ხას ჰგავს, მაგხამ მე ახ ვიცი, ხა ახის მშვიდობა.“*[27]

ახალგორში ყოველდღიური ცხოვრება გაჭიანურებული კონფლიქტის რეალობას ასახავს. კვლევის მონაწილეებმა ჩაკეტილი „საზღვრების“, გაურკვევლობისა და დამთრგუნავი მონოტონურობის პირობებში ცხოვრებაზე ისაუბრეს. ყოველდღიური ცხოვრების შესახებ საუბრის პროცესში მონაწილეებმა წლების განმავლობაში მომხდარი ცვლილებებიც აღნიშნეს. ზოგიერთს ომამდელი პერიოდისა და იმ დროს შედარებით მშვიდობიანი ვითარების გარკვეული ნოსტალგია აქვს. თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტი 1990-იან წლებსა და 2000-იანი წლების პერიოდს ერთმანეთისგან განასხვავებდა. უკანასკნელი პერიოდი ახალგორელებისთვის უფრო მშვიდობიანი იყო, როდესაც არ ხდებოდა ეთნიკური ნიშნით დაყოფა და რეალობაც არ იყო დამთრგუნველი, ხოლო 1990-იან წლებში ოსების ნაწილს საკუთარი გვარის დამალვა ან შეცვლა მოუწია იმისათვის, რომ თავი უფრო დაცულად ეგრძნო.

გაჭიანურებული კონფლიქტი ახალგორელების ყოველდღიურობაზე დიდ გავლენას ახდენს. ადამიანებმა ისაუბრეს მოუგვარებელი კონფლიქტის იმ ასპექტებზე, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ზემოქმედებს. კვლევის მონაწილეებმა საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებას დამთრგუნველი მონოტონურობა უწოდეს. მათ თქვეს, რომ ისინი ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ, ერთსა და იმავე ადამიანებს ხვდებიან და ერთი და იგივე, თითქმის წინასწარ გაწერილი განრიგით ცხოვრობენ. ზოგიერთმა ახალგორში ცხოვრება დაახასიათა, როგორც „ცხოვრება შესაძლებლობების გარეშე“ - ეს არის მდგომარეობა, როდესაც იცი, რომ ხვალინდელი დღე დღევანდლისგან დიდად განსხვავებული არ იქნება. კვლევის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს შიდა მიგრაციის ზრდაზე, როდესაც სულ უფრო მეტი ადამიანი ტოვებს სახლს და გადადის საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, როგორც წესი, წეროვანში.[28] ჩაკეტილ „საზღვრებში“ ცხოვრება და გაურკვევლობა ახალგორის მცხოვრებლების ფსიქოლოგიური მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს. ბევრმა ადამიანმა ახალგორში ცხოვრება ციხეში ცხოვრებას შეადარა, ასევე ისაუბრეს მუდმივ შფოთვაზე, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებას ახლავს თან.

[27] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, მამაკაცი, 24 წლის, ქართველი.

[28] ეთნიკურად ქართველ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ყოველდღიური ცხოვრების იმ ასპექტების განსაზღვრა, რომლებიც მშვიდობის აღქმას ამყარებს ან არღვევს, მათი ვერიფიკაციის შესაძლებლობის გარეშე რთული ამოცანა აღმოჩნდა, ვინაიდან არ შეგვიძლია იმის თქმა, თუ როგორ ესმით ახალგორელებს შემუშავებული ინდიკატორები და რომელია მათგან პრიორიტეტული. თუმცა, შეგროვებული მონაცემებისა და ადგილობრივ მკვლევართან რეგულარული საუბრების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ახალგორში ყოველდღიური მშვიდობის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ასპექტები.

- ***შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობა – მშვიდობა არის, როცა ომი არ არის.***

ახალგორის მცხოვრებლებისთვის ყოველდღიური მშვიდობის ერთ-ერთ პირველი აღქმა „ომის არარსებობას“ უკავშირდება – *„ომი არ არის, ე.ი. მშვიდობაა.“*[29] შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობის გარდა, ბევრმა მონაწილემ მშვიდობის ინდიკატორად „დაუზიანებელი, მთელი სახლი“ დაასახელა – **მშვიდობა არის, როცა ომს სახლი მთელი გადაურჩა.** თუმცა, როცა ხალხი დაუზიანებელ სახლებზე საუბრობდა, ისინი 2008 წლის ომს იხსენებდნენ, კერძოდ, ომის დღეებში მათი სახლები რომ არ დაინგრა. რაც შეეხება ომის შედეგებისა და გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში ცხოვრების გამო მიტოვებულ სახლებს, მათი ნაწილი უკვე დაინგრა, ხოლო ნაწილი – სავალალო მდგომარეობაშია.

აღსანიშნავია, რომ ახალგორში შედარებითი სიმშვიდე დახასიათდა არა მხოლოდ „ომის არარსებობის“, არამედ ყოველდღიური კრიმინალის შემცირებული შემთხვევების თვალსაზრისითაც. კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს, რომ აღარ ეშინიათ რეიდების, იშვიათად ესმით სროლის ხმა და მათ ყოველდღიურად არავინ ძარცვავს. მათი დაკვირვებით, რაიონში დანაშაულის მაჩვენებელი შემცირდა. თუმცა, ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ქალებთან შედარებით ახალგაზრდა მამაკაცების შემოწმება და დაკითხვა უფრო ხშირია. ზოგიერთი რესპონდენტისთვის ახალგორში არსებული რეალობა მშვიდობასთნ ასოცირდებოდა თუმცა, ბევრი მონაწილე დაფიქრდა, არის თუ არა ეს შედარებითი სიმშვიდე ნამდვილი მშვიდობა. პოზიტიური მშვიდობის ასპექტების გამოვლენის დროს, ბევრმა დაასკვნა, რომ ახალგორში ამჟამად არსებული ვითარება ნამდვილი მშვიდობისგან ძალიან შორს არის.

- ***გამოხატვის თავისუფლება – მშვიდობა არის, როცა ამ ყველაფერს ვიღაპარაკებ და არ გთხოვ ჩემი სახელის დამაღვას***

მიუხედავად იმისა, რომ ახალგორის ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები არ არის ვერიფიცირებული, ორმა თემამ, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება და ომის შიშის არქონა ყველაზე მეტი ინდიკატორი დააგროვა. კვლევის მონაწილეებმა ყოველდღიური მშვიდობის აუცილებელ ასპექტად საკუთარი პრობლემების შიშის გარეშე გამოთქმისა და შეზღუდვების გარეშე ცხოვრების საჭიროება განიხილეს. ინდიკატორმა **მშვიდობა არის, როცა საუბრის აღარ მეშინია და არც საკუთარ სახელს ვმალავ -** მშვიდობის აღსაქმელად თავისუფლების მნიშვნელობა გამოავლინა. ახალგორში კვლევის მონაწილეები ხშირად იმეორებდნენ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა *„არავინ გკარნახობს, რა უნდა გააკეთო“, „არავინ გიზღუდავს რაიმეს გაკეთებას ან სადმე წასვლას“, „შენ იღებ გადაწყვეტილებებს და წყვეტ, როგორ მოაწყო საკუთარი ცხოვრება“.* ისინი ამ ფრაზებს იმის აღსაწერად იყენებდნენ, თუ რა შეზღუდვებს აწყდებიან ახალგორში მცხოვრები ადამიანები ყოველდღიურად და როგორ არ შეიძლება ასეთი ცხოვრების მშვიდობიან ცხოვრებად მიჩნევა.

დაწესებული შეზღუდვების გარდა, კვლევის მონაწილეებმა საკუთარი საზოგადოების შიგნით ნდობის არარსებობასა და უნდობლობით გამოწვეულ ყოველდღიურ სირთულეებზე ისაუბრეს. ამ საკითხების გარშემო მიმდინარე საუბრებს ყველაზე კარგად შემდეგი ორი ინდიკატორი ასახავს: **მშვიდობა არის, როცა არ გეშინია, რომ მეზობელი გითვალთვალებს და მშვიდობა არის, როცა "ჯაშუშს" არ გეძახიან.**

ცხადია, გარკვეული შეზღუდვები ახალგორში მყარად ფესვგადგმული უნდობლობით არის განპირობებული. თუმცა, ძნელია იმის თქმა, რამდენად არის ეს უნდობლობა გარე

[29] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, მამაკაცი, 40 წლის, ქართველი.

მოქმედი პირების მიერ მიზანმიმართულად დათესილი და რომელი ადგილობრივი დინამიკა აძლიერებს მას. ახალგორის მცხოვრებლების კიდევ ერთი შიში ცხინვალში ქართულად საუბრის შიშს უკავშირდება, რომელიც გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებს ცხინვალში ქართულად საუბრის გამო ბოლო დროს შეურაცხყოფის ან დისკრიმინაციის კონკრეტული შემთხვევები არ დაუსახელებიათ, ამგვარი შიშის არსებობა იმ შეზღუდვაზე მეტყველებს, რომელსაც ახალგორის ქართულენოვანი მოსახლეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება.

„ჩვენ ხმის აიმქონე ხაღხი ვაით“[30] - თქვა ერთ-ერთმა რესპონდენტმა ინტერვიუს დროს და განმარტა, თუ რას ნიშნავს მისთვის ხმის არქონა - ეს ნიშნავს პროტესტის გამოხატვის შეუძლებლობას, უიმედობისა და დამთრგუნავი იმედგაცრუების განცდას იმის გამო, რომ არაფერი იცვლება და საკუთარ ცხოვრებაზე გავლენას ვერ ახდენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების და კვლევის მონაწილეების კონკრეტული აღქმებისა და მოსაზრებების ახალგორის მთელ მოსახლეობაზე განზოგადება, აშკარაა, რომ *„ხმის აიქონა“* რაიონში მცხოვრები ადამიანების ზოგად განწყობასა და რეალობას აღწერს.

- ***ომის შიშის აიქონა – მშვიდობა აის, ოცა შეგიძღია დაგეგმო მომავაღი იმ იმედით, ომ ომი შენს გეგმებს აი შეცვღის.***

ახალგორის მოსახლეობის მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმას ომის მუდმივი შიშიც უშლის ხელს. კვლევის მონაწილეებმა ამგვარი შიშის ისეთ მარტივ გამოვლინებებზე ისაუბრეს, როგორიცაა ის რომ ბავშვებს სკოლის ასაკიდან უწევთ საბრძოლო იარაღის ერთმანეთისგან გარჩევა ან ხმაურის შიში, რომელიც უმეტესწილად იარაღის გასროლის ხმასთან ასოცირდება. **მშვიდობა არის, როცა ბავშვებს სკოლის ასაკში არ უწევთ [რუსული] ჯავშანმანქანების ერთმანეთისგან გარჩევა** – ეს ინდიკატორი ასახავს იმ რეალობას, რომელსაც გაჭიანურებული კონფლიქტების პირობებში და გამყოფ ხაზებთან ახლოს მცხოვრები ადამიანები აწყდებიან. გამყოფ ხაზებთან ახლოს გაჭიანურებული კონფლიქტის აღქმა უფრო ძლიერია. მაღვიძარას ზარით, და არა სროლის ხმით, გაღვიძება დასახელდა კიდევ ერთ ინდიკატორად, რომელიც ყოველდღიური მშვიდობის განცდას აძლიერებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეები აფასებენ ამჟამინდელ სიმშვიდეს, ბევრმა მომავლის აბსოლუტურ გაურკვევლობაზეც ისაუბრა და ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა – *„ღაჰწმუნებუღი ვაჰ, ეჰთ ღღეს სჰოღის ხმა გამაღვიძებს.“*[31]

მშვიდობა არის ის, როდესაც სრულის ხმა არ გაღვიძებს.

ომის ეს ძლიერი შიში ყოველდღიური მშვიდობის კიდევ ერთ ინდიკატორს შეადგენს - **მშვიდობა არის, როცა არ გაქვს მუდმივი სურვილი იმისა, რომ აქედან გაიქცე და ყველაფერი მიატოვო.** ამ ინდიკატორმა ახალგორში არსებული არასტაბილურობა და მომავლის გეგმების დასახვის სირთულე გამოაჩინა. კვლევის სხვა არეალების მსგავსად, ახალგორში ჩატარებული კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, შეგეძლოს მომავლის დაგეგმა და არ გეშინოდეს, რომ ომი ყველაფერს შეცვლის. ამ ინდიკატორის კვლევის ყველა არეალში განმეორება მიუთითებს, რომ ომგამოვლილ ადამიანს ომის შიში

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები რეფლექსიისთვის:

ის, როდესაც კანონები არ იცვლება მაშინ, როდესაც ვიღაც ცხინვალში ან თბილისში დილით მარცხენა ფეხზე ადგება.

[30] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, ქალი 61 წლის, ქართველი.
[31] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, მამაკაცი, 47 წლის, ოსი.

სამუდამოდ მიჰყვება, მიუხედავად იმისა, გაჭიანურებული კონფლიქტის რა პირობებში ცხოვრობს ის.

- ***ოჯახები ახ ახის გაყოფილი - მშვიდობა ახის, ჰოცა სიბეჰეში [გამყოფი ხაზის მეოჰე მხაჰეს მცხოვჰები] შვიღიშვიღების ნახვა ახ გენატჩება***.

ახალგორში მცხოვრები ოჯახების ნაწილი გამყოფი ხაზის მეორე მხარეს – საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ან ვლადიკავკაზში (რუსეთი) ცხოვრობს. ამიტომ, გაყოფილი ოჯახების საკითხი, კერძოდ ოჯახის ყველა წევრის ნახვის შესაძლებლობა სურვილის ან საჭიროების შემთხვევაში, ყოველდღიური მშვიდობის მნიშვნელოვან ასპექტად დასახელდა – *„მშვიდობა ახის, ჰოცა გაქვს საკუთახ სახღში ოჯახის ყვეღა წევჰის ეჰთად შეკჰების შესაძღებღობა.“*[32] ანალოგიური ინდიკატორი გამოიკვეთა კვლევის სხვა არეალებშიც, კერძოდ გალში. აღნიშნული ინდიკატორი აჩვენებს, რომ ომგამოვლილი ადამიანები ოჯახის წევრებისა და საყვარელი ადამიანების დაკარგვის ტკივილს მუდმივად ატარებენ. გაყოფილი ოჯახები ახალგორსა და გალში მცხოვრებლებისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს და ეს მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან ბევრი მათგანი საკუთარი ოჯახების წევრებთან შეხვედრას თვეებისა ან წლების განმავლობაში ვერ ახერხებს.

ზოგიერთმა რესპონდენტმა გაყოფილი ოჯახების საკითხი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან გამყოფი ხაზის კვეთაზე გამკაცრებულ შეზღუდვებსა და რაიონში გაუარესებულ პირობებთან დააკავშირა, რის გამოც ბევრი ოჯახი იძულებული გახდა ჩართულიყო ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ შექმნილ „ოჯახების გაერთიანების პროგრამაში.“[33] 2020 წელს დაწყებული ინიციატივა, რომელიც ახალგორში მცხოვრებ ქართველებს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებთან გაერთიანებას სთავაზობდა, რეალურად პროგრამაში ჩართულ ადამიანებს ახალგორში დაბრუნების უფლებას ართმევდა და რაიონში არსებულ მათ უძრავ ქონებაზე უარის თქმას გულისხმობდა.[34] ეს პროგრამა არის ეთნიკური ქართველების იძულებითი გასახლებისა და რაიონის დატოვების იძულების ლეგიტიმაციის მკაფიო ილუსტრაცია.

კვლევის ახალგორელმა მონაწილეებმა ისაუბრეს შერეულ ოჯახებზეც, ვინაიდან რაიონში მცხოვრებლების დიდი ნაწილი შერეული ეთნიკური წარმომავლობისაა. რამდენიმემ აღნიშნა, რომ ახალგორში დღეს არსებული ვითარება არც ქართველებისთვის და არც ოსებისთვის არ არის ხელსაყრელი და ყველა თანაბრად ცუდ მდგომარეობაშია - „*ზოგი ამბობს, ჰომ ოსები აქ ბედნიეჰები ახიან, მითხახით, ჰოგოჰ ვიქნები ბედნიეჰი, ჰოდესაც ჩემი შვიღები, ჰომღებიც ეთნიკუჰად ოსები ახიან და თბიღისში ცხოვჰობენ, აქ ვეჰ ჩამოდიან და შვიღიშვიღებს წღების განმავღობაში ვეჰ ვხედავ.“*[35]

- ***გადაადგიღების თავისუფღება – მშვიდობა ახის, ჰოცა საკუთახი სუჰვიღით შეგიძღია წასვღა-მოსვღა და ეჭვით ახავინ გიყუჰებს***

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური მშვიდობისთვის გამყოფ ხაზზე თავისუფალი გადაადგილების მნიშვნელობაზე მხოლოდ ერთი ინდიკატორი საუბრობს, ეს საკითხი ყველა რესპონდენტმა აღნიშნა. განსაკუთრებით იმის გამო, რომ კვლევის საველე სამუშაოები ახალგორში 2021 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩატარდა და რაიონის მოსახლეობა 2019 წლიდან ჩაკეტილი გზის პირობებში ცხოვრობდა.[36] კვლევის ბევრმა მონაწილემ ჩაკეტილ გზებზე, როგორც უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე ისაუბრა. ზოგიერთმა ასევე აღნიშნა, რომ ადამიანები აღარ ლაპარაკობენ ან აღარ სვამენ კითხვას „როდის გაიხსნება გზა?“ საკუთარი თავის მორიგი იმედგაცრუებისა და თანმდევი სიბრაზისაგან დასაცავად. გამყოფ ხაზზე თავისუფალი გადაადგილება დაკავშირებულია

[32] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, ქალი 26 წლის, ოსი.

[33] DRI (2021). The Akhalgori Deadlock. Available at: http://www.democracyresearch.org/files/95akhalgori%20deadlock%2001.03.2021.pdf

[34] იქვე

[35] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, ქალი 67 წლის, ოსი.

[36] DRI (2021). The Akhalgori Deadlock. Available at: http://www.democracyresearch.org/files/95akhalgori%20deadlock%2001.03.2021.pdf

ახალგორში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების მზარდ რაოდენობას-

თანაც. კოვიდ-19-ის პანდემიის პირველი თვეები განსაკუთრებულად მძიმე იყო, როდესაც სულ მცირე 25 ადამიანი დაკეტილი საკონტროლო-გამშვები პუნქტებისა და დაგვიანებული სამედიცინო დახმარების გამო გარდაიცვალა.[37]

კვლევის სხვა არეალების, განსაკუთრებით გალის მსგავსად, ახალგორელებისთვის გამყოფ ხაზზე თავისუფალი გადაადგილება მშვიდობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

- ***შეხიგება - მშვიდობა ახის, აქაუხი და ქახთუღი მხახე შეხიგდებიან, ეხთმანეთს აპატიებენ ძველ წყენებს***

ქართველებისა და ოსების შერიგება მშვიდობის მნიშვნელოვან ინდიკატორად გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ შერიგებაზე საუბრისას ახალგორელი რესპონდენტები განსხვავებულ ისტორიებს ჰყვებოდნენ. ზოგიერთი ამბობდა, რომ 2008 წლამდე რაიონში ეთნიკური ნიშნით დაყოფა არ ხდებოდა, ხოლო სხვები ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე საუბრობდნენ. თუმცა, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია ძირითადად დაკავშირებული იყო 1990-იან წლებსა ან 2000-იანი წლების დასაწყისთან - *„ახალგაზრდობაში მიცხვენოდა და მეშინოდა იმის თქმა, რომ ოსი ვიყავი.“* [38]

ინტერვიუების დროს მოყოლილი ამბები ეთნიკურ ჯგუფებს შორის პატივისცემასა და მეგობრობასაც შეეხებოდა - *„როდესაც ჩემი ძმა გახდაიცვალა, დაკრძალვაზე მის პატივსაცემად მთელი წეროვანი ჩამოვიდა, აი, ასე ვაფასებდით ეხთმანეთს.“ „მე მყავდა როგორც ქართველი, ასევე ოსი კლასელები და 2008 წლამდე არც კი ვიცოდი, რომელი იყო ეთნიკური ქართველი და რომელი ეთნიკური ოსი.“*[40]

ეთნიკურ ჯგუფებს შორის შერიგება და პატიება კვლევის მონაწილეებისათვის ყოველდღიური მშვიდობის ძლიერი ინდიკატორია. რესპონდენტები აცნობიერებენ, რომ ომი და გაჭიანურებული კონფლიქტი თანაბრად აზიანებს ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ ოსებს – *„მე ოსი ვარ, მაგრამ ამ ომმა კარგი არაფერი მომიტანა, უბრალო ხალხისთვის ომი ჯოჯოხეთია, მეტი არაფერი.“*[41]

საბაზისო ინფრასტრუქტურის არარსებობა და ყოფით დონეზე ფესვგადგმული კორუფცია

ახალგორში კვლევის მონაწილეების საუბრებში გამოიკვეთა ორი თემა, რომლებიც, მათი აზრით, რაიონში ყოველდღიურ მშვიდობაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს - ნეპოტიზმი და საბაზისო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. **მშვიდობა არის, როცა აკადემიური ხარისხის მისაღებად ან სამსახურის დასაწყებად ქრთამი არ არის საჭირო და მშვიდობა არის, როცა თმის შესაჭრელად ცხინვალში წასვლა არ გჭირდება** – ეს ორი ინდიკატორი ასახავს იმ გავრცელებულ და მწვავე პრობლემებს, რომლებსაც ახალგორელები ყოველდღიურად აწყდებიან.

ყოფით დონეზე დამკვიდრებული კორუფცია და ნეპოტიზმი ახალგორის ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებად დასახელდა. ადამიანები ორ საკითხზე საუბრობდნენ – დიპლომის აღება განათლების მიღების გარეშე და დასაქმება საჭირო კვალიფიკაციის ქონის გარეშე. რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ უნივერსიტეტის დიპლომის მიღება შესაძლებელია სწავლისა და უნივერსიტეტში ლექციებზე დასწრების გარეშეც (ცხინვალის უნივერსიტეტი). იგივე ეხება ადგილობრივ სტრუქტურებში დასაქმებასაც. კვლევის მონაწილეები ამბობენ, რომ, ნეპოტიზმის გამო, რაიონში სამსახურის დასაწყებად აკადემიური ხარისხი ან კვალიფიკაცია არ არის აუცილებელი. ბევრმა აღნიშნა ისეთი დეტალიც, როგორიცაა რაიონის ადგილობრივ სტრუქტურებში მაღალი თანამდებობების დასაკავებლად კადრების ცხინვალიდან ჩამოყვანის ტენდენცია, რასაც, ჩვეულებრივ, ადგილობრივ სტრუქტურებში ცვლილებები მოსდევს ხოლმე, ვინაიდან ყველას სურს საკუთარი ოჯახის წევრების, ნათესავებისა თუ

[37] იქვე
[38] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, მამაკაცი, 60 წლის, ოსი.
[39] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, მამაკაცი, 38 წლის, ოსი.
[40] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, მამაკაცი, 24 წლის, ქართველი.
[41] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, ქალი, 55 წლის, ოსი.

მეგობრების დასაქმება. აგრეთვე, კვლევის მონაწილეები ხშირად ახსენებდნენ ყოფით დონეზე დამკვიდრებულ უკონტროლო კორუფციას, კერძოდ, ბევრ ადამიანს, უკეთესი მომსახურების მისაღებად, ხშირად ქრთამის მიცემა უწევს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ეს ყველაფერი ახალგორელების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. როგორც კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ შეაჯამა – *„ახალგოჰში ყველაფეჩი ფოჰმალუჩია, ყველამ ყველაფეჩი იცის და უბჰალოდ თვალს ხუჭავენ.“*[42]

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ახალგორელების ყოველდღიურ ცხოვრებაზე უარყოფითად აისახება, რაიონში საბაზისო ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა ან მისი არარსებობაა. მაგალითად, კვლევის მონაწილეებმა წყალმომარაგების, გზებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემებზე ისაუბრეს. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მათ, დაპირებებისა და საკითხის მოგვარების გარკვეული მცდელობების მიუხედავად, უწყვეტი წყალმომარაგება არ აქვთ. პრობლემად დასახელდა ასფალტის საფარის არმქონე გზები, რაც რაიონის მცხოვრებლებს გადაადგილების პრობლემას უქმნის. ასევე აღინიშნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ცუდი მდგომარეობა და ხშირ შემთხვევაში – მისი არარსებობა. საბაზისო ინფრასტრუქტურ ის გამართული მუშაობა ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ხსნის არასაჭირო სტრესს და ადამიანებს მშვიდობიან ცხოვრებაში ეხმარება.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი:

მშვიდობა არის, როცა ხელფასს (პენსიას) დროულად გიხდიან.

ახალგორში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორებმა მშვიდობის იდეის კომპლექსურობა წარმოაჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ ომი ყველაზე მძიმე სცენარად რჩება, ყოველდღიური შეზღუდვებისა და პრობლემების გამო, ახალგორელები არ თვლიან, რომ მშვიდობის პირობებში ცხოვრობენ.

[42] კვლევის მონაწილე ახალგორიდან, ქალი, 45 წლის, ქართველი.

გორი – ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები (ვერიფიცირებული)

მშვიდობა არის, როცა ..

1. იცი, რომ კანონი ყველასთვის კანონია
2. ტყვიები აღარ ხვდება სახლებს
3. გატაცების შიშის არ არსებობა
4. ფეიერვერკის/სროლის ხმა ომთან არ ასოცირდება
5. ომის დაწყების შიშით სახლის აშენებისგან თავს არ იკავებ
6. საზოგადოებაში სიყვარული და ჰარმონიაა ისე, როგორც ძველ დროს (90-იანებში)
7. არ ნერვიულობ, შენი შვილი რომ გავა, მოვა თუ არა სახლში
8. ახლობლების საფლავების მონახულება თავისუფლად შეგიძლია
9. იცი, რომ გამყოფი ხაზის იქით მყოფი ახლობლების, მეგობრების, ნათესავების მონახულება შეგიძლია
10. სამხედრო ბაზასთან ახლოს ცხოვრების არ გეშინია
11. შეგიძლია მშვიდად დატკბე მზის ჩასვლით/ჩიტების ჭიკჭიკით/ვარდების ბაღში ყავის დალევით
12. ქართველი და ოსი სუფრასთან ისევ ერთად ისხდებიან
13. ჩაცმულობის გამო შენს უსაფრთხოებას საფრთხე არ შეექმნება
14. აქციაზე გასვლის არ გეშინია

ყოველდღიური მშვიდობა გორში

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევის პროცესში ჩართული იყვნენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები გორის მუნიციპალიტეტის ურბანული დასახლებებიდან და სოფლებიდან, მათ შორის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან და დევნილთა დასახლებებიდან. ჯამში, შვიდ ფოკუს-ჯგუფსა და ექვს ინტერვიუში (KII) მონაწილეობა მიიღო 68 ადამიანმა – 46-მა ქალმა და 22-მა მამაკაცმა, მათ შორის, 20-მა ახალგაზრდამ. კვლევის პირველ ეტაპზე 21 ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი გამოვლინდა, მათგან ვერიფიკაციის ეტაპზე 14 ინდიკატორი შეირჩა ადგილობრივი თემის წევრების მიერ.

გორის მუნიციპალიტეტში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევა ავლენს იმ სხვადასხვა ფაქტორს, რომლებიც ადგილობრივი საზოგადოების ყოველდღიური მშვიდობის აღქმაზე გავლენას ახდენს. ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების ნახევარზე მეტი მშვიდობას უსაფრთხოების კონტექსტში განიხილავს და აქცენტს ადამიანის უსაფრთხოებაზე აკეთებს. თუმცა ის ინდიკატორი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო, საზოგადოების მიერ მშვიდობის აღქმაში კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის განცდის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ადგილობრივი თემებისთვის ყოველდღიური მშვიდობა გადაადგილების თავისუფლებასა და სტაბილურობასთანაც ასოცირდება, რაც გაჭიანურებული კონფლიქტისა და მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესის გამო უაღრესად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ომითა და იძულებით გადაადგილებით გამოწვეული მოუშუშებელი ტრავმა გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივთა პიროვნულ კეთილდღეობაზე, ასევე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზეც.

1. კანონის უზენაესობა და სამართიანობა - მშვიდობა არის, როცა იცი, რომ კანონი ყველასთვის კანონია

გორის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისთვის ყოველდღიური მშვიდობა ყველაზე მეტად სამართლიანობის განცდასთან ასოცირდება. მათი სიტყვებით, **მშვიდობა არის, როცა იცი, რომ კანონი ყველასთვის კანონია.** პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თემის წევრები თვლიან, რომ კანონის უზენაესობა აუცილებელია იმ ქაოსის თავიდან ასაცილებლად, რამაც 90-იან წლებში შიდა კონფლიქტები გამოიწვია. სამართლიანობის განცდა აუცილებელია ყოველდღიური მშვიდობის აღსაქმელად და როგორც ადგილობრივი თემის ზოგიერთი წევრი აღნიშნავს, ის ნებისმიერ საზოგადოებაში მდგრადი მშვიდობის საფუძველს წარმოადგენს.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევის მონაწილეები ასახელებენ რამდენიმე მოვლენას, რომლებიც გორის მუნიციპალიტეტში სამართლიანობის ნაკლებობაზე მიანიშნებს. ერთ-ერთი პრობლემა არის პრივილეგირებული ჯგუფების არსებობა, რომელთაც ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებულად მფარველობს. დანაშაულის ჩადენის ან საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში ისინი არ ისჯებიან, რაც გორის მოსახლეობას დაუსჯელობის სინდრომს უჩენს. აღსანიშნავია, რომ, როგორც ადგილობრივ დონეზე გახმაურებული, ასევე ცენტრალური ტელევიზიების მიერ გაშუქებული სისხლის სამართლის საქმეები მოსახლეობას დაუცველობის განცდას უმძაფრებს. მეტიც, კვლევის მონაწილეები ასახელებენ ქალაქის უბნებსა და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს, სადაც პრივილეგირებული მძღოლები, მათ შორის პოლიციელები, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობენ, რაც ხშირად ფეხით მოსიარულეთა ჯანმრთელობის დაზიანებასა და სიკვდილის მიზეზი გამხდარა. ახალგაზრდები, ისევე როგორც ზრდასრულები, განსაკუთრებით მშობლები, იმდენად არიან შეშფოთებული, რომ ეს საკითხი ყოველდღიური მშვიდობის დამოუკიდებელ ინდიკატორად (#7) განსაზღვრეს: **მშვიდობა არის, როცა არ ნერვიულობ, შენი შვილი რომ გავა, მოვა თუ არა სახლში,**[43] რაც

[43] გორის მუნიციპალიტეტში საგზაო უსაფრთხოების საკითხი ადგილობრივმა ყოველდღიური მშვიდობის დამოუკიდებელ ინდიკატორად განსაზღვრეს: მშვიდობა არის, როცა არ გეშინია, რომ ქუჩაში გასულ შვილს მანქანა დაეჯახება.

საზოგადოების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაში ყოველდღიური უსაფრთხოების მნიშვნელობაზე მიუთითებს.

სისხლის სამართლისა და საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევის საქმეებში ე.წ. რიგითი მოქალაქეებისა და პრივილეგირებული ჯგუფების მიმართ უთანასწორო მოპყრობის გარდა, ადგილობრივი თემის წევრები სამუშაო ადგილებსა და დასაქმების პროცესში ნეპოტიზმის პრობლემაზეც საუბრობენ, მათ შორის, საჯარო სექტორშიც. ისინი ასევე ეჭვქვეშ აყენებენ სოციალური დახმარების პროგრამაში ჩასართავად შერჩევის პროცესის მიუკერძოებლობას. გარდა ამისა, მათი გადმოცემით, განსხვავებული მოპყრობით სარგებლობენ არა მხოლოდ ცალკეული პირები, არამედ მთელი სოფლებიც. მაგალითად, ინფრასტრუქტურული საკითხები უკეთ წყდება გავლენიანი პოლიტიკოსების მშობლიურ სოფლებში, ხოლო მეზობელ სოფლებში მსგავს საკითხებს ყურადღება ნაკლებად ექცევა.

კვლევაში ჩართული თემის წევრები ასახელებენ სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობას, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებში სამართლიანობის განცდაზე ზეგავლენის მქონე ძირითად ფაქტორს. ვინაიდან პოლიცია მოქალაქეებისთვის სახელმწიფოსთან ურთიერთობის მთავარ რგოლს წარმოადგენს, ადამიანები მოელიან, რომ პოლიციელებს ექნებათ იმ თვისებების უმეტესობა, რომლებიც, მათი აზრით, სახელმწიფო ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეთ, ეს განსაკუთრებით ეხება თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფას, წესების დაცვას, ანგარიშვალდებულებასა და მაღალ მოქალაქეობრივ სტანდარტს. გარდა ამისა, მოქალაქეების აზრით, მართლმსაჯულების სისტემის და ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის დონე განსაზღვრავს – *„სასამართლო რომ ტარდება, წინასწარ არ უნდა იცოდნენ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანენ. აი, სასამართლო თუ მაღალ დონეზე არ დადგა, სახელმწიფო არ იქნება შემდგარი და არც მშვიდობა.“*[44] კვლევის მონაწილეები ასევე აღნიშნავენ მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას საზოგადოებაში სამართლებრივი წესრიგის დასამკვიდრებლად.

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობის მქონე და სანდო სახელმწიფო ინსტიტუტებისა და აქტიური მოქალაქეობის, როგორც სამართლიანობისა და მშვიდობის ძირითადი ასპექტის ხაზგასმა მიუთითებს იმაზე, რომ გორის მუნიციპალიტეტში საზოგადოების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაში პოზიტიური მშვიდობა დომინირებს. თუმცა, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებისთვის სამართლიანობის განცდა უკავშირდება მათი კუთვნილი იმ მიწების ოფიციალურად რეგისტრაციასა და მათზე წვდომის უფლებას, რომლებიც სახელმწიფოს არაკონტროლირებად ნაწილში მდებარეობს. იმ ადამიანებს, რომელთა სასოფლო-სამეურნეო მიწები, საძოვრები და სახლებიც კი გაყოფილია ან „ბორდერიზაციის“ პროცესში რუსი ჯარისკაცების მიერ მოწყობილი მავთულხლართების მიღმა მდებარეობს, უსამართლობის მუდმივი განცდა აქვთ გაჭიანურებული კონფლიქტის გამო, რომელიც ათწლეულების მანძილზე არღვევს მათ ყოველდღიურ მშვიდობას.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა აქციაზე გასვლის არ გეშინია

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა საპროტესტო აქციებზე და ქუჩაში დგომით არ გიწევს ვიღაცების ან რაღაცების დაცვა.

[44] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი #3, გორის მუნიციპალიტეტი

2. ომის შიში - მშვიდობა არის, როცა ტყვიები აღარ ხვდება სახლებს

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევის შედეგები საზოგადოების მიერ მშვიდობის აღქმის კომპლექსურ ხასიათზე მიუთითებს, შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობა, განსაკუთრებით მდგომარეობა, როდესაც **ტყვიები აღარ ხვდება სახლებს,** გორის მუნიციპალიტეტში ყოველდღიური მშვიდობის მთავარი ინდიკატორია. ყოველდღიური მშვიდობის ეს ინდიკატორი სათავეს 2008 წლის ომის გამოცდილებიდან იღებს და კონფლიქტის სამ ფაზას ეხება:

1. კონფლიქტის გამწვავება და ომის მოლოდინი: *„სანამ ომი დაიწყებოდა, იყო მუდმივი სროლა, პროვოკაციები. ტყვიები ხვდებოდა არა მარტო სახლების სახურავებს, იღეწებოდა ფანჯრებიც.“*[45]

2. კულმინაცია და საომარი მდგომარეობა – პირდაპირი თავდასხმა და სახლების დაბომბვა.

3. ომის შემდგომი პერიოდი: *„გორში როცა დავბრუნდი, მახსოვს, როგორ ეტყობოდა ჩემს სახლს ნატყვიარები.”*[46]

კვლევის როგორც ახალგაზრდა, ასევე უფროსი ასაკის მონაწილეებს კარგად ახსოვთ სროლები ომის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის დროს. ყოველდღიური მშვიდობის ამ ინდიკატორის გაშლა გვიჩვენებს ომის გავლენას გორის მუნიციპალიტეტში საზოგადოების მიერ ყოველდღიური მშვიდობას აღქმაზე. ომის მიერ დატოვებული შიში და ტკივილი ცეცხლის შეწყვეტიდან წლების შემდეგაც იგრძნობოდა. მაგალითად, აგვისტოს ომიდან დაახლოებით ექვსი წლის განმავლობაში, გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე სოფლებში მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სასწავლო პროცესის დროს სკოლებს რამდენიმე შეიარაღებული სამხედრო იცავდა. ყოველდღიური მშვიდობის ამ ინდიკატორის განხილვის დროს კვლევის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს, თუ როგორ მოქმედებს ომით გამოწვეული ტრავმა მათ ჯანმრთელობაზე და „ნორმალური ცხოვრებით“ ცხოვრების შესაძლებლობაზე.

გარდა ამისა, ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ზარდიაანთკარსა და კოშკაში, ყუმბარებით დაზიანებული და დანგრეული სახლები ჯერ კიდევ არ არის შეკეთებული. ოჯახები იძულებული არიან დაზიანებული სახურავებითა და ტყვიებით დაცხრილული კედლებით, ნახევრად დანგრეულ სახლებში იცხოვრონ. ზოგიერთი სახლი სულაც მიტოვებულია.

3. უსაფრთხოება - მშვიდობა არის გატაცების შიშის არ არსებობა

ომის არარსებობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა იმისათვის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მშვიდობიანად ცხოვრების განცდა ჰქონდეს. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებისთვის **მშვიდობა არის გატაცების შიშის არ არსებობა.** 2018 წლის მდგომარეობით რუსი ჯარისკაცების მიერ „ბორდერიზაციის“ პროცესში მოწყობილი მავთულხლართებითა და ღობეებით სულ მცირე 34 სოფელი იყო გაყოფილი. „ბორდერიზაციის“ ღობეებით 20-ზე მეტ ოჯახს ჩამოეჭრა მათი კუთვნილი სახლები და ეზოები.[47] ასეთი პირობები, გატაცემის მუდმივი შიში ზემოქმედებს როგორც ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდაზე, ასევე მათ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ყოველდღიური მშვიდობის მათეულ აღქმაზე.

საკუთარ სახლებსა და სოფლებში დაცულობის განცდა ადგილობრივი საზოგადოებისთვის მშვიდობის კუთხით ყველაზე მნიშვნელოვან მოთხოვნილებას წარმოადგენს. ყოველდღიური მშვიდობის ამ ინდიკატორის განხილვის დროს კვლევის მონაწილეები ჰყვებოდნენ საკუთარ ამბებს მათი ოჯახის იმ წევრებისა და ნათესავების შესახებ, რომლებიც რუსმა ჯარისკაცებმა ტყვედ აიყვანეს და თვეების და წლების

[45] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი #2, გორის მუნიციპალიტეტი
[46] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი #2, გორის მუნიციპალიტეტი
[47] Amnesty International (2018) Behind Barbed Wire: Human Rights Toll of "Borderization" in Georgia. London: Amnesty International. https://www.amnesty.org/download/Documents/EUR5605812019ENGLISH.PDF Accessed 18 September 2020.

განმავლობაში ციხეში ამყოფეს. ადგილობრივებს უმწეობის განცდა აქვთ, ვინაიდან თავდაცვის ნებისმიერი მცდელობა, როგორიცაა, მაგალითად, გამყოფ ხაზთან სიახლოვის თავიდან არიდება, არაეფექტიანია. მაგალითად, მათ გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც ადამიანები საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან გაიტაცეს და ძალის გამოყენებით არაკონტროლირებად ნაწილში ციხეში ჩასასმელად გადაიყვანეს. ვიდეო სამეთვალყურეო კამერების არარსებობის პირობებში ასეთი შემთხვევების დაფიქსირება შეუძლებელია. ამიტომ, ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დაყენება გარკვეულწილად ხელს შეუწყობს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდის გაჩენას.

უკანონო დაკავებების გარდა, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს მუდმივად აქვთ რუსი სამხედროების მხრიდან პროვოკაციების შიში, რომლებიც შესაძლოა შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდოს. „ბორდერიზაციისა“ და დაკავების შიშის გამო, ასეულობით ადგილობრივ ფერმერს აღარ აქვს წვდომა იმ მიწებზე, რომლებსაც ისინი სახნავ-სათესად, საძოვრებად ან შეშის შესაგროვებლად იყენებდნენ და რომლებიც მათი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა.[48] გარდა ამისა, ვინაიდან პირუტყვი არ ცნობს გამყოფ ხაზებს, თუ არ არსებობს ისეთი ფიზიკური წინაღობა, როგორიცაა ღობე ან მავთულხლართი,[49] ადგილობრივი მოსახლეობა კარგავს პირუტყვს ან მის დასაბრუნებლად საკუთარ თავს დაპატიმრების რისკის ქვეშ აყენებს იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთა უწევს. ასეთ პირობებში მცხოვრები ადამიანებისათვის ყოველდღიური მშვიდობა არის ის, როდესაც მათ პირუტყვის საძოვარზე გაშვების არ ეშინიათ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სოფელში, სადაც ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას, ადამიანებმა შეწყვიტეს მეცხოველეობა, რამაც მათი შემოსავლები და რესურსებზე წვდომა შეამცირა. ანალოგიურად, არაპროგნოზირებადი გარემო, სადაც მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ არის, ადგილობივ სოფლის მეურნეობასა და წარმოებაზე გავლენას ახდენს. ეს, თავის მხრივ, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებზე დამოკიდებულს ხდის.

გატაცების განსაკუთრებით ეშინიათ იმ ადამიანებს, რომელთა ოჯახის წევრები და ნათესავები კონფლიქტის გამყოფი ხაზის მეორე მხარეს არიან დარჩენილი. ერთმანეთთან კავშირის შესანარჩუნებლად, ან ერთმანეთის დასახმარებლად, მაგალითად, წამლების ან პროდუქტების გადასაცემად, ისინი საკუთარ თავს საფრთხეში იგდებენ. მეტიც, ზოგიერთ სოფელში, მაგალითად ხურვალეთში, ადგილობრივ მოსახლეობას ეშინია სადღესასწაულო წირვა-ლოცვაზე დასწრება ეკლესიაში, რომელიც საქართველოს



გრაფიკზე ნაჩვენებია მხოლოდ თბილისის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მხრიდან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთისთვის უკანონოდ დაკავების მონაცემები, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს წვდომა სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მხრიდან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადაკვეთის მცდელობების შესახებ ინფორმაციაზე. სტატისტიკური ინფორმაცია Amnesty International-ის 2018 წლისა და საქართველოს სახალხო დამცველის 2019, 2020 და 2021 წლების ანგარიშებს ეყრდნობა.[50] თუმცა, Amnesty International-ის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, „სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების სტატისტიკა გაცილებით მაღალ მაჩვენებლებს ასახავს. მაგალითად, დე ფაქტო ეროვნული უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, 2016 წელს „სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისათვის“ 549 ადამიანი დაუკავეს. მათი უმეტესობა, 325 ადამიანი, „სამხრეთ ოსეთის მოქალაქე“ იყო (სავარაუდოდ, სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ოსები, რომლებიც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის თბილისის მიერ კონტროლირებულ მხარეს გადმოსვლას ცდილობდნენ), 133 იყო „საქართველოს მოქალაქე“ (სავარაუდოდ, თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები, რომლებიც, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიერ კონტროლირებულ მხარეს მოხვედრას ცდილობდნენ), ხოლო 23 რუსეთისა და სხვა ქვეყნების მოქალაქე იყო“.

[48] იქვე.

[49] 2018 წლის მარტის მდგომარეობით სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მოწყობილი მავთულხლართების და სხვა სახის ღობეების მთლიანი სიგრძე 52 კმ-ზე მეტს (350 კმ-დან) შეადგენდა (Amnesty international, 2018).

[50] საქართველოს სახალხო დამცველი (2019) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [საპარლამენტო ანგარიში] საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf ნანახია 29 აპრილი 2022

საქართველოს სახალხო დამცველი (2020) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [საპარლამენტო ანგარიში] საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf ნანახია 29 აპრილი 2022

საქართველოს სახალხო დამცველი (2021) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [საპარლამენტო ანგარიში] საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf ნანახია 29 აპრილი 2022

მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მაგრამ ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარეობს. მათ არ შეუძლიათ საკუთარი ოჯახის წევრებისა და წინაპრების საფლავების მონახულებაც.

4. ტრავმა და ომის შიში - მშვიდობა არის, როცა ფეიერვერკის/სროლის ხმა ომთან არ ასოციდება

ომის მუდმივ შიშთან ერთად, ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორის – **მშვიდობა არის, ფეიერვერკის/სროლის ხმა ომთან არ ასოცირდება** მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და მის გარშემო მიმდინარე დისკუსიები მიუთითებს, თუ რა დიდი გავლენა აქვს ომით გამოწვეულ ტრავმებს ადამიანების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაზე. კვლევის როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წევრები აღნიშნავენ, რომ მათ ჯერ კიდევ 2008 წლის ომთან დაკავშირებული კოშმარები ესიზმრებათ. იმის გამო, რომ ადამიანები ბომბებისგან თავის დასაცავად თავს სარდაფებში აფარებდნენ, ზოგიერთს კლაუსტროფობია განუვითარდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ომის დროს განცდილი შიშის გამო ბავშვებს შორის მეტყველების დარღვევის შემთხვევებზეც საუბრობენ. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ტრავმის გარდა, მშობლები შვილების ტრავმული გამოცდილების ტვირთსაც ატარებენ.

სხვა საკვლევი არეალების მსგავსად, გორის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა შორის ტრავმის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი ხმები იყო. თუმცა, ერთი და იმავე გამომწვევის (ხმები) შემთხვევაშიც კი, მისი წყარო გამყოფ ხაზთან სიახლოვის შესაბამისად განსხვავდებოდა. მაგალითად, ქალაქ გორის მცხოვრებლებმა დაასახელეს ფეიერვერკების ხმა, რომელიც მათში ომის შიშს იწვევს, ხოლო გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე დასახლებების მცხოვრებლებისთვის ტრავმის გამომწვევი იყო ცხინვალში სამხედრო წვრთნებისა და სროლის ხმები, რომლებიც მათში სტრესსა და დაუცველობის შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს. ომის შედეგად მიღებული ტრავმები ადგილობრივების ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახება, ვინაიდან ისეთი ჩვეულებრივი ხმები, როგორიცაა თვითმფრინავის ხმაური, მათში პირველ რიგში ომის შიშს იწვევს. მიუხედავად პრობლემის სიმწვავისა, კვლევის მონაწილეებს ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით რაიმე დახმარება არ მიუღიათ.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა შენი სახლიდან რუსეთის სამხედრო ბაზა არ ჩანს.

ომის გამოცდილებასთან დაკავშირებული შიშის კიდევ ერთ წყაროს სამხედრო ბაზების სიახლოვე წარმოადგენს. როგორც ყოველდღიური მშვიდობის ერთ-ერთი ინდიკატორი (EPI #10) გვიჩვენებს, ადგილობრივი თემებისათვის **მშვიდობა არის ის, როდესაც სამხედრო ბაზასთან ახლოს ცხოვრების არ გეშინია.** ისინი შედარებისთვის იხსენებენ 2008 წლამდე პერიოდს, როდესაც მათ არ აწუხებდათ ქალაქში სამხედრო ბაზის, სამხედრო აკადემიისა და სამხედრო ჰოსპიტლების არსებობა. თუმცა, ეს ინდიკატორი დამოკიდებულია კონფლიქტის დინამიკასა და ადგილმდებარეობაზე. კონფლიქტის პასიურ ფაზაში სამხედრო პირებისა და პოლიციელების ყოფნა უსაფრთხოების განცდას აძლიერებს, განსაკუთრებით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებში, რომლებიც რუსი ჯარისკაცების მიერ მათი უკანონო დაკავების მუდმივ შიშში ცხოვრობენ. თუმცა, კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში, ადგილობრივების აზრით,

ისინი ყველაზე ნაკლებად იქნებიან დაცული, ვინაიდან ომის დროს მთავარი სამიზნე სამხედრო ინფრასტრუქტურა და პოლიციაა.

ამ ინდიკატორების განხილვისას ადგილობრივი თემის წევრებმა ასევე აღნიშნეს სამშვიდობო პროცესები, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მათ დაუცველობის მუდმივ განცდასთან ბრძოლაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ მათ თითქმის არ აქვთ ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებსა და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე (GID) განიხილება, ის ფაქტი, რომ ასეთი დიალოგი მიმდინარეობს, ადგილობრივებს გარკვეულწილად მშვიდობისა და სტაბილურობის განცდას უქმნის. თუმცა, IPRM-ის შეხვედრების შეწყვეტა მათ მიერ აღიქმება, როგორც კონფლიქტის მხარეებს შორის მზარდი დაძაბულობის მაჩვენებელი, რაც გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ ადამიანებში საფრთხის შეგრძნებას ზრდის. ანალოგიურად, კვლევის მონაწილეების აზრით, რომ არა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) და მის მიერ მონიტორინგის რეგულარულად განხორციელება, სიტუაცია ადგილზე გაცილებით უარესი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ისინი გარკვეულ უკმაყოფილებას გამოხატავენ ძალადობის შემთხვევებისა და უკანონო დაკავებების დროს ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის ეფექტიანი მექანიზმების არარსებობის გამო.

5. ომის შიში და სტაბილურობა - მშვიდობა არის, როცა ომის დაწყების შიშით სახლის აშენებისგან თავს არ იკავებ

დაუცველობისა და არასტაბილურობის განცდის გამო ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებლებისთვის **მშვიდობა არის, როცა ომის დაწყების შიშით სახლის აშენებისგან თავს არ იკავებ.** იძულებითი გადაადგილებით ორჯერ მიღებული ტრავმა – 90-იან წლებში და 2008 წელს, როდესაც ოჯახებს საკუთარი სახლებისა და ნივთების მიტოვება მოუწიათ, ადამიანებს სახლების მშენებლობისა თუ რემონტის დაწყებისგან თავის შეკავებისკენ უბიძგებს. გარდა ამისა, მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესის გამო, იძულებითი გადასახლება დაუსრულებელ პროცესად იქცა. გასული წლების განმავლობაში ზოგიერთ ოჯახს სახლების საკუთარი ხელით დაშლა მოუწია, ვინაიდან „საზღვარმა“ მათ სახლებსა და ეზოებზე გაიარა. დაუცველობის განცდა და არაცნობიერი შიში იმისა, რომ შეიძლება რაღაც ისევ მოხდეს, განაპირობებს ინვესტიციების სიმცირეს როგორც უძრავ ქონებაში, ასევე ადგილობრივ წარმოებაში.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ გორის მოსახლეობამ შიში გარკვეულწილად დაძლია და ეს საკითხი თითქმის აღარ არის აქტუალური. თუმცა, არასტაბილური და სარისკო ბიზნეს გარემო ვერ იზიდავს ფართომასშტაბიან საინვესტიციო პროგრამებს, რომლებსაც დასაქმების შესაძლებლობების შექმნა და რაიონის განვითარების ხელშეწყობა შეუძლია, რაც მთელ მუნიციპალიტეტზე უარყოფითად აისახება.

6. ტრანსცენდენტული მშვიდობა - მშვიდობა არის, როცა საზოგადოებაში სიყვარული და ჰარმონიაა ისე, როგორც ძველ დროს (90-იანებში)

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორის – **მშვიდობა არის, როცა**

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა ქართველი და ოსი სუფრასთან ისევ ერთად ისხდებიან.

[50] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი #3, გორის მუნიციპალიტეტი

საზოგადოებაში სიყვარული და ჰარმონიაა ისე, როგორც ძველ დროს (90-იანებში) განხილვისას გორის მუნიციპალიტეტში საზოგადოების მიერ მშვიდობის აღქმაზე სოციალური ურთიერთობისა და მისი დინამიკის გავლენა გამოიკვეთა. ადამიანებმა 90-იანი წლების ეკონომიკურ გაჭირვებასა და პოლიტიკურ ქაოსს მეზობლებთან, ნათესავებსა და მეგობრებთან ძლიერი სოციალური კავშირების წყალობით გაუძლეს. ყოველდღიური შეკრებები, მწირი რესურსების გაზიარება და ერთმანეთის დახმარება ერთიანობისა და თანაზიარების შეგრძნებას ქმნიდა, რაც მათ ყოველდღიურ სიმშვიდეს ანიჭებდათ. ნოსტალგიის ეს გრძნობა უფროს და ხანდაზმულ ასაკობრივ ჯგუფებში ჭარბობს. ისინი იხსენებენ იმ დროს, როდესაც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ „განსხვავებული პატივისცემა“ ჰქონდათ. როგორც ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, *„აქამდე [საბჭოთა პერიოდი] ახ ვიცოდით, ის აზერბაიჯანელია, ის თურქია, ის ოსია, ის ქართველია, ყველა ერთად ვცხოვრობდით და თანაბარი უფლებები გვქონდა.“*[51]

როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები ომებმა და ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ადამიანთა შორის ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებმა დააზიანა. პანდემიამ და ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტების შეზღუდვამ სოციუმის შიგნით იზოლაციის ტენდენციები კიდევ უფრო გააძლიერა. გარდა ამისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ აგრესიულად გაშუქებული ნეგატიური ამბები საზოგადოებაში ნიჰილიზმსა და ანტაგონიზმს აძლიერებს. ამ ფაქტორების კუმულაციური ეფექტია საზოგადოებაში აგრესიის გაზრდილი დონე, რაც არღვევს ყოველდღიურ მშვიდობას როგორც პიროვნულ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე.

ჰარმონიისა და სიყვარულის ძიების პროცესში კვლევის მრავალი მონაწილისთვის **მშვიდობა არის, როცა შეგიძლია მშვიდად დატკბე მზის ჩასვლით/ჩიტების ჭიკჭიკით/ვარდების ბაღში ყავის დალევით** (EPI #11). ყოველდღიურ მშვიდობის ეს ინდიკატორი შინაგანი მშვიდობის საზომად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, სხვა საკვლევი არეალების მსგავსად, გორის მუნიციპალიტეტში შინაგანი მშვიდობა უსაფრთხოების განცდას უკავშირდება. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ყავის დალევა, როდესაც არ ისმის სროლის ხმა ან *„მზის ჩასვლის ყურება საუკეთესო ინდიკატორია. ყველაზე მეტად, აღბათ, ეგ გამოხატავს იმას, რომ ახ გეშინია და შეგიძლია ბუნებაში გახვიდე, დაათვალიერო.“*[52]

7. გადაადგილების თავისუფლება - მშვიდობა არის, როცა ახლობლების საფლავების მონახულება თავისუფლად შეგიძლია

8. მშვიდობა არის, როცა იცი, რომ გამყოფი ხაზის იქით მყოფი ახლობლების, მეგობრების, ნათესავების მონახულება შეგიძლია

გორის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით დევნილთა თემსა და გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლების მცხოვრებთა შორის, ყოველდღიური მშვიდობის კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემა გადაადგილების თავისუფლება იყო.[53] ყოველდღიური მშვიდობის ეს ორი ინდიკატორი – **მშვიდობა არის, როცა ახლობლების საფლავების მონახულება თავისუფლად შეგიძლია და მშვიდობა არის, როცა იცი, რომ გამყოფი ხაზის იქით მყოფი ახლობლების, მეგობრების, ნათესავების მონახულება შეგიძლია** მიუთითებს საზოგადოების მიერ მშვიდობის აღქმაში გადაადგილების თავისუფლების მნიშვნელობაზე და აგრეთვე კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის მოთხოვნილებაზე, წლების განმავლობაში გამყოფი ხაზით დაშორიშორების მიუხედავად.

საკითხის მასშტაბის უკეთ დასანახად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის თანახმად, ახალგორის მოსახლეობის საქართველოსთან დამაკავშირებელ მხოლოდ ერთ საკონტროლო-გამშვებ პუნქტს

[51] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი #3, გორის მუნიციპალიტეტი

[52] ვერიფიკაციის ინტერვიუ #2, ქალი რესპონდენტი, გორის მუნიციპალიტეტი

[53] თუ ამ ორი დამოუკიდებელი ინდიკატორისათვის მიცემულ ხმებს დავაჯამებთ, გადაადგილების თავისუფლება გორში ყოველდღიური მშვიდობის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი გახდება.

[54] საქართველოს სახალხო დამცველი (2021) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [საპარლამენტო ანგარიში] საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf ნანახია 29 აპრილი 2022

ყოველდღიურად დაახლოებით 400 ადამიანი კვეთდა, როდესაც ის ღია იყო.[54] საკონტროლო-გამშვები პუნქტების ხანგრძლივი დროით დაკეტვისა და „ბორდერიზაციის“ პროცესის გამო ადამიანები გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ოჯახის წევრებსა და ნათესავებთან შეხვედრას წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ. „ბორდერიზაციის“ პროცესი ოჯახის წევრებისა და წინაპრების საფლავების მონახულების დამკვიდრებულ ტრადიციას არღვევს. წელიწადში ერთხელ, აღდგომის დღესასწაულზე საფლავების მოსანახულებლად ჰუმანიტარული დერეფნების გახსნის მოთხოვნამ შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ, ადგილობრივი თემის წევრებისთვის მშვიდობისთვის უმნიშვნელოვანესი ცვლილება გამყოფი ხაზის გადაკვეთისა და გადაადგილების შეზღუდვის მოხსნასთან ასოცირდება.

„მე ხუჰვაღეთიდან ვაჰ, სადაც გამყოფი ხაზი სოფელს და სასაფლაოს ოჰ ნაწილად ყოფს და მეოჰე მხაჰეს დაჰჩენილ ნახევაჰზე ველაჰ გადავდივაჰთ. ჰოდესაც მამა გაჰდაიცვაღა, მეოჰე მხაჰეს მდებაჰე ოსუჰ სოფელ ოჰჭოსანში მცხოვჰები მისი ახლობლები დაკჰძაღვაზე ვეჰ მოვიდნენ. მაგჰამ მათ ეჰთმანეთის ისეთი სიყვაჰუღი და სოთბო ჰქონდათ, ჰომ მთის წვეჰზე ავიდნენ და გასვენებას უყუჰეს. ჰაც ომი დაიწყო [2008 წელი], ჩვენ ეს ნათესავები აღაჰ გვინახავს.“[55]

შერეული ქართულ-ოსური ოჯახების სიმრავლისა და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეებს შორის ურთიერთობების აუცილებლობის გათვალისწინებით, გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა აფერხებს ნდობის აღდგენის პროცესს, აზიანებს ცხოვრების ხარისხს და ხელს უშლის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული საზოგადოებების მიერ მშვიდობის აღქმას.

[54] საქართველოს სახალხო დამცველი (2021) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [საპარლამენტო ანგარიში] საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf ნანახია 29 აპრილი 2022

[55] სქოლიოს ტექსტი ქვემოთ: ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი #3, გორის მუნიციპალიტეტი

ცხინვალი – ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები (ვერიფიკაციის გარეშე)[56]

მშვიდობა არის, როცა ...

- სროლის ხმის ფონზე დაძინება არ გიწევს
- ფეიერვერკის ხმა ომის შიშს არ იწვევს
- სახლის ნებისმიერ ოთახში შეგიძლია დაიძინო და არა მხოლოდ იმ ოთახში, რომელიც ჩრდილოეთისკენ იყურება
- არ გეშინია, რომ კოვიდ-19-ის ვაქცინით აცრას გაიძულებენ
- ჩაცმული არ იძინებ [ომის დროს გასაქცევად მზად რომ იყო]
- საზღვარი [რუსეთთან] კოვიდ-19-ის გამო არ ჩაიკეტება
- საზღვრის გადაკვეთაზე [რუსეთთან] საბუთების არქონის გამო უარს არ გეუბნებიან
- ღამე შენს საწოლში დაძინება შეგიძლია
- არ გეშინია, რომ დედა კოვიდ-19-ით თუ დაავადდება, აქაურ საავადმყოფოში შესაბამის მკურნალობას ვერ მიიღებს
- სახლს ყიდულობ ან არემონტებ შიშის გარეშე, რომ ომი ყველაფერს გაანადგურებს
- ელექტროენერგიის გათიშვის, ზამთარში სიბნელესა და სიცივეში ყოფნის არ გეშინია
- უსაფრთხოდ ხარ
- მომავლის დაგეგმა შეგიძლია, ის შენზეა დამოკიდებული და არა გარე ფაქტორებზე
- ქუჩაში მშვიდად გადაადგილდები, გზის გადაკვეთისას მანქანის დაჯახების არ გეშინია
- საზოგადოებას პრობლემებზე თავისუფლად ლაპარაკი შეუძლია
- ადამიანებს განვითარებისა და პროგრესის შესაძლებლობა აქვთ
- არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა შეზღუდული არ არის
- შენი შვილების მომავალს იმედით უყურებ
- მშობლები საბოლოოდ დაიჯერებენ, რომ ომი აღარ განმეორდება
- ნასვამი ადამიანი მანქანას არ მართავს
- მძღოლები საგზაო უსაფრთხოების წესებს იცავენ

[56] ცხინვალში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევა ერთ ეტაპად ჩატარდა და ვერიფიკაციის პროცესი არ გაუვლია.

ყოველდღიური მშვიდობა ცხინვალში

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევის ფარგლებში ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფში ჩართული იყო ცხინვალსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 17 ადამიანი - 12 ქალი, 5 კაცი, მათ შორის, 5 ახალგაზრდა.

ცხინვალში კვლევის მეთოდოლოგია ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით ადაპტირდა, კერძოდ, კვლევის მონაწილეების უსაფრთხოებისა და ღია საუბრებისთვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველსაყოფად. შეგროვებული მასალის დეტალურად შესწავლამ და ადგილობრივ მკვლევართან რეგულარულმა საუბრებმა შესაძლებლობა მოგვცა, ცხინვალში კვლევის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე თემა გამოგვეკვეთა, რომელიც მათ ყოველდღიურ მშვიდობას უკავშირდება.

- ***ომის შიშის არქონა – მშვიდობა არის, როცა მშობლები საბოლოოდ დაიჯერებენ, რომ ომი აღარ განმეორდება***

ომი კვლევის ცხინვალელ მონაწილეებთან საუბრის მთავარი თემა იყო, კონკრეტულად კი, ომის გამეორების შიში. ომის შიშის გამო ადამიანები სახლების ყიდვის ან რემონტისგან თავს იკავებენ, რადგან ეშინიათ, რომ ომი მათ სახლებს ისევ დაანგრევს. ამიტომ მშვიდობას ისინი ომის შიშის არქონასთან აკავშირებენ – **მშვიდობა არის, როცა სახლს ყიდულობ ან არემონტებ და არ გეშინია, რომ ომი მას დაანგრევს.** ის, თუ რამდენად დიდი ადგილი უჭირავს ომის შიშს ცხინვალში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურობაში, სხვა ინდიკატორებმაც აჩვენეს. თუმცა, მშვიდობის ინდიკატორებმა ასევე დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებებიც გამოავლინეს, კერძოდ, კვლევის მონაწილეებმა შეცვლილ ყოველდღიურობაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ - *„აღარ არის საჭირო ტანსაცმლით ძიღი [ომის შემთხვევაში გასაქცევად]“* ან *„შემიძღია დავიძინო ჩემი სახლის ნებისმიერ ოთახში და არა მხოლოდ იმ ოთახში, რომელიც ჩრდილოეთისკენ იყურება“*. ეს უკანასკნელი საინტერესო ინდიკატორია, ვინაიდან *„ძიღი ოთახში, რომელიც ჩრდილოეთისკენ იყურება“* ასოცირდებოდა საფრთხესთან რომელიც *„სამხრეთიდან“ (საქართველოდან)* მოდიოდა.

ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა **მშვიდობა არის, როცა სროლის ხმაში არ იძინებ ან მშვიდობა არის,** როცა არავინ ისვრის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები ინტენსიური კონფლიქტის პირობებში ცხოვრობენ და სროლის ხმა ყოველდღიურად ესმით. თუმცა, კვლევის მონაწილეებმა დღევანდელი ვითარება განსხვავებულად დაახასიათეს, კერძოდ, აღნიშნეს, რომ სროლის ხმა მათ იშვიათად ესმით და ცხინვალში შედარებით სიმშვიდეა, მაგრამ ომის შიში მაინც დაუძლეველია და ფეიერვერკების ან სხვა სახის ხმაურიც კი მათში ომის შიშს იწვევს. ეს უკანასკნელი ასევე ადასტურებს ომის მოუშუშებელ ტრავმას, რომელსაც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბევრი ადამიანი ატარებს. ცხინვალის მოსახლეობაც არ არის გამონაკლისი, სადაც ბევრი დღემდე ომის მოგონებებით ცხოვრობს.

- ***უსაფრთხოება და სტაბილურობა – მშვიდობა არის, როცა უსაფრთხოდ ხარ***

ომის შიშის განხილვის გარდა, კვლევის მონაწილეებმა მშვიდობის აღსაქმელად უსაფრთხოებისა და სტაბილურობის აუცილებლობაზეც ისაუბრეს. ყოველდღიური უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხი აღმოჩნდა, რომელიც ნაწილობრივ ომისშემდგომ სტატუს-კვოსთან არის დაკავშირებული და კვლევის ზოგიერთი მონაწილის აზრით, მყიფე და არასაიმედოა. ცხინვალელების აზრით, ყოველდღიური უსაფრთხოება გარანტირებული არ არის, ისინი აცნობიერებენ, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს. აღსანიშნავია, რომ ყოველდღიური უსაფრთხოება შიდა

დინამიკის კონტექსტშიც განიხილებოდა. მაგალითად, რამდენიმე რესპონდენტმა ახსენა ინალ ჯაბიევის შემთხვევა,[57] რომელმაც ბევრი შეაშფოთა და რეგიონში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცულობასთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა. ზოგიერთ ინტერვიუში აღინიშნა „ხელისუფლების“ წარუმატებლობა ჯაბიევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, რამაც პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ უნდობლობა გააძლიერა.

ყოველდღიური უსაფრთხოების საკითხების განხილვისას გამოიკვეთა ფსიქიკური მდგომარეობის საკითხიც. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ცხინვალელების მენტალური მდგომარეობა *„ეროვნულ დეპრესიად“* დაახასიათა.[58] მიუხედავად იმისა, რომ ომი დასრულდა და ცალკეული საკითხები მეტ-ნაკლებად მოგვარდა, საზოგადოება თვლის, რომ დრო გაჩერებულია და არსებითად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

კვლევის მონაწილეებისთვის ყოველდღიური მშვიდობის აღქმას უსაფრთხოებასთან ერთად სტაბილურობის აუცილებლობაც განაპირობებს. სტაბილურობის საჭიროების განხილვისას ორი ურთიერთდაკავშირებული თემა გამოიკვეთა – რა როლს ასრულებს ინსტიტუტები ყოველდღიურ ცხოვრებაში და რამდენად ძლიერია მომავლის იმედი. საცხოვრებელი გარემოს სტაბილურად აღსაქმელად ადამიანებს სჭირდებათ სხვადასხვა სახის ინსტიტუტების არსებობა. ერთ-ერთი ინდიკატორი კონკრეტულად მიუთითებს – **მშვიდობა არის, როცა არასამთავრობო ორგანიზაციები არ იზღუდებიან,** ხოლო მეორე ინდიკატორი ხაზს უსვამს უკეთესი გარემოს საჭიროებას, სადაც **ადამიანებს აქვთ განვითარებისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობა.**

ცხინვალის რეგიონმა/სამხრეთ ოსეთმა დანარჩენი სამყაროსგან იზოლირება 2014 წლიდან დაიწყო, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შეზღუდვის საკანონმდებლო ცვლილება მიიღო. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად არასამთავრობო ორგანიზაციებს „უცხოელი პარტნიორები“ ეწოდათ და ბოლოს ორგანიზაციებმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადეს.[59] გარდა ამისა, რეგიონი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც მიუწვდომელი გახდა და შეზღუდული მანდატის ფარგლებში ადგილზე მუშაობას მხოლოდ საერთაშორისო წითელი ჯვარი ახერხებს. რუსეთთან ინტეგრაციის მოთხოვნის შესახებ რეგიონის დე ფაქტო ლიდერების მიერ არაერთხელ გაკეთებული განცხადებებით ცხინვალი კიდევ უფრო შორდება არა მხოლოდ ქართულ მხარეს, არამედ დანარჩენ მსოფლიოსაც.[60]

მომავლის დაგეგმვის შეუძლებლობა და მომავლის იმედის არქონა აღმოჩნდა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ცხინვალელი რესპონდენტების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს. ადამიანები თვლიან, რომ მათზე ბევრი არაფერია დამოკიდებული და საკუთარ ბედს არ განაგებენ. შემდეგი ინდიკატორიც სწორედ ამ განწყობას გამოხატავს – **მშვიდობა არის, როცა შეგიძლია დაგეგმო საკუთარი მომავალი, ის შენზეა დამოკიდებული და არა გარე ფაქტორებზე.** მომავლის დაგეგმვის შეუძლებლობა კიდევ უფრო აძლიერებს დაუცველობისა და არასტაბილურობის განცდას და ადამიანები მუდმივად ღელავენ ხვალინდელ დღეზე – *„არასოდეს ვიცით, ხვაღ ჩა იქნება, არ ვიცით, გაუარესდება თუ არა სიტუაცია.“*[61] კვლევის მონაწილეთა აზრით, ცხინვალის საზოგადოების დიდი ნაწილი არ თვლის, რომ სტაბილურ და საიმედო გარემოში ცხოვრობს, რაც მათ მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაზე უარყოფითად ზემოქმედებს.

- ***გამოხატვის თავისუფლება – მშვიდობა არის, როცა საზოგადოებას პრობლემებზე თავისუფლად ლაპარაკი შეუძლია***

საკუთარი აზრის გამოხატვისა და კრიტიკულ საკითხებზე შეუზღუდავად საუბრის თავისუფლება ცხინვალელებმა მშვიდობის მნიშვნელოვან ინდიკატორად განიხილეს.

[57] ჯაბიევის საქმის არაეფექტიანი გამოძიება, ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა და რეპრესიები ცხინვალში, იხ.: http://www.democracyresearch.org/files/106Inal%20Jabiev%27s%20case%20.pdf

[58] კვლევის მონაწილე ცხინვალიდან, ქალი, 60 წლის, ოსი.

[59] Freedom House (2021). South Ossetia/Tskhinvali. Available at: https://freedomhouse.org/country/south-ossetia/freedom-world/2020

[60] DRI (2021). Human Rights in Abkhazia and South Ossetia/Tskhinvali. Available at: https://www.democracyresearch.org/files/171Human%20rights%20in%20Abkhazia%20and%20South%20Ossetia%20Tskhinvali%20region.pdf

[61] ქალების ფოკუს ჯგუფი, ცხინვალი

კვლევის ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ პრობლემებზე საუბრის თავისუფლება ჯანსაღი საზოგადოების მახასიათებელია და კრიტიკულ დისკუსიებში მონაწილეობის მიღება საზოგადოების ნორმალურად ფუნქციონირებასა და განვითარებაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლების განხილვისას ყურადღება ჩაკეტილ „საზღვრებზეც“ გამახვილდა, რომელშიც ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას უწევს ცხოვრება. იზოლაცია განიხილებოდა გარე სამყაროსგან მათი მოწყვეტის როგორც წყარო, ასევე შედეგი – *"ჩაკეტილები ვართ, შესაძლებელია ვისაუბროთ ზუსტად იმდენი, რამდენის უფლებასაც გვაძლევენ."*[62] იზოლაციამ, ჩაკეტილობამ და კრიტიკულ საკითხებზე ღიად, საჯაროდ საუბრის შეუძლებლობამ ბევრი ადამიანი ნიჰილიზმამდე და იმედგაცრუებამდე მიიყვანა – *„იღაპარაკებ, თუ არ იღაპარაკებ, ერთი და იგივეა, არავის აინტერესებს.“*[63] ბევრს უსამართლობის განცდაც აქვს, განსაკუთრებით, ნეპოტიზმის გაძლიერების გამო, როდესაც ადამიანებმა იციან, რომ „ძალაუფლების მქონე ხალხთან“ კავშირების გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევენ - *„ხალხი უყურებს ამ ყველაფერს და გრძნობს, რომ შენზე არაფერია დამოკიდებული, რასაც აკეთებ, აზრი არაფერს აქვს.“*[64]

- ***კოვიდ-19 – მშვიდობა არის, როცა არ გეშინია, რომ ლედა კოვიდ-19-ით თუ დაავადდება, აქაური საავადმყოფოში შესაბამის მკურნალობას ვერ მიიღებს***

კოვიდ-19 და მასთან დაკავშირებული პრობლემები ცხინვალში ყოველდღიური ცხოვრების შესახებ საუბრებში არაერთხელ გაისმა. კვლევის მონაწილეებს განსაკუთრებით აწუხებთ ჯანდაცვის გაუმართავი სისტემა, რომელიც კოვიდის კრიზისის გამო კიდევ უფრო გაუარესდა, ჩაკეტილი გზები და რუსეთთან საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვა, აგრეთვე იძულებითი ვაქცინაცია. ცხინვალის რეგიონმა/სამხრეთ ოსეთმა კოვიდ-19-ის კრიზისის სამართავად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან არ ითანამშრომლა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხანდაზმულობის, ცუდად აღჭურვილი საავადმყოფოებისა და ძირითადი დამცავი საშუალებების ნაკლებობის გამო კი დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდა.[65]

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ინდიკატორი კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინების მიმართ შიშსაც გამოხატავს – **მშვიდობა არის, როცა არ გეშინია, რომ კოვიდ-19-ის ვაქცინით აცრას გაიძულებენ.** იმის გამო, რომ ინდიკატორების ვერიფიკაცია ვერ მოხერხდა, რთულია იმის თქმა, თუ რამდენად გავრცელებულია ეს შიში ცხინვალის მცხოვრებლებს შორის და რამდენი ადამიანი დაასახელებდა ამ ინდიკატორს პრიორიტეტულად. თუმცა, ეს საკითხი რამდენიმე ინტერვიუში გამოიკვეთა და ცხინვალში ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში სიმშვიდის განცდის ხელშემშლელს ფაქტორად დასახელდა.

- ***გადაადგილების თავისუფლება – მშვიდობა არის, როცა არავინ გეუბნება, რომ არ გაქვს [რუსეთთან] საზღვრის გადაკვეთის უფლება, რადგან საბუთები არ გაქვს***

ცხინვალელების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმის შემაფერხებელ ფაქტორად „საზღვრებზე“ თავისუფლად გადაადგილების შეუძლებლობაც დასახელდა. თავისუფალი გადაადგილება პრობლემად კვლევის ყველა არეალში დასახელდა, ვინაიდან გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში მცხოვრებ ადამიანებს ძალიან დიდ პრობლემას უქმნის დაკეტილი საკონტროლო-გამშვები პუნქტები და გადაადგილებაზე მუდმივი კონტროლი. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს პრობლემა კვლევის ცხინვალელმა მონაწილეებმაც აღნიშნეს. თუმცა, აქ საინტერესო თავისებურება გამოვლინდა, კვლევის მონაწილეები პრობლემად რუსეთთან, და არა ქართულ მხარესთან, „საზღვარზე“ გადაადგილების შეზღუდვას განიხილავდნენ. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კონტექსტთან დაკავშირებული ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ, ის, რომ რუსეთისკენ მიმავალი გზა კოვიდთან დაკავშირებული ვითარების გამო

[62] კვლევის მონაწილე ცხინვალიდან, ქალი, 60 წლის, ოსი.

[63] ქალების ფოკუს ჯგუფი, ცხინვალი

[64] ქალების ფოკუს ჯგუფი, ცხინვალი

[65] International Crisis Group (2020). The Covid-19 Challenge in Post-Soviet Breakaway Statelets. Available at: https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/b89-covid-19-challenge-post-soviet-breakaway-statelets

იყო ჩაკეტილი. მიუხედავად ამისა, კვლევის ზოგიერთი მონაწილე საუბრობდა დოკუმენტებზე, როგორც დამატებით ფაქტორზე, რომელიც რუსეთთან „საზღვრის“ გავლით თავისუფალ გადაადგილებას ართულებს.

- ***საბაზისო ინფრასტრუქტურა - მშვიდობა არის, როცა ქუჩაში მშვიდად გადაადგილდები, გზის გადაკვეთისას მანქანის დაჯახების არ გეშინია***

ცხინვალში ყოველდღიური უსაფრთხოების მნიშვნელოვან ასპექტებად როგორც ქვეითთა, ასევე მძღოლების უსაფრთხოების საკითხი დასახელდა. ბევრმა მონაწილემ ისაუბრა ნასვამ მძღოლებსა და ადამიანებზე, რომლებიც საგზაო წესებს არ იცავენ და ქვეითებსა და სხვა მძღოლებს საფრთხეში აგდებენ. მათი აზრით ამ პროცესს ხელს უწყობს როგორც ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა, ასევე იმ ადამიანების დაბალი სამოქალაქო შეგნება, რომლებიც მანქანებს ნასვამ მდგომარეობაში მართავენ. საგზაო უსაფრთხოების გარდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში უსაფრთხოებისა და მშვიდობის განცდაზე უარყოფითი ზემოქმედების მქონე ფაქტორებად ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების პრობლემებიც დასახელდა – *„ცხოვრება მშვიდია, როცა ელემენტარული კომფორტი გაქვს.“*[66]

საბაზისო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გზები, ტროტუარები და სუფთა ქალაქი, გავლენას ახდენს ადამიანების მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში სიმშვიდის განცდაზე. კვლევის მონაწილეების აზრით, ცხინვალი მოკლებულია ქალაქისა თუ სოფლის სხვადასხვა სახის გამართულ, საბაზისო ინფრასტრუქტურას.

თანმდევი გამოწვევების მიუხედავად, ცხინვალში ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, თუ როგორ ესმით და როგორ წარმოუდგენიათ კვლევის მონაწილეებს მშვიდობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. საუბრებით გაირკვა, რომ ყოველდღიური მშვიდობის აღქმას მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი აყალიბებს. ყოველდღიური მშვიდობა ავლენს სიტუაციურ, მოკლევადიან, აგრეთვე არსებულ მდგომარეობასა და მომავალ განვითარებასთან დაკავშირებულ ღრმად ფესვგადგმულ პრობლემებს, რომლებიც მთელ საზოგადოებას აწუხებს.

[66] კვლევის მონაწილე ცხინვალიდან, ქალი, 25 წლის.

თბილისი – ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები (ვერიფიცირებული)

მშვიდობა არის, [როცა]...

1. ქვეყანაში დანაშაულის მაჩვენებელი მინიმუმამდეა შემცირებული
2. სახლში დაბრუნება [აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში]
3. შენი ქვეყნის 20% რუსეთის მიერ არ არის ოკუპირებული
4. დევნილებისთვის მშვიდობა ნიშნავს სახლში უსაფრთხოდ ყოფნას
5. უსაფრთხო გადაადგილება [გამყოფი ხაზის მეორე მხარეს]
6. თუნდაც აღდგომას ოჯახის წევრების საფლავებზე გასვლა შეგიძლია [აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში]
7. პირბადის გარეშე ცხოვრება
8. მშვიდობიანი გარემო იმ შემთხვევაში იქნება, თუ არ იქნება ომი
9. ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანს შეუძლია ნებისმიერ ადგილზე თავისუფლად გადაადგილება
10. მშვიდობიანი თანაცხოვრება აფხაზებთან ერთად
11. მქონდეს თვითგამოხატვის შესაძლებლობა და არ დავმალო ვინ ვარ, რა ვარ, რას ვაკეთებ, რას ვფიქრობ
12. არ გეშინია შვილების ეზოში გაშვება
13. ეკონომიკური კეთილდღეობა
14. მშვიდობიანად ვგრძნობ თავს, როცა სამართლიანობაა
15. ხმაურის არ გეშინია
16. შეგიძლია ყოველდღიურ ცხოვრებაზე კონცენტრირდე და არ იფიქრო წარსულის ფსიქოლოგიურ ტრავმებზე

ყოველდღიური მშვიდობა თბილისში

თბილისში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების კვლევის პროცესში ჩართული იყვნენ კომპაქტური ჩასახლების ადგილებსა და კერძო სახლებში მცხოვრები აფხაზეთიდან და ასევე ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების წარმომადგენლები. შვიდ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 64-მა ადამიანმა (ოთხი ფოკუს-ჯგუფი შემუშავების და სამი ფოკუს-ჯგუფი ვერიფიკაციის ეტაპზე) - 48-მა ქალმა და 16-მა მამაკაცმა, მათ შორის, 6-მა ახალგაზრდამ. საწყის ეტაპზე განისაზღვრა ყოველდღიური მშვიდობის 30 ინდიკატორი, მათგან 16 თემის წარმომადგენლების მიერ ვერიფიცირებული.

თბილისში მცხოვრები დევნილების მიერ შემუშავებულმა ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორებმა ადამიანების მიერ მშვიდობის აღქმაზე იძულებით გადაადგილების, აგრეთვე სოციალური, ეკონომიკური და უსაფრთხოების მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედება გამოავლინა. დევნილებისთვის ყოველდღიური მშვიდობა მჭიდროდ არის დაკავშირებული უსაფრთხოების განცდასთან, სადაც ინდივიდის უსაფრთხოება ერთმანეთთან აკავშირებს უსაფრთხოების ორ განზომილებას: 1. ყოველდღიური უსაფრთხოება, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის მაჩვენებელთან; და 2. ეროვნული უსაფრთხოება, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასთან. გარდა ამისა, გაჭიანურებული კონფლიქტები და იძულებითი გადაადგილება დევნილთა შორის ყოველდღიურ მშვიდობის აღქმაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნება და თავისუფალი გადაადგილება კონფლიქტის გამყოფი ხაზების მეორე მხარეს მშვიდობიანი ცხოვრების მთავარ კომპონენტებად აღიქმება. ადგილმონაცვლეობის ტრავმული გამოცდილება იძულებით გადაადგილებულ პირებში უსაფრთხო და სტაბილური საცხოვრებლის მნიშვნელობას განაპირობებს. ტრავმასთან გამკლავება და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაცია ყოველდღიური მშვიდობის განცდის აუცილებელ წინაპირობად დასახელდა. აცნობიერებენ რა კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციის მნიშვნელობას, დევნილთა თემის წარმომადგენლები კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ერთადერთ გზად ნდობის აღდგენას განიხილავენ, რომელშიც საკუთარ აქტიურ ჩართვასაც მოითხოვენ.

1. ყოველდღიური უსაფრთხოება - მშვიდობა არის, როცა ქვეყანაში დანაშაულის მაჩვენებელი მინიმუმამდეა შემცირებული

თბილისში, დევნილთა შორის ყოველდღიური მშვიდობის კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველდღიური უსაფრთხოება აღმოჩნდა. კერძოდ, როგორც მათ აღნიშნეს, **მშვიდობა არის, როცა ქვეყანაში დანაშაულის მაჩვენებელი მინიმუმამდეა შემცირებული.** დანაშაულის მაჩვენებელთან დაკავშირებული შეშფოთება ძირითადად გამოწვეულია კვლევის მონაწილეების ყოველდღიური გამოცდილებითა და დაკვირვებით. თემის დონეზე, ადამიანებს ძირითადად ქალაქში ქურდობისა და ძარცვის გახშირებული შემთხვევები აწუხებთ. ასევე, გახმაურებული მკვლელობები დაუცველობის გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებს. ეს საკითხი განსაკუთრებით მშობლებს აწუხებთ. როგორც მათ განმარტეს, ყოველდღიური **მშვიდობა არის, როცა არ გეშინია შვილების ეზოში გაშვება** (EPI #12). დანაშაულის გარდა, მოზარდების მშობლებს ასევე აწუხებთ გარშემო ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევების ზრდაც. საკუთარი სიტყვების დასადასტურებლად მათ არგუმენტად ქუჩებსა და შენობების ბნელ კუთხეებში ნაპოვნი შპრიცების დიდი რაოდენობა მოჰყავდათ. ყოველდღიური მშვიდობის ამ ინდიკატორების განხილვისას, კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ დანაშაულის თითოეულ შემთხვევაზე ეფექტიანი რეაგირების მნიშვნელობას ქვეყანაში დანაშაულის მზარდი მაჩვენებლების შემცირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ თბილისში მცხოვრებ დევნილთა ფოკუს-ჯგუფების პირველი რაუნდის ჩატარების პერიოდმა (2021 წლის ივნისი-სექტემბერი) შესაძლოა გარკვეული გავლენა იქონია კვლევის მონაწილეების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმასა და ყოველდღიური უსაფრთხოების განცდაზე. კერძოდ, მშვიდობისა და ადამიანის უსაფრთხოების საკითხების განხილვისას მათ არაერთხელ ახსენეს 5 ივლისს ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა.[67] გარდა ამისა, დევნილთა თემის მიერ ყოველდღიური მშვიდობის დანაშაულის მაჩვენებლის შემცირებასთან კავშირში განხილვის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, მათ მიერ 90-იან წლებში სახლების ძარცვის, გაუპატიურებისა და ძალადობის შედეგად გადატანილი ტრავმები იყოს.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობიანად ვგრძნობ თავს, როცა სამართლიანობაა.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა ნიშნავს მქონდეს თვითგამოხატვის შესაძლებლობა და არ დავმალო ვინ ვარ, რა ვარ, რას ვაკეთებ, რას ვფიქრობ.

2. დევნილთა დაბრუნება - მშვიდობა არის სახლში დაბრუნება [აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში]

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი – **მშვიდობა არის სახლში დაბრუნება** აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რომელმაც ხმების რაოდენობით მეორე ადგილი დაიკავა, მეტყველებს იმაზე, რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ის დევნილთა ცხოვრებაში მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს. სახლებში დაბრუნების შეუძლებლობა მათში მუდმივ სტრესსა და არასტაბილურობის განცდას იწვევს, რაც იძულებითი გადაადგილების ტრავმულ გამოცდილებას კიდევ უფრო აძლიერებს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა მტკიცედ უჭერს მხარს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საკუთარ სახლებში დაბრუნების იდეას, დევნილთა პოზიცია ამ საკითხზე ერთგვაროვანი არ არის. ასაკი, ინტეგრაციის ხარისხი და სოციალურ-ეკონომიკური პირობები დასახელდა იმ მთავარ ფაქტორებად, რომლებმაც, შესაძლოა, საკუთარ სახლში დაბრუნების მიმართ მათი დამოკიდებულება განსაზღვროს. თუმცა, კავშირი ამ ფაქტორებსა და რეალურ გადაწყვეტილებას შორის შეიძლება არ იყოს ძლიერი, როგორც ამას ყოველდღიური მშვიდობის ამ ინდიკატორის ირგვლივ გამართული მსჯელობა აჩვენებს.

კვლევის ზოგიერთი მონაწილე თვლის, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცხოვრების გამოცდილების მქონე მშობლებისა და უფროს თაობებს უფრო მეტად სურთ სახლში დაბრუნება, ხოლო თბილისში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდები ამ ვარიანტს ნაკლებად განიხილავენ. თუმცა, ზოგიერთი ფიქრობს, რომ თუ მშვიდობა და უსაფრთხოება გარანტირებული იქნება, ახალგაზრდებიც დაბრუნდებიან. ანალოგიურად, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ინტეგრაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დაბრუნების მოტივაციაზე იმ ადამიანებს შორის, რომლებიც თბილისში უკეთ ინტეგრირებული და დამკვიდრებული არიან. თუმცა, ზოგიერთი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და აღნიშნავს: *„თბილისმა მე მიმიღო, მაგრამ სოხუმი მაინც პირველ ქალაქად დარჩება.“*[68]

რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, კვლევის ზოგიერთი მონაწილე ამტკიცებს, რომ დევნილთა როგორც

[67] Civil.ge (2021) „ღირსების მარშის“ კონტრაქციის მონაწილეების მასობრივი თავდასხმა ჟურნალისტებზე Civil.ge: https://civil.ge/ka/archives/430566

[67] ინტერვიუ, ქალი რესპონდენტი, თბილისი, დევნილთა თემი

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა არ მომინდება საზღვარგარეთ წასვლა.

ახალგაზრდა, ისევე უფროს თაობას იმდენად დიდი ძალისხმევა დასჭირდა თბილისში სამუშაოს შოვნისა და სტაბილურობის გარკვეული დონის მისაღწევად, რომ ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ შესაძლოა დაბრუნების შემდეგ იგივე პროცესის გავლის შიში ჰქონდეთ. მათთვის, ვინც დღემდე დევნილთა დასახლებებში მძიმე პირობებში ცხოვრობს, სახლებში დაბრუნება შესაძლოა უფრო გადაუდებელი მოთხოვნა იყოს. თუმცა, ზოგი თვლის, რომ თუნდაც იძულებით გადაადგილებული პირი საზოგადოებაში დამკვიდრებული, ინტეგრირებული და ფინანსურად უზრუნველყოფილი იყოს, *„სახლი ის ადგილია, სადაც შენი წინაპრები ცხოვრობდნენ და სადაც მათი საფლავებია“*,[69] რითაც ხაზს უსვამენ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კავშირებს იმ ადგილთან, რომელსაც ისინი სახლს უწოდებენ. აქედან გამომდინარე, უფროსი თაობის დევნილთა შორის აფხაზეთში ცხოვრების პერიოდი, ცალკეული ადგილები და იქაური ყოველდღიურობის შესახებ მოგონებები რომანტიზებულია და საკუთარ ფესვებთან კავშირის შესანარჩუნებლად ახალგაზრდა თაობას გადაეცემა.

იმის მიუხედავად, დაბრუნდებიან თუ არა, კვლევაში ჩართული დევნილების აზრით, არჩევანის თავისუფლება და საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება სამართლიანობასთან არის დაკავშირებული. თუმცა, რესპონდენტები კონფლიქტისა და მისი ძირეული მიზეზების პოლიტიკური გზით მოგვარებას დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების საქმეში წარმატების მიღწევისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესად მიიჩნევენ. ამ საკითხთან მიმართებით დევნილები ვერ ხედავენ როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს, რაც დაბრუნებასთან დაკავშირებულ ნიჰილიზმსა და უიმედობას აღვივებს. აღსანიშნავია, რომ ყოველდღიური მშვიდობის ამ ინდიკატორის განხილვისას, დევნილებმა ხაზი გაუსვეს კონფლიქტების შედეგად გაყოფილი საზოგადოებების შერიგების, ნდობისა და ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელობას. კვლევის მონაწილეები მშვიდობიან დაბრუნებას განიხილავენ ერთადერთ ვარიანტად აფხაზებსა და სამხრეთელ ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის.

3. უსაფრთხოება - მშვიდობა არის, როცა შენი ქვეყნის 20% რუსეთის მიერ არ არის ოკუპირებული

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორმა - **მშვიდობა არის, როცა შენი ქვეყნის 20% რუსეთის მიერ არ არის ოკუპირებული** თბილისში მცხოვრები დევნილების ბევრი ხმა მიიღო და ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად განხილვადი თემა იყო. ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემის გარდა, ოკუპაცია საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის, ასევე საზოგადოების უსაფრთხოებას. განსაკუთრებით, რუსული სამხედრო სიძლიერე და მათი ბაზების სიახლოვე მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის გაწეული ძალისხმევის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებს.

თბილისში მცხოვრები დევნილთა თემის წარმომადგენლები აცნობიერებენ, რომ ოკუპაცია ბევრად დიდ ზიანს აყენებს გამყოფ ხაზებთან ახლოს მცხოვრებ ადამიანებს, ვიდრე მათ, ვინც ამ

[69] ვერიფიკაციის ფოკუს ჯგუფი #3, თბილისი, დევნილთა თემი

ხაზებიდან მოშორებით, მაგალითად, დედაქალაქში ცხოვრობს. მათი აზრით, გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანებისთვის ომი არ დასრულებულა. ისინი ყოველდღიურად გადარჩენის რეჟიმსა და რუსი სამხედროების შიშის ქვეშ ცხოვრობენ, რაც მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე აისახება.

ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი რეფლექსიისთვის:

მშვიდობა არის, როცა ომი არ არის.

ყოველდღიურად მავთულხლართებისა და ღობეების ყურება და ოჯახის წევრებისა და ნათესავების მონახულების შეუძლებლობა ოკუპაციის ის ცალკეული და ყოველდღიური შედეგებია, რომელთა სრულად აღქმა შორი მანძილიდან შეუძლებელია. თუმცა, მუდმივი შიში და წნეხი იმისა, რომ *„ახ იცი, ხვაღ საქახთველოში გაიღვიძებ თუ ხუსეთის ტეხიტოხიაზე“*[70] თბილისში მცხოვრებ დევნილთა შორისაც აძლიერებს დაუცველობისა და არასტაბილურობის განცდას.

ოკუპაციის სხვადასხვა განზომილების განხილვისას, კვლევის მონაწილეებმა ოკუპანტზე ეკონომიკური დამოკიდებულება ისეთივე სახიფათოდ ჩათვალეს, როგორც ტერიტორიული ოკუპაცია. მათი აღქმით, გადაწყვეტილების მიღების დონეზე სათანადოდ არ ითვალისწინებენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რაც მოსკოვის პოზიციებს ქვეყანაში კიდევ უფრო აძლიერებს. რუსეთის მზარდი გავლენა დევნილთა შორის შეშფოთებას იწვევს, ვინაიდან მათი აზრით, სუვერენული და დამოუკიდებელი საქართველო კრემლის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან თავსებადი არ არის.

თბილისის დევნილთა თემიდან კვლევაში ჩართული ადამიანების ნაწილი თვლის, რომ ქვეყანაში რუსეთის ეკონომიკური და რბილი ძალის საწინააღმდეგო სათანადო ზომები არ მოქმედებს. კრიტიკულად განწყობილი პირები ფიქრობენ, რომ „საქართველო ოკუპირებულია რუსეთის მიერ“ ძირითადად მოდურ ფრაზად იქცა, რომელსაც ზურგს რეალური მოქმედებები არ უმაგრებს. იგივე არგუმენტი მიუთითებს იმაზე, რომ ყურადღების მხოლოდ რუსეთის ოკუპაციაზე გამახვილება აფხაზებსა და ოსებთან ნდობის აღსადგენად საკმარისი არ არის. ამიტომ, მშვიდობის დამყარება უფრო კომპლექსურ მიდგომებს მოითხოვს.

4. ღირსეული საცხოვრებელი - დევნილებისთვის მშვიდობა ნიშნავს სახლში უსაფრთხოდ ყოფნას

დევნილები „უსაფრთხო სახლის“ ცნებას განსახლების ადგილზე დაბრუნებასა[71] და ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრების ღირსეულ პირობებს უკავშირებენ. **მშვიდობა ნიშნავს სახლში უსაფრთხოდ ყოფნას** – ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორის ფარგლებში კვლევის მონაწილეებმა თბილისში საცხოვრებელი პირობები განიხილეს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განსახლების პოლიტიკის განხორციელება გაუმჯობესდა და დევნილთა უმეტესობას საკუთარი ბინები გადაეცა, ბევრი, უკვე თითქმის სამი ათწლეულია, ისევ მოლოდინის რეჟიმშია. იმავდროულად, კომპაქტური ჩასახლების ადგილებში მცხოვრები დევნილები მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრობენ, ვინაიდან ზოგიერთი შენობა უსაფრთხოების სტანდარტებს აღარ აკმაყოფილებს. ასეთ კომპაქტურ დასახლებებში მძიმე პირობებია, სახურავებიდან წყალი ჟონავს, სველი წერტილები საერთოა, ხოლო საცხოვრებელი ოთახები – პატარა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების

[70] ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი, თბილისი, დევნილთა თემი

[71] დევნილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნების საკითხი განხილულია ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორის #2-ის ფარგლებში.

მიერ გაზიარებული ინფორმაციის მიხედვით, მაგალითად, 535 ოჯახი (დაახლოებით 2000 ადამიანი) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოფილ საერთო საცხოვრებელშია ჩასახლებული, სადაც სულ მცირე 4 ადამიანი 12 m^2 ფართობის ოთახში ცხოვრობს.

როგორც ერთ-ერთმა ძირითადმა ინფორმანტმა აღნიშნა, მხოლოდ თბილისში რეგისტრირებული 111 982 იძულებით გადაადგილებული პირიდან (37 868 ოჯახი)[72] ნახევარზე მეტმა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ბინა ან განსახლების კომპენსაცია მიიღო.[73] ზოგადად, კვლევის მონაწილეები დადებითად აფასებენ პროგრამას, ვინაიდან მან ათასობით დევნილს ათწლეულების განმავლობაში მძიმე პირობებში ცხოვრების შემდეგ დიდი შვება მოჰგვარა. თუმცა, სტრატეგიული ხედვისა და მკაფიო სამოქმედო გეგმის არარსებობა და მართვისა და მონიტორინგის არასრულყოფილი სისტემა განსახლების პოლიტიკის მთავარ ხარვეზებად დასახელდა, რაც განსახლების პროცესის გაჭიანურებასა და ცალკეული საცხოვრებელი შენობების ხარისხის გაუარესებას იწვევს. ამასთან ერთად, კვლევის მონაწილეებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს ბინების მიმღებების შერჩევისა და ბინების განაწილების პროცესის მიუკერძოებლობა. მათი დაკვირვებით, ზოგიერთმა ოჯახმა ბინები ოჯახის თითოეული წევრისთვის ცალ-ცალკე მიიღო, ხოლო ზოგიერთი, ვისაც გადაუდებლად სჭირდება ბინა, დღემდე მომლოდინეთა სიაშია. თუმცა, დევნილებს პარლამენტში, აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოებსა თუ მედიაში მსგავს პრობლემებზე საუბრის შესაძლებლობა არ აქვთ.

5. გადაადგილების თავისუფლება - მშვიდობა ახის უსაფრთხო გადაადგილება [გამყოფი ხაზის მეორე მხარეს]

თბილისში მცხოვრები დევნილები, სხვა საკვლევი არეალების წარმომადგენლების მსგავსად, **მშვიდობად უსაფრთხო გადაადგილებას [გამყოფი ხაზის მეორე მხარეს]** მიიჩნევენ. ბებია-ბაბუების და ნათესავების მონახულება და **აღდგომის დღესასწაულზე ოჯახის წევრების საფლავებზე გასვლა** (EPI #6) გამყოფი ხაზის მეორე მხარეს გადასვლის მთავარ მიზნად დასახელდა. გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები და საკონტროლო-გამშვები პუნქტების ხანგრძლივი დროით დაკეტვა პრობლემას უქმნის იძულებით გადაადგილებულ ბევრ პირს, ვინაიდან მათი ოჯახის წევრები გამყოფი ხაზის მეორე მხარეს რჩებიან. ამიტომ, ის სირთულეები, რომლებსაც გალისა და ახალგორის მცხოვრებლები გამყოფი ხაზის გადაკვეთისას აწყდებიან, განსაკუთრებით მტკივნეულია დევნილებისთვის. მაგალითად, ენგურზე მომხდარი შემთხვევა, როდესაც, ზუგდიდში მოსახვედრად, მდინარის გადაკვეთის მცდელობისას ოთხი ადამიანი დაიხრჩო,[74] უსაფრთხო გადაადგილების მნიშვნელობის განხილვისას ხშირად იყო ნახსენები. გაჭიანურებული კონფლიქტითა და თავისუფალ გადაადგილებაზე შეთანხმების მიუღწევლობით გამოწვეული ასეთი შემთხვევები და ადამიანური ტრაგედიები მათ მშვიდობისა და უსაფრთხოების განცდას ურღვევს.

კვლევის მონაწილეებს **ნებისმიერ ადგილზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა** ადამიანის მთავარ უფლებად და მშვიდობის პირდაპირ ინდიკატორად მიაჩნიათ (EPI #9). მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები უახლოეს მომავალში კონფლიქტების მოგვარებას პერსპექტივას ვერ ხედავენ, მათ სურთ ჰქონდეთ მეორე მხარეს გადასვლის შესაძლებლობა, სულ მცირე, დღესასწაულებისა და განსაკუთრებული შემთხვევების დროს - *„თუ შოხეუღი მშვიდობა ჩემთვის აფხაზეთში დაბhუნებაა, დღეს, hოგოhც დევნიღი მოქაღაქისთვის, მშვიდობა უსაფhთხო მიმოსვღას ნიშნავს.“*[75] აღსანიშნავია, რომ დევნილები გადაადგილების თავისუფლებას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების მეორე მხარეს მცხოვრებ ადამიანებთან კავშირების შენარჩუნებისა და ურთიერთობების დამყარების მთავარ ფაქტორად განიხილავენ.

[72] MoH (no data) დევნილთა სტატისტიკა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: https://www.moh.gov.ge/ka/703/

[73] IDFI-ის მიერ მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვითაც, დევნილთა დაახლოებით 50% ელოდება განსაზღვების პროცესს.

IDFI (2022) საცხოვრებლის მოლოდინში მყოფი დევნილი ოჯახები: 2017-2021 წლების სახელმწიფო პოლიტიკა. IDFI: https://idfi.ge/ge/id-p_families_in_georgia_and_state_policy_in_2017_2021

[74] Civil.ge (2021) ენგურში კიდევ ერთი გარდაცვლილი გალელი იპოვეს. Civil.ge: https://civil.ge/ka/archives/411293

[75] ქალების ფოკუს ჯგუფი, თბილისი, დევნილთა თემი

ფსიქიკური ჯანმრთელობა

დევნილთა თემის მიერ განსაზღვრული ყოველდღიური მშვიდობის ორი ინდიკატორი – **მშვიდობა არის, როცა ხმაურის არ გეშინია** (EPI #15) და **მშვიდობა არის, როდესაც შეგიძლია ყოველდღიურ ცხოვრებაზე კონცენტრირდე და არ იფიქრო წარსულის ფსიქოლოგიურ ტრავმებზე** (EPI #16) დევნილთა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და ყოველდღიურ მშვიდობას შორის კავშირზე მიუთითებს. ისევე, როგორც სხვა საკვლევ არეალებში მცხოვრებლებისთვის, დევნილებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ომითა და იძულებითი გადაადგილებით არის განპირობებული.

ტრავმის ყველაზე გავრცელებულ გამომწვევ ფაქტორებად ხმაური, თვითმფრინავის და ფეიერვერკების ხმა და ომის კადრები (ფილმებშიც კი) დასახელდა. დაგროვილი ტრავმები არა მხოლოდ არღვევს მათ ყოველდღიურ მშვიდობას, არამედ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემასაც იწვევს. აღსანიშნავია, რომ პანდემიამ ყველა ასაკობრივ ჯგუფში ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

ტრავმის წყარო და მისი აღქმა ახალგაზრდა და უფროს თაობებს შორის განსხვავებულია, რასაც მიზნობრივი ფოკუს-ჯგუფები აჩვენებს. ომისა და დევნილობის უშუალო გამოცდილება და მოგონებები ღრმად არის ჩამჯდარი იძულებით გადაადგილებული პირების მშობლებისა და უფროსი თაობის ადამიანების გონებაში და პერიოდულად სხვადასხვა ფორმით ვლინდება. გარდა ამისა, დაბრუნებისა და განსახლების საკითხებთან დაკავშირებული არასტაბილურობა და უიმედობა თვითრეალიზაციის შესაძლებლობების ნაკლებობით გამოწვეულ იმედგაცრუებას აძლიერებს. ბევრი ვერ აღწევს ცხოვრების იმ დონეს, რომელიც მათ სოხუმში ჰქონდათ, რაც დანაკარგისა და სირცხვილის გრძნობას კიდევ უფრო აღრმავებს. შესაბამისად, განსაკუთრებით ხანდაზმული ადამიანები თავს „დაკარგულ თაობად“ თვლიან.

თუმცა, უმცროს თაობებს, რომლებსაც ომი კარგად არ ახსოვთ, ძირითადად მშობლებისა და ბაბუა-ბებიებისგან მემკვიდრეობით მიღებულ ტრავმები აწუხებთ. მიუხედავად ამისა, უფროსი ახალგაზრდული ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი როგორც ომის საკუთარ ტრავმებს, ასევე ოჯახის უფროსი წევრებისაგან გადმოცემულ ტრავმას ატარებს. რესპონდენტების თანახმად, ტრავმასთან გამკლავება უფრო მეტად უჭირთ იმ ახალგაზრდებსა და ბავშვებს, რომლებიც დევნილთა დასახლებებში ცხოვრობენ და, აგრეთვე მათ, რომელთა ოჯახებში ომთან დაკავშირებულ ამბებს ხშირად იხსენებენ. ასეთ გარემოში მეზობლებისა და ნათესავების შეკრებისას, როგორც წესი, იხსენებენ ომსა და სოხუმში [ან სხვა ადგილებში] უკეთეს ცხოვრებას. მოგონებები ომისა და ტრავმული ბავშვობის შესახებ ზოგიერთ ახალგაზრდას იმდენად აწუხებს, რომ მშვიდობას ისინი წარსულის არცოდნასთან აკავშირებენ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, *„მე ჰომ მქონდეს იგივე ცხოვრების გავლასა თუ აჰდაბადებას შოჰის აჰჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, აჰდაბადებას ავიჰჩევდი.“*[76]

მიუხედავად იმისა, რომ ტრავმასთან გასამკლავებლად ფსიქოლოგიური დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია, თბილისში მცხოვრები დევნილთა თემის წევრებისთვის შესაბამისი კვალიფიციური სერვისები დიდწილად ხელმისაწვდომი არ არის. გარდა ამისა, საზოგადოებაში გაბატონებული სტიგმის გამო ბევრი ფსიქოლოგიური დახმარების მიღებისგან თავს იკავებს.

ნდობის აღდგენის პროცესი

თბილისში მცხოვრებმა დევნილთა თემის წარმომადგენლებმა აფხაზებსა და სამხრეთელ ოსებთან ნდობის აღდგენასთან დაკავშირებული ყოველდღიური მშვიდობის რამდენიმე ინდიკატორი გამოავლინეს. მათგან ინდიკატორმა - **მშვიდობა არის მშვიდობიანი თანაცხოვრება აფხაზებთან [და სამხრეთელ ოსებთან]** ყველაზე მეტი ხმა მიიღო (EPI #10).[77] აფხაზებსა და სამხრეთელ ოსებთან მშვიდობიანი თანაარსებობის

[76] ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი, თბილისი, დევნილთა თემი

[77] შენიშვნა: ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების უმეტესობას აფხაზეთიდან დევნილები წარმოადგენდნენ, რამაც თავდაპირველი ინდიკატორების ფორმულირება განსაზღვრა.

პირობების შექმნისთვის, კვლევის მონაწილეები არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის შესაძლებლობის მნიშვნელობას გამოყოფენ. რაც შეეხება პირისპირ ურთიერთობას, თემის წევრები აღნიშნავენ, რომ მშვიდობაა, როცა აფხაზებს აქ [თბილისში] ჩამოსვლის პრობლემა არ ექნებათ. ყოველდღიური მშვიდობის ზოგიერთი ინდიკატორი, მაგ., #10 შესაძლოა უფრო ნდობის აღდგენის ძალისხმევის შედეგად ჩაითვალოს, ვიდრე ინდიკატორად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორებად განისაზღვრა.

კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შეზღუდული ურთიერთობის პირობებში დევნილთა უფროსი თაობა აფხაზ და ოს მეგობრებთან, ნათესავებთან, კოლეგებსა და ყოფილ მეზობლებთან კონტაქტს ინარჩუნებს. თუმცა, ახალგაზრდა თაობა ასეთი სოციალური კავშირების დამყარების შესაძლებლობას, ხანგრძლივი იზოლაციის გამო, როგორც წესი, მოკლებულია. მაგალითად, 2021 წელს ჩატარებული კავკასიური სახლის/CRRC კვლევის თანახმად, ახალგაზრდების 72% აფხაზეთში ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ამჟამად მცხოვრებ არც ერთ ადამიანს არ იცნობს.[78] უშუალო კავშირების არარსებობის გამო ადამიანებმა არ იციან, კონფლიქტისა და მშვიდობის როგორი აღქმა აქვთ გამყოფი ხაზების მეორე მხარეს მცხოვრებლებს. მიუხედავად ამისა, დევნილები ნდობის აღდგენას კონფლიქტების მოგვარებისკენ მიმართული დიალოგის წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად განიხილავენ.[79] აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევის თანახმად, ახალგაზრდების დიდი ნაწილი (42%) მზად არის, ჩაერთოს სამშვიდობო ინიციატივებში.

თუმცა, ნდობის აღდგენის პროცესის განსხვავებული ხედვა აძლიერებს იმ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ქართველებსა და აფხაზებს, როგორც ეთნიკურ ჯგუფებს, შორის შეუთავსებლობა არ არსებობს, რასაც აჭარის რეგიონში ეთნიკური ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითები ადასტურებს. ამ არგუმენტის მიხედვით, კონფლიქტის მოსაგვარებლად მთავარია პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა. პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შემდეგ ადამიანები მშვიდობიანი თანაარსებობისთვის საჭირო ენას გამონახავენ. თუმცა, ზოგიერთ დევნილს უჭირს 90-იანი წლების ომის დავიწყება და მეორე მხარეს მყოფ ადამიანებთან მშვიდობიან თანაცხოვრებაზე მზაობის გამოხატვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მსგავს განწყობას აფხაზების მხრიდან ვერ ხედავენ. ამასთან დაკავშირებით, კვლევის ერთ-ერთმა ახალგაზრდა მონაწილემ ომითა და დევნილობით გამოწვეული ტრავმების გამო აფხაზების მიმართ გაჩენილი ბრაზის დაძლევის საკუთარ ისტორიაზეც ისაუბრა. კონფლიქტის მეორე მხარის უკეთ გაგებაში მას ნდობის აღდგენისა და დიალოგის პროექტები, როგორიცაა, მაგალითად ბერგჰოფის ფონდის ქართულ-აფხაზური დიალოგი, დაეხმარა. ახალგაზრდა რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი პროექტები ხელს უწყობს აზრებისა და გამოცდილების რაციონალიზაციას ბრაზის მიღმა უფრო ფართო სურათის დასანახად.

კვლევის მონაწილეები რუსეთს კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის პროცესების შემაფერხებელ მთავარ ფაქტორად აღიქვამენ. რუსული ჯარები ადამიანების პირისპირ ურთიერთობების ხელშემშლელ ფიზიკურ წინაღობებს ქმნის, ხოლო კრემლი კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ნებისმიერ შესაძლებლობას აფერხებს. თუმცა, დევნილთა თემის წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებასაც აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ნდობის აღდგენის პროცესში დევნილები გათვალისწინებული და ჩართული არ არიან. დევნილები თვლიან, რომ მათ აქვთ მნიშვნელოვანი რესურსი გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ადამიანებთან პირადი კავშირების კუთხით და ასევე იციან, თუ როგორ უნდა ესაუბრონ მათ. ამასთან, გაჭიანურებული კონფლიქტები დევნილთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე უარყოფითად აისახება. ამიტომ მათ მშვიდობისა და ნდობის აღდგენის პროცესებში ჩართვის დიდი მოტივაცია აქვთ.

[78] კავკასიური სახლი/ CRRC (2021) საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობისა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობის კვლევა. [კვლევის ანგარიში]

[79] კავკასიური სახლის/CRRC (2021) კვლევა აჩვენებს, რომ "საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ერთსულოვნად (95%) მიიჩნევენ, რომ კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს."

დევნილთა ინტეგრაცია

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორებში არ მოხვდა, დევნილთა ინტეგრაცია მასპინძელ თემებში თბილისში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში ერთ-ერთი ყველაზე მეტად განხილვადი თემა იყო. კვლევის მონაწილეებს განსხვავებული გამოცდილება და შეხედულება ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, არიან თუ არა დევნილები ინტეგრირებული იმ საზოგადოებებში, რომლებშიც ისინი ამჟამად ცხოვრობენ. ზოგიერთს მიაჩნია, რომ დევნილები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დევნილებად 90-იან წლებში იქცნენ, საზოგადოებაში სრულად ინტეგრირებული არიან და მათ სხვა ჯგუფების მსგავსი გამოწვევები აქვთ. მიუხედავად ამისა, ისინი, ვინც თავს ინტეგრირებულად მიიჩნევს, საკუთარ თავს დევნილად აღარ წარმოაჩენს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ საზოგადოებამ ისინი მიიღო და მათი სტატუსის შეხსენებას საჭიროდ აღარ თვლიან. აგრეთვე, მათ არ სურთ, რომ ადამიანებს მათ მიმართ სიბრალულის გრძნობა ჰქონდეთ, რაც მათ სტატუსთან დაკავშირებულ გაუცნობიერებელ დაუცველობის შეგრძნებაზე მიუთითებს. სხვები, რომლებიც ინტეგრაციას პრობლემად მიიჩნევენ, თვლიან, რომ დევნილის სტატუსის დამალვა საზოგადოებაში შემორჩენილ სტერეოტიპებსა და სტიგმასთან არის დაკავშირებული.

ბევრი დევნილი იხსენებს მათი სტატუსის გამო სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებში მათ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებისა ან ბულინგის შედეგად მიღებულ ტრავმულ გამოცდილებას. მაგალითად, ერთ-ერთმა ზრდასრულმა რესპონდენტმა გაიხსენა მისი საბავშვო ბაღის აღმზრდელი, რომელმაც მას უთხრა, *„კახგი გოგო ხახ, მაგჰამ დევნიღი ხახ.“*[80] ადრეული ასაკიდან იზოლირებულად და მარგინალიზებულად ყოფნის განცდა ადგილობრივ საზოგადოებებში მათ სრულფასოვან ინტეგრაციაზე უარყოფითად აისახა. მიუხედავად იმისა, რომ დევნილები ამ საკითხზე ღიად საუბარს ერიდებიან, ზოგიერთს მიაჩნია, რომ თბილისელებს ისინი არ უყვართ ან მათ თანასწორებად არ თვლიან. ამრიგად, დევნილები ფიქრობენ, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს საზოგადოებაში, მათ შორის სამსახურსა თუ სასწავლო დაწესებულებებში ადგილის მოსაპოვებლად ძალისხმევის გაორმაგება უწევთ.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ყველა ფაქტორი, რომელიც მათ ინტეგრაციას აფერხებს, მასპინძელი თემებიდან არ გამომდინარეობს. ზოგიერთი ფაქტორი, როგორიცაა მუდმივი ფიქრი საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე და ტრავმებთან გამკლავება, ადგილობრივ თემებში მათი ინტეგრაციის მცდელობაზე უარყოფითად მოქმედებს. აქ მნიშვნელოვან როლს სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი და ასაკი თამაშობს. უფროს თაობებს, გაჭირვებულ რეალობასთან შეგუებას, აფხაზეთში გატარებული ცხოვრების მოგონებებში ცხოვრება ურჩევნიათ. ახალგაზრდა თაობისთვის ახალ ცხოვრებასთან შეგუება და ქალაქში სოციალური კავშირების დამყარება უფრო ადვილია. ასევე, დევნილთა ინტეგრაციაზე განსახლების ტიპიც ზემოქმედებს - საკუთარ ბინებში მცხოვრები ადამიანებისთვის ეს პროცესი უფრო მარტივი აღმოჩნდა, ხოლო კომპაქტურ დასახლებაში ცხოვრებამ დევნილები დანარჩენ მოსახლეობას კიდევ უფრო დააშორა. ინტეგრაციის პროგრამების არარსებობის ფონზე, ამ ფაქტორების ერთობლიობამ საზოგადოებაში დევნილთა ინტეგრაციის ნელი ტემპი და არასათანადო ხარისხი განაპირობა.

[80] შერეული ფოკუს ჯგუფი, თბილისი, დევნილთა თემი

კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ყოველდღიური მშვიდობის ასპექტები

კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ყოველდღიური მშვიდობის სხვადასხვა ასპექტი გამოიკვეთა. კვლევის მეთოდოლოგიის შეზღუდვების გამო, ჩვენ ვერ წარმოვადგენთ გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს გამოვლენილი ინდიკატორების შედარებით ანალიზს, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ ის საერთო საკითხები, რომლებიც კვლევის შვიდივე საკვლევ არეალში ყოველდღიური მშვიდობის მნიშვნელოვან ხელშემწყობ ან ხელშემშლელ ფაქტორებად დასახელდა. კერძოდ, ყოველდღიური მშვიდობის ძირითად კომპონენტებად განისაზღვრა უსაფრთხოების, მობილურობისა და ტრავმის საკითხები; სამივე ფაქტორი სხვადასხვა მხრიდან იქნა განხილული და მათში კონკრეტული კონტექსტისთვის დამახასიათებელი ასპექტები გამოიკვეთა.

უსაფრთხოება, რომელიც შედგება სამი განზომილებისაგან: „ეროვნული“, ყოველდღიური და ადამიანის უსაფრთხოება, ყოველდღიური მშვიდობის მნიშვნელოვან კომპონენტია.

- გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს მყოფმა კვლევის მონაწილეებმა მშვიდობის აღსაქმელად **„ეროვნული“ უსაფრთხოების** გარანტიების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. კვლევის მონაწილეები ზუგდიდიდან, თბილისიდან (დევნილთა თემი) და გორიდან ლაპარაკობდნენ რუსული ოკუპაციიდან მომდინარე საფრთხეზე, მაშინ როცა კვლევის მონაწილეები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან უსაფრთხოების საკითხებს, ერთი მხრივ, ქართული მხარიდან მომდინარე საფრთხესთან, ხოლო, მეორე მხრივ, იმ გაურკვევლობასთან მიმართებით განიხილავდნენ, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. თუმცა, სოხუმელი და ცხინვალელი მონაწილეების „ეროვნული“ უსაფრთხოების ხედვა გალისა და ახალგორის მაცხოვრებლების ხედვისგან განსხვავდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გამყოფი ხაზის მიღმა ცხოვრობენ, კვლევამ აჩვენა, რომ გალსა და სოხუმში, ასევე ახალგორსა და ცხინვალში მცხოვრები ადამიანების რეალობა განსხვავებულია.
- უსაფრთხოების კიდევ ერთ ასპექტი, რომელიც მშვიდობის მნიშვნელოვან კომპონენტად გამოიკვეთა, **ყოველდღიური უსაფრთხოებაა.** გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებსაც ისინი ყოველდღიურად აწყდებიან და რომლებიც მათ მშვიდობის აღქმაში ხელს უშლის. ესენია, მაგალითად, მაწანწალა ქუჩის ძაღლების პრობლემა, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებლების ყოველდღიურ უსაფრთხოებაზე უარყოფითად მოქმედებს. ამ საკითხზე კვლევის გორის მუნიციპალიტეტშიც ისაუბრეს, თუმცა ნაკლებად მწვავედ. კვლევის რამდენიმე არეალში საგზაო უსაფრთხოება ყოველდღიური მშვიდობის განცდის უზრუნველმყოფ მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა. კვლევის მონაწილეების ნაწილმა ისაუბრა დანაშაულის მზარდ შემთხვევებზე, რაც ასევე ხელს უშლის მშვიდობიანი ცხოვრების განცდას. გამყოფ ხაზთან ახლოს მცხოვრებმა ადამიანებმა, განსაკუთრებით გორიდან, რუსი სამხედროების მიერ უკონტროლო გატაცებებზე და უსამართლო დაკავების ყოველდღიურ შიშზე ისაუბრეს. მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდელი კვლევის მონაწილეებისათვის გატაცება და დაკავება ყოველდღიურ პრობლემად არ დასახელებულა, ადამიანები საუბრობდნენ ყოველდღიურ დაუცველობაზე, რომელსაც ისინი აფხაზეთთან ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე საკუთარ მიწის ნაკვეთებში მუშაობისას გრძნობენ.
- **ადამიანური უსაფრთხოების** ასპექტებიც ყოველდღიური მშვიდობის განმსაზღვრელ ფაქტორად დასახელდა. გაჭიანურებული კონფლიქტით გამოწვეული დაუცველობისა და არასტაბილურობის განცდა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის უსაფრთხოების თითოეულ კომპონენტზე. მაგალითად, ადამიანის უსაფრთხოების საკითხის ოთხი განზომილება – ეკონომიკური, ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი და

პოლიტიკური უსაფრთხოება ყოველდღიური მშვიდობის მნიშვნელოვან კომპონენტებად დასახელდა. რამდენიმე საკვლევ არეალში კვლევის მონაწილეები საბაზისო შემოსავლის, დასაქმებისა და სოციალურ დაცვაზე სათანადო წვდომის უზრუნველყოფას ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ზუგდიდელებმა ეკონომიკური უსაფრთხოება ყოველდღიური მშვიდობის ყველაზე პრიორიტეტულ ასპექტად დაასახელეს. გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხის კომპონენტებიც განიხილებოდა. მაგალითად, ჯანდაცვის სათანადო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის არსებობა და მათზე წვდომა, პრობლემები, რომელთა წინაშეც ორსული ქალები დგანან და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების აუცილებლობა. უსაფრთხო გარემოში ცხოვრების აუცილებლობა საზოგადოების უსაფრთხოების კუთხითაც განიხილებოდა, კერძოდ, სულ მცირე, ორ საკვლევ არეალში, კვლევის მონაწილეები ადგილობრივ საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირებისა და მშობლიურ ენაზე თავისუფლად საუბრის შესაძლებლობის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ. გარდა ამისა, განხილულ იქნა პოლიტიკური უსაფრთხოების ასპექტებიც, როგორიცაა სამართლიანობისა და სიტყვის თავისუფლების აუცილებლობა, რომლებიც ადამიანებს ყოველდღიური მშვიდობის აღქმას აყალიბებს.

გადაადგილება ყოველდღიური მშვიდობის კიდევ ერთი კომპონენტია, რომელიც კვლევის შვიდივე საკვლევ არეალში იქნა განხილული. თუმცა, უსაფრთხოების მსგავსად, ისიც რამდენიმე ასპექტს მოიცავს - ყოველდღიური გადაადგილება, გამყოფ ხაზზე გადაადგილება და საერთაშორისო მოგზაურობა.

- უსაფრთხო **ყოველდღიური გადაადგილება** ყოველდღიური მშვიდობის მნიშვნელოვან ასპექტად დასახელდა. ცალკეულ ადგილებში კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მათ შვილების ეზოში სათამაშოდ გაშვება ეშინიათ, ვინაიდან არ თვლიან, რომ უსაფრთხო გარემოში ცხოვრობენ. რესპონდენტები ასევე საუბრობდნენ დანაშაულის გაზრდილ შემთხვევებზე და ამ საკითხთან დაკავშირებულ ყოველდღიურ შიშზე. ყოველდღიური გადაადგილება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყოველდღიურ უსაფრთხოებაზე საუბრისას განხილულ საკითხებთან.

- **ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე გადაადგილება** ძალიან მნიშვნელოვანია გამყოფ ხაზთან ახლოს მცხოვრები ადამიანებისათვის. კვლევის მონაწილეებმა ზუგდიდიდან, გალიდან, გორიდან და ახალგორიდან ხაზგასმით აღნიშნეს გამყოფ ხაზზე თავისუფლად გადაადგილების აუცილებლობა. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, მეორე მხარეს მცხოვრები ოჯახები, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღებისა და ძირითადი საყოფაცხოვრებო ნივთების ყიდვის აუცილებლობა იმ მთავარ მიზეზებად დასახელდა, რომლებიც გამყოფ ხაზზე თავისუფლად გადაადგილების აუცილებლობას განაპირობებს. 2022 წლის აპრილში სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე სამი საკონტროლო-გამშვები პუნქტის დროებით გახსნამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის თავისუფალი გადაადგილება, ვინაიდან 5 დღის განმავლობაში გამყოფი ხაზის გადაკვეთის 1,100 შემთხვევა დაფიქსირდა.[81] აღსანიშნავია, რომ რამდენიმე საკვლევ არეალში კვლევის მონაწილეებმა **„მეორე მხარეს“ მონახულების** მნიშვნელობაზე ისაუბრეს. კერძოდ, მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გამყოფი ხაზის გადაკვეთის, მეორე მხარეს სხვადასხვა ადგილას მისვლისა და უკან უსაფრთხოდ დაბრუნების შესაძლებლობა არა მხოლოდ დევნილი, არამედ არადევნილი მოსახლეობისთვისაც. ზოგიერთი რესპონდენტი აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში „დაბრუნებას“ შორეულ პერსპექტივად მიიჩნევს, თუმცა თავისუფლად გადაადგილებას, მეორე მხარეს გადასვლასა და უკან

[81] Civil.ge (2022). ინტერვიუ, EUMM საქართველოს ხელმძღვანელი აფხაზეთზე, სამხრეთ ოსეთზე. იხ.: https://civil.ge/archives/490393?fbclid=IwAR3T6HZqMMnW7Rxx7DmbvvZ4vlrmZO5mT-rtW77SGerXkKxHHIr8jvwv04s

დაბრუნებას უფრო რეალისტურ ვარიანტად განიხილავს. აღსანიშნავია, რომ გამყოფი ხაზის გადაკვეთის აუცილებლობას ძირითადად საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები რესპონდენტები, აგრეთვე გალისა და ახალგორის მცხოვრებლები განიხილავდნენ.

- **საერთაშორისო მოგზაურობა,** რომელიც გადაადგილების კიდევ ერთ კომპონენტად დასახელდა, ყოველდღიურ მშვიდობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ეს საკითხი სოხუმელი და გალელი რესპონდენტების მიერ აქტიურად განიხილებოდა. სოხუმელ რესპონდენტებს განსაკუთრებით აწუხებთ, რომ რეგიონის ფარგლებს გარეთ მოგზაურობის შესაძლებლობა თითქმის არ აქვთ. ეს საკითხი ახალგაზრდების ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა, ვინაიდან ახალგაზრდები საერთაშორისო მოგზაურობის შესაძლებლობის ნაკლებობას უფრო მწვავედ განიცდიან. ისინი თვლიან, რომ ამ შესაძლებლობას მოკლებული არიან იმის გამო, რომ კონფლიქტურ რეგიონებში ცხოვრობენ.

ტრავმა კიდევ ერთი თემაა, რომელიც ყოველდღიური მშვიდობის საერთო ასპექტად გამოიკვეთა. ყოველდღიური მშვიდობის სხვა კომპონენტების მსგავსად, ტრავმის თემაც სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილებოდა. საუბრის დროს მნიშვნელოვან ასპექტებად დასახელდა ყოველდღიური შიში, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ტრავმული გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემა.

- **შიში** კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ყველა მონაწილე მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში შიშსა და გაურკვევლობაზე საუბრობდა, გამყოფი ხაზის მიღმა ჩატარებულ დისკუსიებში ამ საკითხზე ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეს. რესპონდენტებმა სოხუმიდან, გალიდან, ახალგორიდან და ცხინვალიდან ისაუბრეს ომის შიშსა და იმ დამთრგუნველ გაურკვევლობაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და რომელიც მათ მშვიდობისა და სტაბილურობის განცდის შესაძლებლობას არ აძლევს.
- კვლევის რესპონდენტებმა ყოველდღიური მშვიდობის აღქმისთვის **ფსიქიკური ჯანმრთელობის** აუცილებლობაზეც ისაუბრეს. გაჭიანურებული კონფლიქტის რეალობა მათი ყოველდღიური ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას არღვევს. ზემოთ აღნიშნული შიში, მზარდ უნდობლობასა და ეჭვებთან ერთად, რასაც ადამიანები გაურკვეველი და გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში ცხოვრებისას განიცდიან, მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე აისახება. აქედან გამომდინარე, სათანადო პირობები და ფსიქიკური კეთილდღეობის დაცვის შესაძლებლობა ადამიანების მიერ მშვიდობის აღქმას მნიშვნელოვნად განაპირობებს.
- **ტრანსგენერაციული ტრავმა** კვლევის რესპონდენტების უმრავლესობამ განიხილა. ახალგაზრდების ყველა ფოკუს-ჯგუფის მონაწილემ გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში ცხოვრებასა თუ ომთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ტრავმულ გამოცდილებასა თუ მოგონებაზე ისაუბრა, მაგრამ დევნილებმაამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს, რადგან დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ომთან დაკავშირებულ ისტორიებსა და მოგონებებზე ხშირად საუბრობენ, რაც ომზე მოგონებებისა და განცდილი ტკივილის ტრანსგერენერაციულ ასპექტს კიდევ უფრო აძლიერებს.

ქალების ყოველდღიური მშვიდობის აღქმა

ქალების ფოკუს-ჯგუფები შედგა ყველა საკვლევ არეალში (ჯამში 6 ფოკუს-ჯგუფი), გარდა ახალგორისა, სადაც ინდივიდუალური ინტერვიუები ჩატარდა.

ფოკუს-ჯგუფებში, რომლებსაც ფასილიტაციას ქალები უწევდენენ, სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების ქალები შეიკრიბნენ და მშვიდობის აღქმის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები განიხილეს. განსხვავებულ პირობებში მცხოვრებმა და განსხვავებული გამოცდილების მქონე ქალებმა ყოველდღიურ პრობლემებად მეტ-ნაკლებად მსგავსი საკითხები დაასახელეს. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ქალების მიერ განსაზღვრული ინდიკატორები იდენტურია, მაგრამ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე თემა, რომლებიც კვლევაში მონაწილე ქალების საჭიროებებსა და მათ მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმას ასახავს.

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ქალების ნაკლები ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა. რადგან პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების თანასწორი და აქტიური მონაწილეობა ქალების წინაშე არსებული პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილის მოგვარების შესაძლებლობად განიხილებოდა. საუბრებში ქალების აქტიური პოლიტიკის მიღმა ყოფნის ორი მოსალოდნელი არგუმენტი დასახელდა. პირველი – პოლიტიკაში მამაკაცები დომინირებენ და მათ არ სურთ ქალების თანასწორი მონაწილეობა ადგილობრივი თუ ეროვნული დონის პრობლემების მოგვარების ხელშემწყობ ფაქტორად აღიარონ. მეორე – საზოგადოებაში დამკვიდრებული ცალკეული ნორმები და კულტურული ასპექტები ქალების აქტიურ პოლიტიკაში ჩართვის მოტივაციას ამცირებს, პოლიტიკას მათთვის შეუფერებელ საქმიანობად წარმოაჩენს და პოლიტიკის მიღმა მათ ყოფნას ნორმად მიიჩნევს.

ოჯახური ძალადობა ქალებმა, აგრეთვე ახალგაზრდებისა და შერეული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ყოველდღიური მშვიდობის ხელშემშლელ ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად დაასახელეს. საკითხის განხილვა გაგრძელდა იმ სოციალურ და კულტურულ ნორმებზე საუბრით, რომლებიც ქალებს გაჩუმებას და განცდილი შევიწროებისა თუ ძალადობის შესახებ საჯაროდ საუბრისგან თავის შეკავებას აიძულებს. ზოგიერთმა რესპონდენტმა კანონმდებლობაში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა, განსაკუთრებით კონფლიქტის რეგიონებში, რაც დუმილის კულტურას კიდევ უფრო აძლიერებს. ბევრმა ქალმა აღნიშნა, რომ ისეთი სერვისების არარსებობა, როგორიცაა დროებითი და ხანგრძლივი თავშესაფარი, ფსიქო-სოციალური და ფინანსური დახმარება, ქალებს განცდილი შევიწროებისა და ძალადობის შესახებ ხმამაღლა საუბრისგან თავის შეკავებას აიძულებს.

კვლევაში მონაწილე ქალების მიერ **ჯანმრთელობის დაცვის საკითხის** მნიშვნელობაც გამოიკვეთა. კვლევის მონაწილეებმა გამყოფი ხაზის მიღმა, კერძოდ, გალში აბორტის პრობლემას გაუსვეს ხაზი.[82] აბორტის საკითხი არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის კუთხით იქნა განხილული, ის აქტიურ პოლიტიკაში ქალების არარსებობის პრობლემასაც დაუკავშირდა. კვლევის მონაწილე ზოგიერთმა ქალმა აღნიშნა, რომ ქალებს კანონშემოქმედებით პროცესზე ბერკეტები არ გააჩნიათ, რადგან ქალები გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე არ მუშაობენ. კვლევის მონაწილეებმა ქალთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისების დაბალ ხარისხზეც ისაუბრეს. რესპონდენტების აზრით, ჯანდაცვის ცუდი ინფრასტრუქტურისა და მწირი სერვისების შედეგად ყველაზე მეტად ორსული ქალები ზარალდებიან. ამ საკითხის მნიშვნელობა კონფლიქტის რეგიონებში, განსაკუთრებით, გალში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს.

კვლევის ქალმა მონაწილეებმა აქტიურად განიხილეს ისეთი საკითხიც, როგორიცაა **ყოველდღიური უსაფრთხოებისა** და **უკეთესი საბაზისო ინფრასტრუქტურის აუცილებლობა.** ყოველდღიური უსაფრთხოება კომპლექსური და მრავალშრიანი საკითხია. მაგალითად, ახალგაზრდა ქალები საუბრობდნენ მათ მიმართ

[82] აბორტის საკითხი სოხუმში მცხოვრებ ქალებსაც აწუხებთ, მიუხედავად იმისა, რომ ის როგორც ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორი არ განხილულა.

შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისა და შევიწროების თავიდან ასაცილებლად „უსაფრთხოდ ჩაცმის“ საჭიროებასა და ქუჩაში ყურადღებით ყოფნაზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამყოფ ხაზთან სიახლოვეს მცხოვრები ქალები აღნიშნავდნენ გარკვეულ უპირატესობას, რომელიც ქალებს აქვთ, რადგან, მამაკაცებთან შედარებით, ისინი ადგილობრივი პოლიციის მიერ ეჭვის მიტანისა ან დაკითხვის ობიექტი ნაკლებად ხდებიან. ასაკოვანი ქალები აღნიშნავდნენ, რომ გამყოფი ხაზის გადაკვეთა ქალებისთვის უფრო უსაფრთხოა, ვიდრე მამაკაცებისათვის. ქალებზე ნაკლებად მიაქვთ ეჭვი და ნაკლებად ექვემდებარებიან დაკითხვებს.

ყოველდღიური მშვიდობის განცდის შემაფერხებელი ფაქტორებს მიღმა, კვლევის ქალმა მონაწილეებმა მათ საზოგადოებებში მცხოვრებ ძლიერ ქალებზეც ისაუბრეს. სოხუმში ქალების ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ ირგვლივ ოჯახებში შინამეურნეობებს ძირითადად ქალები უძღვებიან. დევნილ ქალებზე საუბრისასაც მსგავსი საკითხები გამოიკვეთა. ქალმა რესპონდენტებმა დევნილი ქალების სიძლიერესა და ამტანობაზე, ოჯახის წევრებისადმი მათ დაუღალავ ზრუნვაზე ისაუბრეს. დისკუსიებისას აღინიშნა, რომ ქალები ორმაგად შრომობენ, ასრულებენ ყოველდღიურ, საოჯახო საქმეებს და უძღვებიან საოჯახო მეურნეობებს.

როგორც მეთოდოლოგიის თავშია აღნიშნული, ქალი მონაწილეებისათვის მეტი კომფორტისა და ღია დისკუსიებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, მათ ფოკუს-ჯგუფებს ფასილიტაციას ქალები უწევდნენ. ქალთა ფოკუს-ჯგუფებმა თემების ფართო სპექტრი განიხილეს, მათ შორის საკითხები, რომლებიც ქალების მიერ ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორებად დასახელდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მკაფიოდ აყალიბებდნენ ყოველდღიური მშვიდობის საჭიროებებასა და ყოველდღიური მშვიდობის ხელშემშლელ ფაქტორებს, ვერიფიკაციის ეტაპზე ამ ინდიკატორებს პრიორიტეტი იშვიათად ენიჭებოდა და ხმების ნაკლებ რაოდენობას აგროვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალების მიერ განსაზღვრული ინდიკატორები არ იქნა უგულებელყოფილი, როგორც უმნიშვნელო ინდიკატორები, ისინი საზოგადოებაზე/თემზე ორიენტირებული ინდიკატორებისგან გამოიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცალკეულ შემთხვევებში როგორც ქალები, ასევე მამაკაცები თანხმდებოდნენ, რომ ქალების მიერ იდენტიფიცირებული საკითხები ცალკე განხილვასა და გადაჭრას მოითხოვდა და ის ინდიკატორები, რომლების საზოგადოებას/თემს შეეხებოდა, უფრო პრიორიტეტულად განისაზღვრა.

ქალების მიერ განსაზღვრული ინდიკატორებისთვის პრიორიტეტის არმინიჭება და საზოგადოებაზე/თემზე ორიენტირებული ინდიკატორებისგან მათი გამოყოფა კვლევის რამდენიმე არეალში განმეორდა. მიუხედავად იმისა, რომ შეგროვებული ინფორმაცია ამ დაკვირვებაზე დაყრდნობით არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის საშუალებას არ გვაძლევს, ანალიზისთვის შეგვიძლია დავსვათ რამდენიმე კითხვა: ხომ არ ზღუდავენ ქალებთან ან ქალებისთვის მომუშავე ინიციატივები მათივე თემის წარმომადგენელი მამაკაცების ამ ინიციატივებში ჩართულობას? შესაბამისად, ხომ არ განაპირობებს ეს მიზანმიმართული თუ უნებლიე შეზღუდვა ქალების საჭიროებების საერთო საზოგადოებრივი საჭიროებებისგან გამიჯვნას და საერთო კონტექსტში მათ გაუთვალისწინებლობას? არსებობს თუ არა სტრატეგია და მეთოდები, რომლებიც ქალებს საკუთარ საქმიანობაში ან ქალების საჭიროებების განხილვაში მათივე თემის წარმომადგენელი მამაკაცებისა და ბიჭების ჩართვაში დაეხმარება? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენი კვლევის ფარგლებს სცდება, თუმცა, მათზე დაფიქრება და პასუხების გაცემა მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც მიზნად ქალებისათვის ყოველდღიური მშვიდობის ხელშეწყობას ისახავს.

ქალების ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები

მშვიდობა არის, როცა ...

- ღამე ქუჩის განათება მუშაობს
- ახალგაზრდა ქალებსა და კაცებს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ
- ახალგაზრდა ქალები დაქორწინებას თავიანთი მდგომარეობისა და მომავლის შეცვლის ერთადერთ შესაძლებლობად არ განიხილავენ
- ქალებისთვის საჭირო სერვისები და მათ შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია
- ქალებს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა აქვთ
- საბავშვო ბაღები ყველა სოფელშია
- ჩაცმულობის გამო შენ უსაფრთხოებაზე არ ღელავ

მშვიდობის აღქმა და მშვიდობის საჭიროებები ახალგაზრდებს შორის

კვლევის პროცესში სულ 91 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ახალგაზრდების ფოკუს-ჯგუფები გაიმართა სოხუმში, გალში, ზუგდიდში, გორსა და თბილისში (დევნილთა თემი), (სულ 5 ფოკუს-ჯგუფი), ახალგორსა და ცხინვალში ჯგუფური შეხვედრის ნაცვლად ინდივიდუალური ინტერვიუები ჩატარდა.

ახალგაზრდების მიერ მშვიდობის აღქმის მთავარ თემებად სტაბილურობა, ომის არარსებობა (უსაფრთხოება) და შინაგანი სიმშვიდე (ფსიქიკური ჯანმრთელობა) განისაზღვრა. საინტერესოა, რომ მშვიდობის მათეული გაგების ახსნისას ახალგაზრდების აზრები თავიდან უფრო აბსტრაქტული იყო. თუმცა, დისკუსიების პროცესში ცალკეულმა ჯგუფებმა მოიყვანეს უფრო დეტალური მაგალითები, თუ როგორ აღიქვამენ ისინი მშვიდობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. კვლევის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ ახალგაზრდების მიერ მშვიდობის აღქმაზე ძლიერ ზემოქმედებს გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში ცხოვრება და შესაბამისი შეზღუდვები.

ხვალინდელი დღის რწმენა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომავლის დაგეგმვის შესაძლებლობა, კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ ახალგაზრდებში ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება მშვიდობას. ახალგაზრდების უმეტესობა თვლის, რომ ისინი საკუთარ მომავალს ვერ აკონტროლებენ, რაც არასტაბილურობის განცდის გამომხატველი ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი შეგრძნება აღმოჩნდა. დასახელდა არასტაბილურობის განცდის გამომწვევი და მკვებავი მიზეზები, რომლებიც ძირითადად უსაფრთხოების საკითხებთან არის გადაჯაჭვული. ახალგაზრდა რესპონდენტთა უმრავლესობა შიშობს, რომ გაჭიანურებული კონფლიქტები ნებისმიერ დროს შეიძლება სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდოს და მათი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობას აღელვებს, ომის შიში განსაკუთრებით სოხუმელ ახალგაზრდებს აწუხებს. არასტაბილურობა-დაუცველობის კავშირს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის დამატებითი შრე აქვს, კერძოდ, რუსი სამხედროების მიერ გატაცების (გორი) ან ადგილობრივი ძალების მიერ საბუთების ან სხვა მიზეზით შემოწმების (გალი, ახალგორი) შიში. უკანასკნელი ასპექტი უფრო ახალგაზრდა მამაკაცებს ეხებოდა, რაც მშვიდობისა და უსაფრთხოების გენდერულ ხასიათზე მიუთითებს. თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ

ახალგაზრდებში არასტაბილურობის განცდას სახლებში [აფხაზეთში] დაბრუნებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა აძლიერებს.

ახალგაზრდების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაში ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა განპირობებულია ომის შიშითა და ომით გამოწვეული საკუთარი თუ მშობლების მიერ გადმოცემული ტრავმებით წარმოქმნილი მუდმივი სტრესით. ამ კუთხით, ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდა თაობაში ცნობიერების უფრო მაღალ დონესაც აქვს გარკვეული გავლენა. გორსა და თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები (დევნილთა თემიდან) საუბრობდნენ 2008 წლის ომის შედეგად მიღებულ ტრავმაზე, რომელიც ვლინდება მათ ღამის კოშმარებსა და ისეთ ყოველდღიურ გამღიზიანებლებზე უნებლიე რეაქციაში, როგორიცაა, მაგალითად, თვითმფრინავისა და ფეიერვერკების ხმით გამოწვეული შიში. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს კი ცხინვალში მიმდინარე სამხედრო წვრთნების ხმაურთან შეგუება უჭირთ.

როგორც ერთ-ერთმა ახალგაზრდა მამაკაცმა ახალგორიდან აღნიშნა, **მშვიდობა არის, როცა ბავშვებს სკოლის ასაკში არ უწევთ რუსული ჯავშანმანქანების ერთმანეთისგან გარჩევა** (EPI, ახალგორი). გარდა ამისა, ზოგიერთ ახალგაზრდას, მაგალითად, დევნილს, თაობიდან თაობაზე გადაცემულ ტრავმასთან გამკლავება უწევს. ომამდელ აფხაზეთში კარგად ცხოვრების მუდმივად გახსენება იმ დროს, როდესაც მათ გაცილებით უარეს პირობებთან უწევთ შეგუება, მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. შესაბამისად, ახალგაზრდა დევნილები მშვიდობას განსაზღვრავენ, როგორც წარსულის არცოდნას [ომის ტრავმული გამოცდილების გამო] (EPI, თბილისი) და ყოველდღიურ ცხოვრებაზე და არა წარსულის ფსიქოლოგიურ ტრავმებზე კონცენტრირების შესაძლებლობას (EPI, თბილისი). ზოგიერთი ახალგაზრდა დევნილისთვის ტრავმის წყაროდ დევნილის სტატუსთან დაკავშირებული სტიგმა და ამის გამო მათი მარგინალიზება იქცა. აღსანიშნავია, რომ დევნილები, როგორც დისკრიმინაციული მოპყრობის გამოცდილებით, ასევე ასეთი გამოცდილების გარეშე, საკუთარი სტატუსის დამალვას ცდილობენ, რაც დაუცველობის ქვეცნობიერ განცდაზე მიუთითებს.

გართობის, დასვენებისა და თვითრეალიზაციისათვის საჭირო ისეთი სივრცეების ნაკლებობა, როგორიცაა არაფორმალური განათლების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების ადგილები, ახალგორში, გორში, გალსა და ზუგდიდში, განსაკუთრებით გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დასახელდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე როგორც მამაკაცმა, ასევე ქალმა მონაწილეებმა ისაუბრეს, გართობისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები, საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული კულტურული და გენდერული ნორმების გამო, ახალგაზრდა ქალებისათვის კიდევ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომია. აღსანიშნავია, რომ გალისა და ახალგორის მცხოვრებლებმა ეს საკითხი ადრეული ქორწინების პრობლემასთან დააკავშირეს და აღნიშნეს, რომ ახალგაზრდა ქალები ქორწინებას მდგომარეობის შეცვლისა და მომავალში გარკვეული შესაძლებლობების შექმნის ერთადერთ გამოსავლად თვლიან. გარდა ამისა, გამყოფ ხაზებზე გადაადგილების შეზღუდვა გალისა და ახალგორის მცხოვრებლების მდგომარეობას აუარესებს, ვინაიდან მათ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული სერვისებითა და შესაძლებლობებით სარგებლობაც არ შეუძლიათ.

მიუხედავად იმისა, რომ უკეთესი განათლებისა მიღებისა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების მოთხოვნილება კვლევის ყველა არეალში მაღალი იყო, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები ახალგაზრდები განსხვავებულ გამოწვევებზე საუბრობდნენ. მაგალითად, გალელი ახალგაზრდები პირველ პრობლემას სკოლაში აწყდებიან, როდესაც დაწყებითი განათლების მიღებას მშობლიურ [ქართულ] ენაზე ვერ ახერხებენ, რაც მათ განათლებასა და კარიერულ შესაძლებლობაზე უარყოფითად ზემოქმედებს. გალში მცხოვრები სტუდენტები,

რომლებიც უმაღლეს განათლებას საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იღებენ, მიღებულ დიპლომებსა და სერტიფიკატებს საკუთარ რეგიონში დასასაქმებლად ვერ იყენებენ. სოხუმელი ახალგაზრდების უკმაყოფილება გამოწვეულია ადგილზე მათთვის საინტერესო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ნაკლებობით, ხოლო მოუგვარებელი კონფლიქტი და მისგან გამოწვეული დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები მათ დასავლეთის უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობას უზღუდავს. აქედან გამომდინარე, მათი აზრით **მშვიდობა არის შესაძლებლობა ვისწავლო ის, რაც მაინტერესებს, სერიოზული დაბრკოლებების გარეშე** (EPI სოხუმი). სამუშაო ადგილების სიმცირის საერთო პრობლემის გარდა, გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს აწუხებთ არასრული განაკვეთით დასაქმების შესაძლებლობისა და მოქნილი სამუშაო განრიგის არარსებობა, რის გამოც სწავლასა და მუშაობას შორის არჩევანის გაკეთება უწევთ. ახალგორში ნეპოტიზმი და მექრთამეობა განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემად დასახელდა.

კვლევის სხვადასხვა საკვლევ არეალში, განსაკუთრებით გორის მუნიციპალიტეტში, მცხოვრები ახალგაზრდების მიერ თვითგამოხატვის თავისუფლება მშვიდობის კიდევ ერთ ელემენტად დასახელდა. მათი აზრით, ტრადიციული ნორმები, რომლებიც მათ სტილს, ქცევასა და გართობის სახეებს აკონტროლებს, მათ თვითგამოხატვის სივრცეს უზღუდავს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სოციალური სტანდარტები და შესაბამისი საზოგადოებრივი წნეხი ახალგაზრდა ქალებსა და მამაკაცებზე განსხვავებულად ვრცელდება. „არასათანადო“ ჩაცმულობამ ქალების რეპუტაცია შეიძლება უფრო მეტად დააზიანოს, ვიდრე მამაკაცების. აქედან გამომდინარე, ისინი მშვიდობას ასე განმარტავენ, როცა **ჩაცმულობის გამო შენს უსაფრთხოებას საფრთხე არ შეექმნება** (EPI, გორი). უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მსგავსი პრობლემები აქვთ განსხვავებული სტილის მქონე ახალგაზრდებს, რომლებიც სუბკულტურებს (გორი) და LGBTI თემს (თბილისი) წარმოადგენენ. ასევე, სოხუმში მცხოვრები ახალგაზრდები ტრადიციული ნორმებისა და დადგენილი სტანდარტების შესრულების აუცილებლობის გამო უფროსი თაობის მხრიდან საზოგადოებრივ წნეხზე საუბრობენ. რაც შეეხება გალელ ახალგაზრდობას, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვისა და არჩევანის თავისუფლებაა.

კვლევის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ, მართალია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები ყოველდღიურ მშვიდობას თითქმის ერთნაირად აღიქვამენ, ახალგაზრდები მაინც გამოყოფენ ცალკეულ განსხვავებულ გამოწვევებს, რომლებიც მათი ცხოვრების ხარისხსა და მათ მიერ ყოველდღიური მშვიდობის განცდაზე გავლენას ახდენს. გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდები სტაბილურობასა და უსაფრთხოებას მათი მიზნების განხორციელების, ტრავმასთან გამკლავების და კუთვნილი უფლებებითა და თავისუფლებებით საზოგადოებაში დამკვიდრების აუცილებელ წინაპირობად განიხილავენ.

შეჯამება: მშვიდობის აღქმა კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში

ადგილობრივი თემების მიერ განსაზღვრული ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ საზოგადოებებში მშვიდობის აღქმის კომპლექსურობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობის ბუნდოვანი აღქმა, შესაძლოა, ნებისმიერი საზოგადოებისათვის იყოს დამახასიათებელი, ათწლეულების განმავლობაში გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში მცხოვრები ადამიანების მიერ მშვიდობის აღქმის შესწავლას როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მიზნები აქვს. კვლევის ყველა არეალში ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების ანალიზი აჩვენებს, რომ (ა) ყოველდღიური მშვიდობა მრავალი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთშემავსებელი ელემენტისგან შედგება, რომელთა შორის უსაფრთხოება, თავისუფალი გადაადგილება და ფსიქიკური ჯანმრთელობა გამჭოლ საკითხებს წარმოადგენს, (ბ) ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები აჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს ან როგორ აისახება ეს მთავარი ელემენტები საზოგადოების წევრების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, (გ) შესაბამისად, ყოველდღიური მშვიდობის კვლევა საზოგადოების მიერ მშვიდობის აღქმისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად კონკრეტულ სფეროებში ცვლილებების საჭიროების დადგენაში გვეხმარება, და (დ) კვლევის საშუალებით შესაძლებელია კონკრეტულ საზოგადოებაში ყოველდღიური მშვიდობის საჭიროებისა და აღქმის კონტექსტუალიზაცია, რაც კონტექსტზე მორგებული მიდგომების შერჩევის შესაძლებლობას იძლევა.

კვლევის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში მცხოვრებ საზოგადოებებში ადამიანების მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმის განუყოფელ ნაწილს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური მშვიდობის ინდიკატორები წარმოადგენს. ომგამოვლილი ადამიანების მიერ მშვიდობის აღქმაში ნეგატიური მშვიდობა, კერძოდ ომისა და ომის შიშის არარსებობა, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამ მხრივ, მშვიდობის, პირველ რიგში, უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან დაკავშირება გასაკვირი არ არის, ვინაიდან აფხაზურ, ქართულ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებში კონფლიქტების მოგვარების ერთიანი და შეთანხმებული ხედვა არ არსებობს. მეტიც, არსებული მყიფე მშვიდობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონულ და გლობალურ დინამიკაზე.

თუმცა, იმ ადგილებში, სადაც ინდიკატორების ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა, ყოველდღიური მშვიდობის ის ინდიკატორები, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს, პოზიტიური მშვიდობის ინდიკატორებად შეიძლება ჩაითვალოს. ადგილობრივი თემებისთვის მშვიდობასთან ასოცირდება დამოკიდებულებები, ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც ქმნის და ავითარებს მშვიდობიან საზოგადოებებს, მაგალითად, ჰარმონია საზოგადოებაში (სოხუმი), საზოგადოების თანასწორ წევრად ყოფნა (გალი), ღირსეული შემოსავალი (ზუგდიდი), სამართლიანობის განცდა (გორი) და შემცირებული დანაშაული (თბილისი). თუმცა, ფაქტორები, რომლებიც საზოგადოების ჰარმონიულობის, სამართლიანობისა და თანასწორობის განცდაზე ზემოქმედებს, დაკავშირებულია გაჭიანურებულ კონფლიქტებთან და ომის შიშთან, რაც აჩვენებს, თუ რამდენად არის ადამიანების მიერ მშვიდობის აღქმაში ნეგატიური და პოზიტიური მშვიდობა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, განსაკუთრებით გაჭიანურებული კონფლიქტის კონტექსტში. ასევე მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ყოველდღიური მშვიდობის ის ინდიკატორები, რომლებიც ეხება სერვისებზე წვდომას, ინსტიტუციურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ვინაიდან ისინი მჭიდროდ უკავშირდება მოუგვარებელი კონფლიქტით გამოწვეულ პრობლემებს და კონფლიქტის ესკალაციის შიშს.

პასუხები კითხვაზე "რას ნიშნავს შენთვის მშვიდობა?" მიუთითებს, რომ ადამიანები მშვიდობის უფრო ფართო სურათს ხედავენ, რომელიც მშვიდობის მშენებლობის როგორც ვიწრო, ასევე უფრო ფართო გაგებას მოიცავს. კვლევის რესპონდენტები, სოხუმელებისა

და ცხინვალელების გამოკლებით, კონფლიქტებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის მნიშვნელობაზე საუბრობენ. თუმცა, კვლევის თითქმის ყველა არეალში ადამიანებს მიაჩნიათ, რომ შიდასაზოგადოებრივი დისკუსიები და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებები აუცილებელია ყოველდღიური მშვიდობის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, მათი აზრით, ყოველდღიური მშვიდობისათვის ასევე აუცილებელია ადგილობრივი საზოგადოებების სხვადასხვა კუთხით განვითარება. ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარების აუცილებლობა ყოველდღიური მშვიდობის უმნიშვნელოვანეს ელემენტად გამოიკვეთა. რესპონდენტებმა დაასახელეს ის ინსტიტუტები და სერვისები, რომლებიც მათ მიერ ყოველდღიური მშვიდობის აღქმაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს. აღსანიშნავია, რომ ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების მეთოდოლოგიამ ქალების, ახალგაზრდების, დევნილების, ქალაქებსა და სოფლებში, მათ შორის გამყოფ ხაზებთან მდებარე სოფლებში მცხოვრები ადამიანების კონკრეტული საჭიროებების გამოვლენის შესაძლებლობა მოგვცა. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას მშვიდობის მშენებლობისა და განვითარების დღის წესრიგის განსაზღვრის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორების დიდი ნაწილის ინტერპრეტაციები გაჭიანურებული კონფლიქტის პოლიტიკურ ელემენტებს შეიცავს, ადგილობრივი საზოგადოებების წარმომადგენლები საუბრობენ, თუ რა გავლენას ახდენს კონფლიქტები მათ ყოველდღიურ მშვიდობასა და სტაბილურობაზე, და აქცენტი პოლიტიკურიდან ადამიანზე ორიენტირებულ დისკურსზე გადააქვთ. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის თითოეულ არეალში უნიკალური ინდიკატორები გამოიკვეთა, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს მცხოვრები საზოგადოებების მიერ იდენტიფიცირებული ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები აჩვენებს, რომ ადამიანებს მშვიდობის მსგავსი მოთხოვნილებები აქვთ, ერთნაირად ეშინიათ კონფლიქტის ესკალაციის და ომის ტრავმატულ გამოცდილებასთან გამკლავებას ცდილობენ. საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ისინი მშვიდობის ძირითად ელემენტებად ასახელებენ უსაფრთხოებას, სტაბილურობას, გადაადგილების თავისუფლებასა და საბაზისო სერვისებზე წვდომას. ცხადია, რომ მათი ყოველდღიური მშვიდობა კონფლიქტების პოლიტიკური გზით მოუგვარებლობის გამო ირღვევა, თუმცა ზოგიერთი საკითხი, რომლებსაც მათი ცხოვრების ხარისხისა და მათ მიერ მშვიდობის აღქმის გაუმჯობესება შეუძლია, გადაუჭრელი კონფლიქტების პირობებშიც შეიძლება მოგვარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Amnesty International (2018) Behind Barbed Wire: Human Rights Toll of "Borderization" in Georgia. London: Amnesty International. https://www.amnesty.org/download/Documents/EUR5605812019ENGLISH.PDF Accessed 18 September 2020.

Boutros-Ghali, B. (1992) An Agenda for Peace: Preventive Diplomacy, Peacemaking and Peace-Keeping. United Nations.

Civil.ge (2021) „ღირსების მარშის“ კონტრაქციის მონაწილეების მასობრივი თავდასხმა ჟურნალისტებზე Civil.ge: https://civil.ge/ka/archives/430566

Civil.ge (2021) ენგურში კიდევ ერთი გარდაცვლილი გალელი იპოვეს. Civil.ge: https://civil.ge/ka/archives/411293

Civil.ge (2022). ინტერვიუ, EUMM საქართველოს ხელმძღვანელი აფხაზეთზე, სამხრეთ ოსეთზე. იხ.: https://civil.ge/archives/490393?fbclid=IwAR3T6HZqMMnW7Rxx7DmbvvZ4vlrmZO5mT-rtW77SGerXkKxHHIr8jvwv04s

DRI (2021). Human Rights in Abkhazia and South Ossetia/Tskhinvali. Available at: https://www.democracyresearch.org/files/171Human%20rights%20in%20Abkhazia%20and%20South%20Ossetia%20Tskhinvali%20region.pdf

DRI (2021). The Akhalgori Deadlock. Available at: http://www.democracyresearch.org/files/95akhalgori%20deadlock%2001.03.2021.pdf

Dzhikirba, S. and Relitz, S. (2020) Strengthening Internationalisation of Higher Education in Abkhazia: Status-quo, Potentials, Challenges, and Recommendations. Insights from Young Scholars and Peacebuilders from the Caucasus. Corridors Proceedings Vol.II, Berlin.

Firchow, P. (2018) Reclaiming Everyday Peace: Local Voices in the Politics of Measurement and Evaluation after War. Cambridge, UK: Cambridge University Press.

Freedom House (2021). South Ossetia/Tskhinvali. Available at: https://freedomhouse.org/country/south-ossetia/-freedom-world/2020

IDFI (2022) საცხოვრებლის მოლოდინში მყოფი დევნილი ოჯახები: 2017-2021 წლების სახელმწიფო პოლიტიკა. IDFI: https://idfi.ge/ge/idp_families_in_georgia_and_state_policy_in_2017_2021

International Crisis Group (2020). The Covid-19 Challenge in Post-Soviet Breakaway Statelets. Available at: https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/b89-covid-19-challenge-post-soviet-breakaway-statelets

Mac Ginty, R. (2021) Everyday Peace: How So-called Ordinary People Can Disrupt Violent Conflict. Oxford University Press.

MoH (no data) დევნილთა სტატისტიკა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: https://www.moh.gov.ge/ka/703/

კავკასიური სახლი/ CRRC (2021) საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობისა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობის კვლევა. [კვლევის ანგარიში]

კანაშვილი, გ. (2022) სად (ვერ) სწავლობენ აფხაზი სტუდენტები? Civil.ge. https://civil.ge/ka/archives/471079 ნანახია 15 მარტი 2022.

საქართველოს სახალხო დამცველი (2019) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [საპარლამენტო ანგარიში] საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf ნანახია 29 აპრილი 2022

საქართველოს სახალხო დამცველი (2020) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [საპარლამენტო ანგარიში] საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf ნანახია 29 აპრილი 2022

საქართველოს სახალხო დამცველი (2021) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [საპარლამენტო ანგარიში] საქართველოს სახალხო დამცველი. https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf ნანახია 29 აპრილი 2022

დანართი 1. ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების სია

აქტივობა	მონაწილეთა რაოდენობა	ქალები	თარიღი
გალი			
ინტერვიუ (KII) 1	1	1	13.06.2021
ინტერვიუ (KII) 2	1	1	14.06.2021
ინტერვიუ (KII) 3	1	0	15.06.2021
შერეული ფოკუს-ჯგუფი 1	7	4	09.07.2021
ახალგაზრდების ფოკუს-ჯგუფი	9	4	16.07.2021
ქალების ფოკუს-ჯგუფი	7	7	16.07.2021
კაცების ფოკუს-ჯგუფი	7	0	27.07.2021
ვერიფიკაციის ფოკუს-ჯგუფი 1	10	6	06.10.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 2	8	5	28.10.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 3	7	4	31.10.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 1	1	1	06.12.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 2	1	1	08.12.2021
სოხუმი			
ინტერვიუ (KII) 1	1	0	16.06.2021
ინტერვიუ (KII) 2	1	1	25.06.2021
ინტერვიუ (KII) 3	1	1	08.07.2021
ინტერვიუ (KII) 4	1	0	09.07.2021
ინტერვიუ (KII) 5	1	0	11.07.2021
ახალგაზრდების ფოკუს-ჯგუფი	7	3	13.08.2021
ქალების ფოკუს-ჯგუფი	5	5	19.08.2021
კაცების ფოკუს-ჯგუფი	7	0	24.08.2021
შერეული ფოკუს-ჯგუფი	7	3	26.08.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 1	12	6	05.11.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 2	11	4	5.12.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 1	1	1	18.12.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 2	1	0	25.12.2021
ზუგდიდი			
ინტერვიუ (KII) 1	1	1	16.06.2021
ინტერვიუ (KII) 2	1	1	24.06.2021
ინტერვიუ (KII) 3	1	0	25.06.2021
ინტერვიუ (KII) 4	1	0	07.07.2021
ახალგაზრდების ფოკუს-ჯგუფი	9	2	22.07.2021
ქალების ფოკუს-ჯგუფი	9	9	27.07.2021
კაცების ფოკუს-ჯგუფი	7	0	30.07.2021
შერეული ფოკუს-ჯგუფი	10	5	03.08.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 1	18	15	15.10.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 2	14	10	20.10.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 1	1	1	07.12.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 2	1	0	07.12.2021

გორი			
ინტერვიუ (KII) 1	1	0	23.06.2021
ინტერვიუ (KII) 2	1	1	25.06.2021
ინტერვიუ (KII) 3	1	1	25.06.2021
ინტერვიუ (KII) 4	1	1	22.06.2021
შერეული ფოკუს-ჯგუფი	9	7	19.07.2021
ახალგაზრდების ფოკუს-ჯგუფი	8	7	19.07.2021
კაცების ფოკუს-ჯგუფი	8	0	22.07.2021
ქალების ფოკუს-ჯგუფი	8	8	22.07.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 1	7	3	15.10.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 2	14	8	16.10.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 3	8	8	11.11.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 1	1	1	15.12.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 2	1	1	17.12.2021
თბილისი			
ინტერვიუ (KII) 1	1	1	29.06.2021
ინტერვიუ (KII) 2	1	1	01.07.2021
ინტერვიუ (KII) 3	1	0	24.06.2021
ინტერვიუ (KII) 4	1	0	05.07.2021
ახალგაზრდების ფოკუს-ჯგუფი	6	3	23.07.2021
შერეული ფოკუს-ჯგუფი	4	2	28.07.2021
კაცების ფოკუს-ჯგუფი	5	0	02.08.2021
ქალების ფოკუს-ჯგუფი	7	7	18.09.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 1	20	17	03.11.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 2	11	11	25.11.2021
ვერ. ფოკუს-ჯგუფი 3	5	5	26.11.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 1	1	1	27.12.2021
ვერ. ინტერვიუ (KII) 2	1	0	28.12.2021
ახალგორი			
ინტერვიუ 1	1	1	20.06.2021
ინტერვიუ 2	1	0	21.06.2021
ინტერვიუ 3	1	0	9.07.2021
ინტერვიუ 4	1	1	14.08.2021
ინტერვიუ 5	1	1	16.08.2021
ინტერვიუ 6	1	1	20.08.2021
ინტერვიუ 7	1	0	21.08.2021
ინტერვიუ 8	1	1	24.08.2021
ინტერვიუ 9	1	1	29.08.2021
ინტერვიუ 10	1	0	16.09.2021
ინტერვიუ 11	1	1	16.09.2021
ინტერვიუ 12	1	0	20.09.2021

ახალგორი			
ინტერვიუ 13	1	1	20.09.2022
ინტერვიუ 14	1	0	21.09.2021
ინტერვიუ 15	1	1	22.09.2021
ინტერვიუ 16	1	1	26.09.2021
ინტერვიუ 17	1	1	03.10.2021
ინტერვიუ 18	1	1	18.10.2021
ინტერვიუ 19	1	0	22.10.2021
ინტერვიუ 20	1	1	25.10.2021
ინტერვიუ 21	1	0	29.10.2021
ინტერვიუ 22	1	0	29.10.2021
ინტერვიუ 23	1	1	30.10.2021
ინტერვიუ 24	1	0	03.11.2021
ცხინვალი			
ინტერვიუ (KII)1	1	1	10.08.2021
ინტერვიუ (KII) 2	1	0	15.08.2021
ქალების ფოკუს-ჯგუფი	5	5	17.08.2021
ინტერვიუ 1	1	0	19.08.2021
ინტერვიუ 2	1	1	29.08.2021
ინტერვიუ 3	1	0	23.09.2021
ინტერვიუ 4	1	1	23.09.2021
ინტერვიუ 5	1	1	23.09.2021
ინტერვიუ 6	1	1	03.12.2021
ინტერვიუ 7	1	0	03.12.2021
ინტერვიუ 8	1	1	10.12.2021
ინტერვიუ 9	1	0	10.12.2021
ინტერვიუ 10	1	1	10.12.2021



PMC Research

PMC კვლევითი ცენტრი
https://pmcresearch.org/
research@pmcginternational.com